ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა
შაბათი-კვირა

30 აპრილი — 1 მაისი, 2011 №101 (5482) ფასი: 30 თეთრი

26 აპრილიდან
„ახალი თაობის“ სააღდგომო
საჩუქარი ახალ თაობას.
საყმაწვილო ბიბლიოთეკის
8 ტომეული.
ძალიან დაბალ ფასად! წიგნი
და გაზეთი ერთად 2 ლარი.



## სახეზე არც ერთი ძვალი მთელი არა მაქვს

გვ.4

აკაკი ბობოხი ეს თავის დაბადების დღე არ ახსენდება



## ქართულ მიწებს თურქებს და ჩინელებს ურიგებენ

საკაშვილმა ქართველ გლეხებს შეურაცხყოფა მიაყენა

გვ.6



## ზუგდიდის ცენტრში დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებს ხვრეტდნენ

გვ.3



რატომ ვერ დაგვაბრუნებინა ბალტინმა აფხაზეთი



## კვერცხის წითლად შეღებვა ამაღლებამდე შეიძლება

გვ.7

## საქართველოში ხელისუფლება მხოლოდ არჩევნებით შეიცვლება

გვ.5

ნაციონალებს გამარჯვების იმედი აქვთ



## აქციები და არეულობა ხელისუფლებას აწყობს



გვ.12

3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## 2 თვის ვიყავი, დედამ რომ მიმატოვა

ჩაზე ოცნებობს დუშეთის ბულბული სოსო ნაჩიმანიძე

ISSN 1987-9385

გვ.8






გვ.2

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# რა საერთო აქვთ კუკავასა და ონიშჩენკოს



ქართული ღვინისა და ბორჯომის მტერი გენადი ონიშჩენკო ცოტათი დაგვიტკბა. ის არ გამორიცხავს, რომ ქართული ღვინო რუსეთის ბაზარზე დაბრუნდეს. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ქართული ღვინის ბედი კახა კუკავაზეა დამოკიდებული.

რუსეთის მთავარი სანიტრის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, ქართული ღვინისა და მინერალური წყლის რუსულ ბაზარზე დაბრუნების შესახებ მოლაპარაკებებს პარტია „თავისუფალი საქართველოს" ლიდერთან, ოპოზიციონერ კახა კუკავასთან გამართავს.

როგორც ბი ბი სის რუსული სამსახური იუწყება, ონიშჩენკოს თქმით, მას კუკავასთან მოლაპარაკებების გამართვა დაავალეს. მოლაპარაკებებს ასევე დაესწრება ნაციონალური გაერთიანების კონგრესის პრეზიდენტი ვლადიმერ ხომერიკი.

— ისინი გვთხოვენ, განვიხილოთ ტექნიკური საკითხები საკვები პროდექტების, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, საუბარია ამ სფეროში შესაძლო თანამშრომლობაზე რუსეთის ტერიტორიაზე ქართული პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებით. ჩვენი მხრიდან მხოლოდ ერთი საკითხია წამოწეული — ხარისხი და უსაფრთხოება, — განაცხადა ონიშჩენკომ.

ონიშჩენკოს არ დაუზუსტებია, როდის გაიმართება მოსკოვში კუკავასთან დაგეგმილი შეხვედრა.

ნაციონალები კუკავასა და ონიშჩენკოს მომავალ შეხვედრაზე უკვე ლადაობენ. არ არის გამორიცხული, მალე მას მოღალატის იარლიყიც მიაწებონ. ასეთი იარლიყი თუ რომელიმე ოპოზიციონერს არა აქვს მიწებებული, ის ნაღდ ოპოზიციონერად არ ითვლება.

# პუტინმა ცხინვალში დახარჯული თანხების შემოწმების ბრძანება გასცა



რუსეთმა ცხინვალის აღსადგენად ძალიან დიდი თანხები გამოყო. ეს თანხები თითქმის მთლიანად არის დახარჯული, ცხინვალში კი აღსადგენი ჯერ კიდევ ბევრია. ამის გამო აქაურმა ოპოზიციამ ბევრჯერ ატეხა ხმაური. მოსკოვიდან რამდენჯერმე გამოგზავნეს რევიზორები.

რევიზორები ცხინვალში ახლაც ჩავლენ. რუსული მედიის ცნობით, პრემიერმა ვლადიმირ პუტინმა ცხინვალის რეაბილიტაციისთვის რუსეთიდან გადარიცხული თანხების შემოწმების ბრძანება გასცა.

პუტინმა კოკოითის მთავრობის მიერ გახარჯული თანხების გაკონტროლება რუსეთის რეგიონული განვითარების სამინისტროს დაავალა, თუმცა ოფიციალურ დონეზე რუსეთის შესაბამისი უწყებები უარყოფენ, რომ შემოწმების მიზეზი ცხინვალის მთავრობის მიერ თანხების გაფლანგვა გახდა.

კერძოდ, შემოწმდება ჩატარებული აღდგენითი და სარესტავრაციო სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა. უშუალოდ შემოწმებისთვის რუსეთის ხელისუფლებამ 41 334 000 რუბლი გამოიყო.

# გიგა ბოკერია აზერბაიჯანში გადატრიალებას აწყობს?

რუსეთში მცხოვრები პოლიტოლოგის ჰეიდარ ჯემალის განცხადებით, აზერბაიჯანის სახელმწიფოს უსაფრთხოებას საფრთხე ემუქრება, რომელიც საქართველოს ტერიტორიიდან მოდის. ეს განცხადება მან გამოცემა „სალამნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა.

— არის მონაცემები, რომ საქართველოში აზერბაიჯანის სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ. საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს მზადება იმისთვის, თუ როგორ უნდა მოხდეს აზერბაიჯანში სახელმწიფო გადატრიალება და ამაზე პასუხისმგებლობა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივან გიგა ბოკერიას ეკისრება, — აღნიშნავს ჰეიდარ ჯემალი.

მისი თქმით, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, საქართველოს საელჩოში, მოქმედებს ცენტრი, რომელიც ამ საქმიანობას კურირებს და მის საქმიანობაზე პასუხისმგებელი ბაქოში არსებული საელჩოს თანამშრომელი ამერიკელი ქალია, რომელმაც კარგად იცის ქართული ენა. ჰეიდარ ჯემალის თქმით, სწორედ მის მოვალეობაში შედის აზერბაიჯანულ ოპოზიციასთან კონტაქტი.

რუსი პოლიტოლოგის განცხადებით, ამ დროისათვის საქართველოში მიმდინარეობს მზადება, ახალგაზრდა აზერბაიჯანელების რიგებიდან შეიქმნას განაყოფი, რომლის სახელწოდებაც „წინააღმდეგობა" იქნება. ისინი ელოდებიან ბრძანებას, დაიწყონ გადამწყვეტი მოქმედებები აზერბაიჯანის ხელისუფლების დასამხობად.

— რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, გადამწყვეტი მოქმედებები, ანუ ოპოზიციის გამოსვლები აზერბაიჯანის ხელისუფლების დასამხობად 28 მაისსაა დაგეგმილი. 29 მაისს კი ლონდონში ჩატარდება კონფერენცია, რომელიც აზერბაიჯანს მიეძღვნება, სადაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონიც გამოვა და შეაფასებს აზერბაიჯანის ოპოზიციის მოქმედებებს, ასევე აზერბაიჯანსა და აზერბაიჯანის მთავრობაში არსებულ მდგომარეობას, — აღნიშნავს პოლიტოლოგი.



მისი თქმით, მიმდინარე წლის მარტში გიგა ბოკერია და კიდევ რამდენიმე ადამიანი აზერბაიჯანში იყვნენ ჩასული და აზერბაიჯანის ხელისუფლებას წაუყენეს მოთხოვნა, საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირზე წასულიყვნენ, რომლის მიზანიც რუსეთისათვის წინააღმდეგობის გაწევა იქნებოდა. თუმცა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა აღნიშნულზე უარი განაცხადა და ასევე უარი თქვა ერთობლივი აზერბაიჯანულ-ამერიკული სამხედრო წვრთნის გამართვაზე სახელწოდებით „რეგიონული პასუხი-2011".

პოლიტოლოგი თვლის, რომ სწორედ ამიტომ ახლა საქართველოს ხელისუფლება აქტიურად ამყარებს სამხედრო კავშირს სომხეთთან, რომელიც აზერბაიჯანის წინააღმდეგაა მიმართული.

როგორც რუსი პოლიტოლოგი აღნიშნავს, ყოველივე ამის ორგანიზატორი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტია, რომელსაც სურს სირიისა და ლიბიის მსგავსად დესტაბილიზაცია ცენტრალურ აზიაში.

# სახალხო დამცველი პატიმრების სიკვდილიანობის მაღალ მაჩვენებელზე საუბრობს



სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში საქართველოში პატიმრების სიკვდილიანობის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლის არსებობაზე საუბრობს.

როგორც გიორგი ტუღუშმა საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატებთან" გამართულ შეხვედრაზე განაცხადა, სპეციალური ფორმულის გამოთვლის შედეგად ევროპაში პატიმრების სიკვდილიანობა არის 33%, საქართველოში კი — 56%, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია.

გიორგი ტუღუშმა აღნიშნა, რომ მის ანგარიშში მოყვანილ სტატისტიკას სხვადასხვა მათემატიკური მანიპულაცია მოჰყვა, რაც არამართებულია. მისივე თქმით, 2011 წელს 31 მარტამდე უკვე 44 პატიმარია გარდაცვლილი; მათგან 51%-ის მიზეზი ტუბერკულოზია, 12%-ის — კარდიოლოგიური დაავადება.

ომბუდსმენი ასევე გამოეხმაურა ოფიციალურ განმარტებას იმის თაობაზე, რომ პატიმრების გარდაცვალების მიზეზი ხშირად ქრონიკული დაავადებები ხდება.

როგორც ტუღუშმა აღნიშნა, მისმა აპარატმა შეისწავლა ეს გარემოებაც და დადგინდა, რომ ამ პატიმრებისთვის დროული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში სიკვდილიანობის თავიდან აცილება სრულიად შესაძლებელი იყო.

სახალხო დამცველმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ პრობლემების აღმოსაფხვრელად სასჯელაღსრულების სისტემაში მუშაობა უკვე დაიწყო, თუმცა ეს მუშაობა მას დაგვიანებულად მიაჩნია და ასევე ვარაუდობს, რომ საკმაოდ სერიოზული და დიდი პრობლემების გამო შედეგსაც დაგვიანებით გამოიღებს.

სახალხო დამცველის ანგარიშის მოსმენას დიდი სიხარულით არ ელოდება საპარლამენტო უმრავლესობა. ისინი ომბუდსმენის საქმიანობით უკმაყოფილონი არიან. მათი ქცევით კმაყოფილი არც გიორგი ტუღუშია.

ეს უკანასკნელი მედიასაშუალებების მიმართაც გამოთქვამს უკმაყოფილებას. ის აღშფოთებულია იმის გამო, რომ ტელევიზიები მის საქმიანობას ფაქტიურად არ აშუქებენ.

სახალხო დამცველის ანგარიშის საფუძველზე საპარლამენტო უმცირესობა ციხეებისა და ლტოლვილთა მინისტრის მოხსნას ითხოვს. ნაციონალები კი ამბობენ, რომ სააკაშვილი არც ხათუნა კალმახელიძეს და არც კობა სუბელიანს არ მოხსნის.

# ამერიკელმა გენერალმა ჩვენი სამხედროები შეაქო

საქართველო ხელისუფლების წყალობით აქტიურად მონაწილეობს ავლანეთსა და ერაყში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციაში. ჩვენი სამხედროების მომზადების დონით საერთაშორისო თანამეგობრობა ყოველთვის კმაყოფილი იყო. ჩვენი სამხედროები ამერიკელმა გენერალმა რიჩარდ მილსმა კიდევ ერთხელ შეაქო.

— პროფესიონალი და მისიაზე ფოკუსირებული ჯარი, — ასე აფასებს ამერიკელი გენერალი რიჩარდ მილსი ავლანეთის სამშვიდობო მისიაში მონაწილე ქართველ ჯარისკაცებს.

როგორც ამერიკელმა გენერალმა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ქართველი ჯარისკაცების მოქმედება ერთი სიტყვით შეიძლება შეფასდეს — „შთამბეჭდავი".

— მინდა კომენტარი გავაკეთო ქართულ ჯარებზე. ორი ბატალიონი — 31-ე და 32-ე ჰელმანდის პროვინციაში ჩემი მეთაურობით მსახურობდა. ორივე მათგანი გასაოცარი იყო და ხასიათდებოდა მაღალი პროფესიონალიზმით. ეს ბრძოლის ველზე მისიაზე ფოკუსირებული ჯარია. მათ აქვთ უნარი, აღკვეთონ ინციდენტები. ისინი იმდენად შთამბეჭდავები არიან, რომ მე მათ ჰელმანდის პროვინციაში საკუთარი საბრძოლო სივრცეც კი გამოვუყავი. ისინი ავღანურ ჯარებთან ერთად მუშაობენ იმისათვის, რომ შეასრულონ მისიების მთელი სპექტრი. ქართველები პროფესიონალები არიან და დავალებებს დიდი მონდომებით ასრულებენ. მათ უფრო მეტის გაკეთებაც სურთ, — განაცხადა გენერალმა და დასძინა, რომ მას თბილისში ქართველი ჯარისკაცების სასწავლო ცენტრები რამდენჯერმე პირადად აქვს ნანახი.

— საქართველოს სამხედრო ძალებით თავიდან ბოლომდე აღფრთოვანებული ვარ. მათ სჭირდებათ გარკვეული დახმარება ტრანსპორტის კუთხით, ასევე ესაჭიროებათ ნაღმსაწინააღმდეგო ტექნიკა. ჩვენ განვაგრძობთ მათთან მუშაობას, — აღნიშნა ამერიკელმა მაღალჩინოსანმა.

# შსს–მ მორალური ზარალის ანაზღაურება იკისრა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ოთარ გვენეტაძემ 2011 წლის 3 იანვარს, ვეტერანთა აქციის ძალის გამოყენებით დაშლის დროს დაზარალებული ეკა მათიაშვილისთვის მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება იკისრეს.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, შსს-ს თანამშრომელმა ოთარ გვენეტაძემ აქციის დროს ეკა მათიაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

საიას დახმარებით ეკა მათიაშვილმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. სარჩელი შეტანილი იყო როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს, ასევე უშუალოდ ოთარ გვენეტაძის წინააღმდეგ. მოსარჩელე მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 10 000 ლარის გადახდას ითხოვდა.



— 2011 წლის 27 აპრილს გამართულ სასამართლო სხდომაზე როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, ასევე ოთარ გვენეტაძემ დაადასტურეს ეკა მათიაშვილისადმი მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და მას დავის მორიგების გზით გადაწყვეტა შესთავაზეს. საბოლოოდ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ოთარ გვენეტაძემ იკისრეს ვალდებულება, ეკა მათიაშვილისადმი მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, თითოეულმა მათგანმა მათიაშვილს გადაუხადოს 4000-4000 (ოთხი ათასი) ლარი, სულ — 8 000 ლარი, — აღნიშნეს საიაში.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია მოხარულია, რომ შსს-მ და ოთარ გვენეტაძემ აღიარეს მოქალაქისთვის მორალური ზიანის მიყენების ფაქტი და გამოთქვეს აღნიშნული ზიანის ანაზღაურების სურვილი, თუმცა, იქვე აღნიშნავს, რომ 2011 წლის 3 იანვარს ოთარ გვენეტაძისა და სხვა სამართალდამცველების ქმედებაში გამოიკვეთა სხვადასხვა სიმძიმის კანონდარღვევები. საია მოუწოდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ადეკვატური პასუხისმგებლობა დააკისროს ყველა მონაწილე პირს, რომლებიც აღნიშნულ დარღვევაში მონაწილეობდნენ.

# ხაჯიმბა რუსეთს დაუპირისპირდა

აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმს სათავეში რაულ ხაჯიმბა უდგას. ეს უკანასკნელი სერგეი ბაღაფშის მთავარ კონკურენტად და კრემლის ფავორიტად ითვლება. კრემლის ფავორიტმა ამ დღეებში მორიგი ანტირუსული განცხადება გააკეთა.

გაზეთ „ნუჟნაიასთან" საუბარში მან შიში გამოთქვა იმის გამო, რომ აფხაზეთი შესაძლოა რუსეთის გუბერნიად იქცეს.

— აფხაზებს განვითარების საფუძვლებს ართმევენ. ამ ხელისუფლებასთან ერთად, რომელიც არ იცავს ნაციონალურ ინტერესებს, ამჟამინდელი აფხაზეთი ვერ მიაღწევს მომავალ არჩევნებამდე, — განაცხადა რაულ ხაჯიმბამ.

მისი აზრით, აფხაზებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ არსებული ვითარების შესაცვლელად. არსებულ ვითარებაზე მეტად ოპოზიციის ლიდერს, როგორც ჩანს, უფრო ხელისუფლების შეცვლა უნდა. მას ვერაფრით მოუნელებია, ორჯერ რომ დამარცხდა ბაღაფშთან საპრეზიდენტო არჩევნებში.

— საკუთრების ეროვნული ინტერესების, ქვეყნის უსაფრთხოების გაყიდვა... განვითარების საფუძვლებს გვაცლის. ასე თუ გაგრძელდა, მაშინ ჩვენ ვრისკავთ, აღმოვჩნდეთ იმ მდგომარეობაში, რომელშიც ვიმყოფებოდით დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, გუბერნიის ან ავტონომიის რანგში, არ გამოვრიცხავ — ავტონომიური ოლქის რანგში, — ჩივის ხაჯიმბა.

აფხაზეთის სახალხო ერთიანობის ფორუმის ლიდერი ხელისუფლების შესაცვლელად, როგორც ჩანს, რეფერენდუმის ჩატარებასაც მოითხოვს.

— არსებული ვითარების შეცვლა კონსტიტუციური მექანიზმების ამოქმედებითაც შეიძლება, მაგალითად, ხელმოწერების შეგროვებით, რომლითაც რეფერენდუმის მოწყობის ინიციატივით გამოვალთ, რადგანაც აფხაზური ოპოზიცია ძალიან სუსტადაა წარმოდგენილი აფხაზურ პარლამენტში. მიმაჩნია, რომ საზოგადოებაში შეიქმნა ნეგატიური დამოკიდებულება ხელისუფლების მოქმედებებისადმი და, დღეის მდგომარეობით, ადამიანებს უკვე ესმით, რომ ასე ცხოვრების გაგრძელება აღარ შეიძლება და რომ ქვეყნისაგან აღარაფერი დარჩება, — განაცხადა აფხაზური ერთიანობის ფორუმის ლიდერმა.



შორენა მარსაგიშვილი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

თეა მარხვაი ე

# ზუგდიდის ცენტრში დაჭრილ ქართველ ჯარისკაცებს ხვრეტდნენ

## რატომ ვერ დაგვაბრუნებინა ბალტინმა აფხაზეთი

საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომში ბალტინის ჯარებსაც მოუწიათ მონაწილეობის მიღება. ამ თემას გამსახურდიას მომხრეები დღემდე აქტიურად ატრიალებენ. სამაგიეროდ, ჩეჩენი ბოევიკების შესახებ არაფერს ყვებიან. ეს სხვა თემაა და ამაზე სხვა დროს. ბალტინის ამბავს კი ჩვენს მკითხველს ყოფილი ვიცე-პრემიერი ავთო მარგიანი მოუთხრობს.

### ინტერვიუ ავთო მარგიანთან

**— ბატონო ავთო, ამბობენ, რომ 1993 წელს საქართველოში თქვენ შემოიყვანეთ ბალტინი. ეს ასე იყო თუ გაბრალებენ?**

— არაფერს არ მაბრალებენ. ასე იყო. ამ საქმის მეთაური მე ვიყავი.

**— მერე, ამას ასე ღიად ამბობთ?**

— დასამალი რა არის? უბედურება ის იქნებოდა, ბალტინი რომ არ შემოსულიყო. სოხუმის დაცემის შემდეგ საქართველოში ძალიან დიდი ქაოსი შეიქმნა. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება დასავლეთ საქართველოში. საქმე იქამდე მივიდა, რომ გრადები დაგვიშინეს. ამ გრადებით ბომბავდნენ სამტრედიას, ლანჩხუთს.

**— მოდით, დავაკონკრეტოთ. გამსახურდიას მომხრეები გბომბავდნენ?**

— გამსახურდიას მომხრეები არ იყვნენ. იბრალებდნენ, გამსახურდიას მომხრეები ვართო.

**— რას ნიშნავს, იბრალებდნენ?**

— ამბობდნენ, გამსახურდიას მომხრეები ვართო. სინამდვილეში არავისი მომხრეები არ იყვნენ. დევნილებსა და სამეგრელოს მცხოვრებლებს დააჯერეს, რომ აღმოსავლეთ საქართველო მათ წინააღმდეგ იბრძოდა. ამის გამო ზუგდიდში უამრავი საშინელება დატრიალდა.

**— ზუგდიდში იმ პერიოდში უამრავი ტრაგედია მოხდა. თქვენ რომელი ფაქტი გაქვთ მხედველობაში?**

— ნეტავი მართლა ერთი ფაქტი ყოფილიყო. ზუგდიდში არის სასტუმრო „ოდიში". ამ სასტუმროს წინ აფხაზეთიდან გადმოყვანილი დაჭრილი ჯარისკაცები დახვრიტეს.

**— ქართველი ჯარისკაცები დახვრიტეს?**

— დაჭრილი ქართველი ჯარისკაცები დახვრიტეს.

**— და ეს ქართველებმა გააკეთეს?**

— რა თქმა უნდა, ქართველებმა გააკეთეს. აბა, ზუგდიდში თურქსა და ოსმალოს რა უნდოდა.

**— თურქი და ოსმალო არა, მაგრამ ჩეჩნები ხომ იყვნენ?**

— ეგენი მოგვიანებით შემოვიდნენ. მანამდე კი ქართველები ხვრეტდნენ ერთმანეთს. მაშინ ქართველებს შორის ისეთი ცუდი ამბები მოხდა... ამ ტკივილის გაყუჩებას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. ჩვენ შეგვეძლო 1993 წლის სექტემბერში სოხუმის გადარჩენა, მაგრამ ეს არ გავაკეთეთ. ეს დიდი საქმე ზუგდიდში გამართულმა 2-მა მიტინგმა ჩაშალა.

**— გამსახურდიას მომხრეების მიერ გამართულ მიტინგებზე საუბრობთ?**

— მაგ დასაწვავ მიტინგებზე ვამბობ. ბევრმა ისე იცის, რომ გამსახურდიამ იმ მიტინგზე ხალხს ცუდი რამისკენ მოუწოდა. უბრალოდ, მიტინგებმა გაანეიტრალა ყველაფერი, მოშალა ის მუხტი, რომელიც აფხაზეთს შეგვანარჩუნებინებდა. წინა ინტერვიუში მოგიყევით, რომ ვიყავი ოჩამჩირეში, სადაც შტაბი გვქონდა მოწყობილი. ერთ დღესაც მოვიდა ჩემთან ჩემი თანაშემწე. გიგრამიანია გვარად, ჰქვია მურთაზი. მეუბნება, ჩვენი ჯარი უკან იხევსო. თავიდან ხუმრობა მეგონა. სამწუხაროდ, ეს სიმართლე აღმოჩნდა. იმ ავბედით საღამოს დაეცა სოხუმი. ედუარდ შევარდნაძე იქიდან ძალიან გვიან გამოვიდა. ის, სხვათა შორის, ჩემმა ბიძაშვილმა გამოიყვანა.

**— შევარდნაძე სოხუმიდან თვითმფრინავით არ გამოვიდა?**

— ჩემი ბიძაშვილი მფრინავია. მან გამოიყვანა ედუარდი. მას თითქმის ყველა შემოეცალა. როცა გავიგე, რომ ედუარდი თბილისშია, მეც უკან დავბრუნდი. შევხვდი შევარდნაძეს. ვუთხარი, ომის წაგება სახუმარო საქმე არ არის და ეს გენერლები უნდა დასაჯოთ-მეთქი.

**— მთელი გენერალიტეტის დასჯას ითხოვდით?**

— იმათ დასჯას ვითხოვდი, რომლებიც სოხუმში ჩვენს ჯარს არ მიეხმარნენ. სოხუმში ვინც იბრძოდა, იმ გენერლებს რას ვერჩოდი. დანარჩენები კი მართლა დასასჯელები იყვნენ. ზემოთ გითხარით, რომ ზუგდიდში ძალიან ცუდი მდგომარეობა იყო. სოხუმის დაცემის შემდეგ გალში ჩემი ბიჭები ჩავაყენე. ზუგდიდისკენ არ გავაშვებინე კიტოვანი და რამდენიმე ბატალიონი. ისინი ენგურის ხეობისკენ წავაყვანინე. ზუგდიდში მათ ქობალია და მისი ხალხი ელოდებოდნენ.

**— კიტოვანი ზუგდიდში რომ შესულიყო, მოკლავდნენ?**

— რატომ მარტო კიტოვანს? ნებისმიერს დახვრეტდნენ. აკი გითხარით კიდევაც, რომ სასტუმრო „ოდიშის" წინ ბევრი დაჭრილი ქართველი ჯარისკაცი დახვრიტეს. ამიტომაც გავაგზავნე ჩვენი სამხედროები ენგურის ხეობით.

**— რა ადგილზეა ენგურის ხეობა და სად მიდის იქიდან გზა?**

— გალს რომ გამოსცდები, არის ენგურჰესი. იმ მხარეს იწყება ენგურის ხეობა. ასე გზას რომ აუყვები, ახვალ სვანეთში. ესენიც ავიდნენ სვანეთში და იქიდან ჩამოვიდნენ შემდეგ სამშვიდობოს. მე ამასობაში ედუარდს მოვთხოვე, საგანგებო შტაბის ხელმძღვანელად დავენიშნე.

**— რა, შტაბის ხელმძღვანელად დაანიშვნინეთ თავი?**

— დასავლეთ საქართველოში ვითარების სტაბილიზაციის საგანგებო შტაბის ხელმძღვანელად დავინიშნე. შტაბი მოვაწყვეთ ქუთაისში. აეროპორტის უფროსის კაბინეტში. რალაცების დარეგულირება ვითომ დავიწყეთ. მალევე მივხვდი, რომ არაფერი არ გამოდიოდა. ცოტა ხანში გავფრინდი მოსკოვში. სადაც ჩემს ძმებსა და მეგობრებს შევხვდი. მანამდე შევაწუხე კუჩმა.

**— ის რატომღა შეაწუხეთ?**

— სოხუმის დაცემის შემდეგ ხალხი ხომ უნდა გამოგვეყვანა იქიდან. ამისთვის საჭირო იყო გემები. სევასტოპოლი უკრაინისა კი არის, მაგრამ იქ დღემდეა განთავსებული რუსეთის ფლოტი. ამ ფლოტს სხვა ადამიანი ედგა სათავეში. ის ცუდად იქცეოდა. ამის გამო მოვახსნევინეთ. მის ადგილზე დავანიშვნინე ბალტინი.

**— რუსებს თქვენ მოახსნევინეთ შავი ზღვის ფლოტის სარდალი? ეს ცოტა დაუჯერებელია.**

— სულაც არ არის დაუჯერებელი. ჩვენ რუსებს ვუთხარით, რომ ის კაცი ხალხის ევაკუაციაში არ გვეხმარებოდა. ამის გამო ის ბალტიის ზღვის მიმართულებით გადაიყვანეს. მის ადგილზე დაინიშნა ბალტინი. სხვათა შორის, მაგ დროს ძალიან დამეხმარა იგორ როდიონოვი.

**— რომელი იგორ როდიონოვი, 9 აპრილის გმირი?**

— იგორ როდიონოვთან დაკავშირებით ცუდის თქმა არ შემიძლია. მე მაშინ ჩემი ხალხის გვერდით ვიდექი. 9 აპრილი ჩემთვისაც დიდი ტრაგედიაა. როდიონოვი მტყუანი რომ იყოს, არ გავამართლებდი. ის ამ დარბევის სასტიკი წინააღმდეგი იყო, გვაფრთხილებდა და გვთხოვდა, რამე გაგვეკეთებინა, რათა ტრაგედია არ დატრიალებულიყო. ისტორია ყველაფერს დაადგენს. დადგება დრო, როცა ყველა ყველაფერს გაიგებს.

**— მაინც რას გავიგებთ?**

— მან 8 აპრილს პარტიული აქტივის კრებაზე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა, თქვა, ხალხის წინააღმდეგ ჯარს ნუ გამოვიყენებთო. ეს როდიონოვი მერე დაწინაურდა. მისი მოადგილე იყო ბალტინი. ისე, რომ იცოდეთ, ბალტინი აფხაზეთიდან ხალხის ევაკუაციაში ძალიან დაგვეხმარა. მოსკოვში შემახვედრეს ბალტინს. დავსხედით, დავილაპარაკეთ. ვუთხარი, უნდა დაგვეხმარო და აფხაზეთი შეგვანარჩუნებინო-მეთქი. მითხრა, აფხაზეთის შენარჩუნებაშიც დაგეხმარებით და სხვა რამეშიც გვერდში დაგიდგებითო. მან ერთი პირობა წამოგვიყენა.

**— რა პირობა?**

— ფოთი შავი ზღვის ფლოტის ნავსაყუდელად უნდა დაგვეტოვებინა.

**— დათანხმდით?**

— დავთანხმდი. მოსკოვშივე გავაფორმეთ სათანადო შეთანხმება. ქართული მხრიდან დოკუმენტს ხელი მე, იგორ გიორგაძემ, ვახტანგ გოგუაძემ და ალექსანდრე ჯავახიშვილმა მოვაწერეთ. ბალტინი დაბადებულია 21 დეკემბერს. ამ დღეს, ხომ იცით, დიდი სტალინია დაბადებული. ამიტომაც ბალტინი თავის დაბადების დღეზე გორში დავპატიჟეთ. ის საქართველოში წამოვიდა 9 გემით.

**— 9 გემით დაბადების დღეზე წამოვიდა?**

— არა, ეს დაბადების დღემდე იყო. ჩვენ მაშინ ძალიან გაგვიჭირდა და დახმარება ვთხოვეთ. დასახმარებლად წამოიყვანა 9 გემი. ერთი გემი გააჩერა გუდაუთასთან, მეორე — გაგრასთან, მესამე — სოხუმთან, მეოთხე — ოჩამჩირესთან, მეხუთე — ფოთთან, მეექვსე — ბათუმთან. დანარჩენი 3 გემი კი ნეიტრალურ წყლებში დატოვა. ამ გემების შემოსვლის შესახებ ასლან აბაშიძის გაფრთხილება ვერ მოვასწარით.

**— არ გადაირია მერე ამაზე აბაშიძე?**

— რას არ გადაირეოდა. მაგარი ყვირილი დაუწყია. მერე დავურეკეთ და ავუხსენით, რაშიც იყო საქმე. ბალტინი აქ ომის დასაწყებად არ შემოსულა.

**— ფოთის გამსახურდიას მომხრეებისგან გათავისუფლებაში ხომ მიიღეს მონაწილეობა ბალტინის ჯარისკაცებმა?**

— არაფერი ცუდი იმ ხალხს ფოთში არ გაუკეთებია. მხოლოდ 1 ტყვია გავარდა. ისიც მისი ჯარისკაცი დაიჭრა. ყველაფერი ნელ-ნელა მოგვარდა. გამსახურდიას მომხრეებმა დატოვეს ფოთი და სამეგრელოს სხვა ქალაქები. ამის შემდეგ 3 ტანკით და 4 ბეტეერით წავედით სამეგრელოსკენ. მე და ბალტინი ვისხედით წინა ბეტეერში, უკან შევარდნაძე და ფაცაცია მოგვყვებოდნენ.

**— რომელი ფაცაცია?**

— ოთარ ფაცაცია, საქართველოს პრემიერის პოსტი რომ ეკავა.

**— მოსახლეობა თქვენს გამოჩენას როგორ შეხვდა?**

— მთელი სამეგრელო გარეთ იყო გამოფენილი. სიხარულით შეგვხვდნენ, ისე მკოცნიდნენ.

**— ცოტა დაუჯერებელია, რომ მაშინ სამეგრელოს მოსახლეობა ხელისუფლების წარმომადგენელს ხვევნა-კოცნით შეხვედროდნენ.**

— არ გჯერათ? თუ გინდათ, დავნიძლავდეთ. წავიდეთ სამეგრელოში დამკვირვებლებთან ერთად და ნახავთ, რამდენი ათასი კაცი მაკოცებს. ძალიან თბილად შეგვხვდა სამეგრელო. ხალხს არეულობა და ომი ყელში ჰქონდა ამოსული. ბალტინი აქ იმიტომ მყავდა ჩამოყვანილი, რომ აფხაზეთი დაგვებრუნებინა. ჩვენ ერთად გადავედით ენგურზე. შევედით გალში და ვიწყებდით აფხაზეთის დაბრუნებას.

**— რატომ ვერ დაიბრუნეთ?**

— იმ პერიოდში ხორბალი ძალიან ჭირდა. ძლივს ვიშოვეთ იტალიაში ხორბალი. საქართველოში რამდენიმე გემით წამოვიღეთ. მომივიდა ინფორმაცია, რომ ხორბლით დატვირთული 35 გემი გაიჭედა. მე მომიწია 1 კვირით საქართველოდან წასვლა. ჩვენი გემები უკან იდგნენ. დახმარება ვთხოვე დემირელს. საქმეში ჩაერია, მაგრამ არავინ დაგვითმო რიგი. მერე ერთ ჩემს ბიძას გაახსენდა, რომ გემზე ხანძარი გაჩნდა. გამოიძახეს დიდი სახანძრო გემი სტამბოლიდან. მან ხანძარგაჩენილ გემთან ერთად კიდევ ათი გემი ჩაიბა და გამოვედით.

**— ხანძრის ამბავი მოიგონეთ?**

— აბა, რა გვექნა, ხალხს უპუროდ ვერ დავტოვებდით.

**— სვანებმაც დაიწყეთ აფერისტობა, ბატონო ავთო?**

— ეს აფერისტობა არ არის. ხომ გაგიგონიათ, ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო. მე რომ აქ წამოვედი, ბალტინი იქ დავტოვე. ერთი კვირის განმავლობაში კაცი იყო სიბნელეში.

**— სიბნელეში რატომ იყო?**

— იმიტომ რომ საქართველოში მაშინ სინათლე არ იყო. მას არავინ უკავშირდებოდა. კაცი გადაირია. ჯერ კიდევ სტამბოლში ვიყავი, რომ დამირეკა, მითხრა, მე უნდა წავიდეო. ვთხოვე, კიდევ 3 დღე მოიცადე, ჩამოვალ და ერთად გადავწყვიტოთ ეს საქმე-მეთქი.

**— დაგელოდათ?**

— დამელოდა. ჩამოვიყვანე წყალტუბოში. იქ მითხრა, თავი დაანებე აფხაზეთზე ფიქრსო. ისიც დაამატა, ეგ აღარავის აინტერესებსო. ამბობდა, რაღაც ძალიან სერიოზული ძალა მუშაობს, რომელსაც უნდა, საქართველომ აფხაზეთი დაკარგოსო.

**— რა ძალებზე საუბრობდა, რუსეთის ხელისუფლებაზე?**

— მასონებზე. მთხოვა, შევარდნაძეს შეხვდი და უთხარი, მასონებს თავი დაანებოსო. გადავირიე, მაშინ რა ვიცოდი მასონების ამბავი. ბალტინი მეუბნებოდა, ამ ძალებმა ყველაფერი გააკეთეს, საქართველოს აფხაზეთი რომ დაეკარგაო. ისიც ამიხსნა, რატომ იყვნენ გაყუჩებული რუსები.

**— რატომ იყვნენ?**

— ჩვენ ხმას არ ვიღებდით და რუსებს რა ძალა ადგათ. დავურეკე ედუარდს და ვუთხარი, ბალტინს წასვლა უნდა და რა ვქნა-მეთქი. მითხრა, თუ წასვლა უნდა, წავიდესო. ედუარდი მიხვდა, რომ აფხაზეთის დასაბრუნებლად ხელს აღარავინ გაანძრევდა. ასე დაიკარგა აფხაზეთის დაბრუნების შანსი. ამ ყველაფერში მასონები არიან დამნაშავეები. ეგენი შეუჩნდნენ ედუარდს და ათასი შეცდომა დააშვებინეს. ედუარდს ეგონა, რომ მათ საქართველოსთვის კარგი უნდოდათ. ბუშებმა ბევრი ცუდი რამე გაგვიკეთეს. მერე შევარდნაძე მიუხვდა მათ ეშმაკობას და მათი მოთხოვნები აღარ გაითვალისწინა. ამის გამო მოუწყვეს მას რევოლუცია. თანამდებობა კი დაკარგა, მაგრამ საქართველო გადაარჩინა.

**— რისგან ან ვისგან იხსნა საქართველო?**

— ამერიკას საქართველო თავისი მიზნებისთვის რომ სჭირდება, ყველამ იცის. ნუ დამიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ვაშინგტონი ჩვენზე გიჟდება. ისინი საქართველოს გამოყენებას სათავისოდ აპირებენ. გამოიყენებდნენ კიდევაც, ედუარდს რომ არ შეეშალა ხელი. მათ უნდოდათ, საქართველოში ჩაეყენებინათ ჯარი და აქედან დაერტყათ ირანისთვის. ედუარდი ამის სასტიკი წინააღმდეგი წავიდა. ამიტომაც მოუწყვეს, რაც მოუწყვეს. ისტორია ყველაფერს გაარკვევს. ყველაფერს მალე მოეფინება ნათელი. მალე გავიგებთ, ვინ დაგვაწყებინა ომი და ვინ დაგვაკარგვინა აფხაზეთი. მჯერა, ქართველი ხალხი პასუხს ყველას მოსთხოვს.



# სახეზე არც ერთი ძვალი მთელი არა მაქვს



აკაკი ბობოხი ეს თავის დაბადების დღე არ ახსენდება

ნანა მიშელაშვილი

**ქუთაისის მაჟორიტარი დეპუტატი აკაკი ბობოხიძე ამბობს, რომ სკოლის დროს „შატალოზე" არასდროს წასულა. სკოლის საგნებიდან მაინცდამაინც არ უყვარდა ბიოლოგია, სამაგიეროდ, ძალიან უყვარდა მათემატიკა, რამაც მისი პროფესიის არჩევა განაპირობა.**

აკაკი ბობოხიძე ამბობს, რომ ბავშვობაში ორივე ხელი მოტეხილი აქვს და სახეზე თითქმის არც ერთი ძვალი მთლიანი არა აქვს. ამის მიუხედავად, ირწმუნება, რომ მოჩხუბარი არ ყოფილა და არც ერთი ტრავმა ჩხუბის დროს არა აქვს მიღებული.

**„ახალი თაობა" აკაკი ბობოხიძეს ესაუბრა.**

***— საიდან ხართ ბობოხიძეები?***

— ბობოხები იყვნენ უძველესი კოლხური ტომები. ალბათ, ჩემს გვარს ბობოხების თემთან რაღაც აკავშირებს. გვარი რომ კოლხურია, ამას მტკიცება არ სჭირდება. ძირითადად ბობოხიძეები ცხოვრობენ ხონის რაიონის სოფელ გორდში, ლეჩხუმსა და წყალტუბოს რაიონის სოფელ ჟონეთში.

***— თქვენ სოფელ გორდიდან ხართ?***

— დიახ. დადიანები წელიწადის რვა თვეს გორდში ატარებდნენ და მხოლოდ 4 თვე ჩადიოდნენ ზუგდიდში. ე.წ. სააჯო სხდომა ანუ სასამართლო მხოლოდ გორდში ტარდებოდა. გორდი იყო დადიანების საზაფხულო რეზიდენცია.

***— ბობოხიძეები დიდი გვარი ხართ?***

— არც ისე. როგორც ვიცი, ამ გვარის მატარებელი 1100 ადამიანია.

***— საგვარეულო შეკრებები გაქვთ?***

— ჩემს სოფელში ტარდება ბოლო სამი წელია საგვარეულო შეკრება, რადგან ითვლება, რომ გვარის წარმოშობის ადგილი ეს სოფელია. ჩემდა სამწუხაროდ, უნდა ვთქვა, რომ ამ შეკრებაზე ზოგჯერ ვერ ვახერხებ ჩასვლას.

***— სკოლა გორდში დაამთავრეთ?***

— კი.

***— როგორი ბავშვი იყავით?***

— ცელქი ბავშვი ნამდვილად არ ვყოფილვარ.

***— ზომიერი ბავშვი იყავით?***

— მოძრავი ბავშვი ვიყავი, მიყვარდა სპორტი. ვფიქრობ, რომ უზრდელი ბავშვი არ ვიყავი.

***— მასწავლებელს რაღაცებს არ „უჩალიჩებდით"?***

— არა. მე ვეკუთვნი იმ თაობას, რომელსაც ეგონა, რომ მასწავლებელი არ ჭამდა, მასწავლებელი იყო ზეაადამიანი. მე ვსწავლობდი სკოლა-ინტერნატში, რომელიც ჩემი სახლის გვერდით იყო, დადიანისეულ ტყე-პარკში. დედა ფილოლოგია და ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. ეს იყო გარკვეული რეჟიმის ქვეშ მყოფი სკოლა, სადაც გაკვეთილების შემდეგ ბავშვებს ტოვებდნენ და მასწავლებლების მეთვალყურეობის ქვეშ მეცადინეობა გრძელდებოდა. არათუ არ ვაბრაზებდი მასწავლებელს, იყო შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი გაკვეთილს აცდენდა და უმცროს კლასებში მასწავლებლის მაგივრად მე მტოვებდნენ. ასე რომ, თავიდანვე მასწავლებლობა დამებედა.

***— დედა ორიანს არ გიწერდათ?***

— ორიანს არ ვიმსახურებდი.

***— თუ გინდობდათ და იმიტომ არ გიწერდათ?***

— არა, ერთ-ერთი კარგი მოსწავლე ვიყავი. ეს სკოლა რვაკლასიანი იყო. მეშვიდე კლასიდან ქუთაისში გადავედი სასწავლებლად.

***— ისეთი საგნები თუ იყო, რომლებიც არ გიყვარდათ?***

— ყველა საგანი ერთნაირად ღრმად შეიძლება არ იცოდე, მაგრამ ყველას ვსწავლობდი. არ მიყვარდა ბიოლოგია და საზოგადოებათმცოდნეობა. ძალიან მიყვარდა ისტორია, ოღონდ, არა ის ისტორია, რომელსაც სკოლაში მასწავლიდნენ. დღედაღამ შემეძლო ისტორიული წიგნების კითხვა. შემეძლო, გამოცდებისთვის ნებისმიერი საგანი ორ-სამ დღეში მომემზადებინა, ფრიადზე თუ არა, კარგზე მაინც. მაგრამ, 2-3 დღეში მომზადებული საგანი გამოცდების შემდეგ 2-3 დღეში გავიწყდება. იყო საგნები, რომლებსაც კარგად ვსწავლობდი, მაგალითად, მათემატიკას.

***— ქიმია გიყვარდათ? ბევრი დეპუტატი ამბობს, რომ სკოლაში ქიმია არ უყვარდა...***

— ქიმია კარგი საგანია. ამ საგანს ძალიან კარგად ვსწავლობდი, რადგან კარგი მასწავლებელი მყავდა. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლაში არა მარტო ფიზიკა-მათემატიკა, არამედ ყველა საგანი სერიოზულად ისწავლებოდა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რომელი საგნის გამო ჩაიჭრებოდა ბავშვი. ჩაჭრილი ბავშვი სკოლას დატოვებდა.

***— დედა ფილოლოგი გყავდათ. არ გირჩევდათ, რომ ამ განხრით წასულიყავით და არა მათემატიკის?***

— მიმაჩნია, რომ ფილოლოგიური კუთხით არანაირი ნიჭი არა მაქვს, თუმცა, კითხვა ძალიან მიყვარს. ამ სფეროში განსაკუთრებული ნიჭი უნდა გქონდეს. მათემატიკაში სწავლა შეიძლება, რადგან ორჯერ ორი ოთხია, მაგრამ ქართულის ზედმიწევნით კარგად ცოდნას ფილოლოგისთვის შესაფერისი ნიჭი სჭირდება. ვთვლი, რომ ჩემს ძმას ეს ნიჭი აქვს. მიუხედავად იმისა, რომ არსად არ იბეჭდება, მიმაჩნია, ერთ-ერთი კარგი პოეტია საქართველოში. ვინც ჩემი ძმის ლექსებს კითხულობს, ყველა ამბობს, რომ კარგი ლექსები აქვს.

***— ძმა თქვენზე უფროსია თუ უმცროსი?***

— ჩემი ძმა, ლევანი, 4 წლით უმცროსია.

***— თქვენი ძმის ბევრი ლექსი იცით?***

— მე ვარ კაცი, რომელსაც ძალიან უყვარს, როდესაც ლექსებს უკითხავენ, მაგრამ თვითონ კარგად ვერ კითხულობს. ჩემი მეგობრებისგან მომისმენია ლექსი, რომელიც ძალიან მომწონებია, მაგრამ იმავე ლექსს მე ისე კარგად ვერ ვკითხულობ, როგორც ისინი. ლექსი, გარდა იმისა, რომ კარგი უნდა იყოს, კარგადაც უნდა წაიკითხოს ადამიანმა.

***— 4 წლით უმცროს ძმასთან ბავშვობაში ჩხუბობდით?***

— არ ვჩხუბობდი, იმიტომ რომ, აშკარად ვჩაგრავდი. ჩხუბი ორმხრივია, მაგრამ, უნდა ვაღიარო, რომ ამაში ვცოდავდი. თუმცა, ჩემი ძმა უკვე დიდი ხანია გამოვიდა ჩემი გავლენის სფეროდან.

***— ბავშვობაში თქვენი გავლენის ქვეშ იყო?***

— უდავო ლიდერი ვიყავი ჩემს და-ძმას შორის, რომლებიც ჩემზე უმცროსები არიან.

***— და თქვენ მხარეს იყო თუ თქვენი ძმის?***

— ერთმანეთის მხარეს იყვნენ, როგორც „დაჩაგრულები". ის უნდა გაეკეთებინათ, რაც მე „მინდოდა", მაგალითად, მე ვამბობდი, რა უნდა გვეთამაშა, როგორ უნდა გვეთამაშა. რადგან ვთამაშობდით, ე.ი. მათაც სიამოვნებდათ. რაც შეეხება ჩხუბს, იმ პერიოდში ვერ მომერეოდნენ. ახლა არ ღირს ჩემი მხრიდან გამოცდა, მოვერევი თუ არა ჩემს ძმას, იმიტომ რომ ნამდვილად ვიცი, ვერ მოვერევი, ფიზიკურად ძალიან ძლიერია.

***— ქუთაისში „შატალოზე" სად დადიოდით?***

— „შატალოზე" ნამყოფი არა ვარ. ჩვენი სკოლიდან არც არავინ დადიოდა შატალოზე". მთელი დღე ბავშვები მასწავლებლების მეთვალყურეობის ქვეშ ვიყავით, გალვიძებიდან დაძინებამდე.

***— სკოლის პერიოდში სპორტით იყავით დაკავებული?***

— არა მარტო სკოლის პერიოდში, ახლაც ვცდილობ, ფეხბურთი ვითამაშო ჩემს კოლეგებთან ერთად.

***— როგორი ფეხბურთელი ხართ?***

— რაიმე განსაკუთრებული იმიჯი არა მაქვს, მაგრამ არასპორტსმენის პირობაზე არცთუ ისე ურიგოდ გამომდის. ბავშვობაში კრივითაც ვიყავი დაკავებული, უნივერსიტეტის გუნდში ვიყავი.

***— კრივში რაიმე მიღწევა გაქვთ?***

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონი ვიყავი რამდენჯერმე.

***— მეტოქის დამარცხება კრივში ადვილად შეგიძლიათ?***

— გააჩნია... ჩემზე ძლიერს, ალბათ, ვერ დავამარცხებ.

***— კრივის დროს რაიმე გაგიტეხიათ, ან ტუჩი, ან ცხვირი?***

— არა.

***— აქამდე არ მისულა საქმე?***

— კრივის დროს კრივის ხელთათმნით ძალიან დაბალია იმის ალბათობა, რომ რაიმე გაგიტყდეს. ეს შიშველი ხელით დარტყმისას უფროა შესაძლებელი.

***— ბავშვობაში რაიმე ტრავმა გაქვთ მიღებული?***

— კი, ორივე ხელი მაქვს მოტეხილი.

***— როგორ მოიტეხეთ?***

— ერთხელ მეზობლის სახლის მეორე სართულიდან გადმოვვარდი და ხელი მაჯაში მომტყდა. ახლაც ერთ-ერთ თითს ბოლომდე ვერ ვხრი. სახეზე თითქმის არც ერთი ძვალი არა მაქვს მთლიანი.

***— რაღაც, გარეგნულად არ გეტყობათ...***

— შესაძლოა, მაგრამ ასეა. თავის დროზე ყბა გავიტეხე. არც ერთი ტრავმა ჩხუბის დროს არ მიმიღია, რადგან მაინცდამაინც დიდი მოჩხუბარი არ ვიყავი.

***— კლასი კლასზე რომ ჩხუბობდა, ასეთი ფაქტები თქვენ დროს იყო?***

— ქუთაისში ჩემ დროს ასეთი შემთხვევები იყო, როდესაც კლასი კლასზე ჩხუბობდა, მაგრამ ეს კარგად მთავრდებოდა. ჩხუბში არ არსებობს არც გალახული და არც გამლახავი, ჩხუბში ზოგს მეტი ხვდება, ზოგს — ნაკლები.

***— ისე, გამშველებელს უფრო მეტი ხვდება...***

— კი, ზოგჯერ გამშველებელს უფრო მეტი ხვდება.

***— მუსიკასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?***

— ძალიან მძიმე, ხმა არ მივარგა, თუმცა, სიმთვრალეში თავხედობა მყოფნის და სიმღერას ვყვები.

***— ეს რამდენი ჭიქის შემდეგ ხდება?***

— ლიტრ-ნახევრის შემდეგ.

***— ღვინის დაყენება შეგიძლიათ?***

— შემიძლია, თუმცა, ოთხი-ხუთი წელია, ყურძენს ვყიდულობ, ქარხანაში შემაქვს და ვაწურვინებ, იმიტომ რომ ქარხანაში იფილტრება, იწურება.

***— კარგ და ცუდ ღვინოს მარტივად არჩევთ?***

— კი. კახელებს ძალიან ვაბრაზებ, როდესაც ვამბობ, რომ საქეიფოდ თერჯოლის ციცკა-ცოლიკაურის ნარევი ყველას სჯობია. ამას კახელების გასაბრაზებლად კი არ ვამბობ, მართლა ასე ვფიქრობ. თერჯოლის ციცკა-ცოლიკაურის ნარევი საქეიფოდ კარგი ღვინოა, რომელიც ძალიან მალე გაყენებს რაღაც დონეზე და ამის შემდეგ თუ კაცს მთელი ღამე ქეიფი და მხიარულება გსურს, შეგიძლია, გაერთო. თუ გინდა, საათ-ნახევარში მოასწრო გათიშვა, მაშინ კახური ღვინო უნდა შესვა, ლაპლაპა უნდა დალიო.

***— ლაპლაპა რა არის?***

— ეგ არის პირამდე გავსებული თასი, ერთი წვეთიც რომ დაამატო, გადმოიღვრება.

***— განსხვავებული სასმისით შეგისვამთ?***

— სხვადასხვა განსხვავებულით შემისვამს, თუმცა, რაიმე სატრაბახოს ამაში ვერ ვხედავ. რატომ უნდა დალიო ადამიანმა ვეტერინარული შპრიცით, არ მესმის! კრამიტითაც რატომ უნდა დალიო, რომელიც ძალიან მოუხერხებელია, არც ეს ვიცი. თუმცა, ალბათ, სუფრაზე უარს ვერ იტყვი, მაგრამ ამით ტრაბახი, რომ განსხვავებული და განსაკუთრებული სასმისით შეგისვამს, მართალი გითხრათ, არ მესმის.

***— გავიგე, რომ კარგი თამადა ხართ...***

— რა გითხრათ, კარგი თამადაა ის არის, ვისაც შეუძლია სუფრასთან ლექსის თქმა, სიმღერის წამოწყება. სადღეგრძელოს ლამაზად თქმა ყველას შეუძლია, მაგრამ ლექსის კარგად წარმოთქმა — არა. გაცილებით მირჩევნია, ის ადამიანი იყოს თამადა, რომელსაც ლამაზად შეუძლია ლექსის წარმოთქმა. როდესაც თამადა ვარ, აკვიატებული მოთხოვნა არა მაქვს, რომ მაინცდამაინც მისმინონ. ქეიფი არ არის მხოლოდ ღვინის სმა და სადღეგრძელოების ერთმანეთისთვის გადალოცვა. ქეიფი თუ გინდა და მეგობრებთან ერთად ხარ, ეს არის წარსულის გახსენება, ლამაზი ლექსი, სიმღერა. ერთხელ ბალტიისპირელები გვყავდა სტუმრად და ერთმა ჩვენმა მეგობარმა მათ პატივსაცემად კახეთში სუფრა გააწყო. ამ სუფრაზე მოიწვია გურჯაანელების „ხუთკაცა". ეს ხალხი თავად იღებს სუფრის ლამაზ სპექტაკლად გადაქცევის ფუნქციას. საღამოს 6 საათზე დავსხედით და დილის 6 საათზე ავდექით. ისე შეუმჩნევლად გავიდა დრო, რომ ჩემს სიცოცხლეში არ მახსოვს, ამდენი ხანი სუფრასთან ვმჯდარიყავი. გურჯაანის „ხუთკაცა" საოცარ კახურ სიმღერებს მღერის. ვაპირებ, ჩემი შვილები წავიყვანო და მათი სიმღერა მოვასმენინო, ასევე ვაჩვენო, თუ რას ნიშნავს ქართული სუფრა სინამდვილეში — არა გაუთავებელ სმა-ჭამას, არამედ — საოცრებას.

***— რამდენი შვილი გყავთ?***

— ორი შვილი მყავს, მაგდა და ირაკლი. მაგდა მალე 18 წლის გახდება, ირაკლი — 12 წლის.

***— მამას ხასიათით უფრო რომელი ჰგავს?***

— არა მარტო ხასიათით, თუ ვინმე მიცნობს, პირველივე შეხვედრისთანავე მიხვდება, რომ მაგდა ჩემი შვილია. ფიზიკურადაც და ხასიათითაც მე მგავს. ირაკლი უფრო დედას ჰგავს.

***— საიდუმლოებებს დედას უფრო უყვებიან შვილები თუ თქვენ?***

— დედას.

***— მკაცრი მამა ხართ?***

— არა. პირიქით, დედა გაცილებით მკაცრია. მე შეიძლება უცბად გავბრაზდე, მაგრამ, როგორც კი დავინახავ ბიჭის ცრემლს, დამთავრებულია ჩემი სიმკაცრე. მე და ირაკლი საიდუმლოებებზე არ ვსაუბრობთ, მაგრამ ვსაუბრობთ სხვადასხვა თემაზე, ნადირობაზე.

***— ნადირობა უყვარს?***

— კი. 7 წლის შემდეგ სანადიროდ დამყავს, თუმცა, მთელი მისი ნადირობა იმით ამოიწურება, რომ მხარზე თოფგადაკიდებული 12-15 კილომეტრს გავივლით, ჯერ ცხოველისთვის არ უსვრია. მან იცის, რომ ნადირობა შეიძლება წარუმატებლად დამთავრდეს, იმის გამო, რომ ნადირი არ შეგვხვდა. ამის შემდეგ დავაყენებთ ცელულოიდის ბოთლებს და მიზანში ვესვრით. სხვათა შორის, არც სურვილი არა მაქვს, რომ რაიმე მოკლას. ირაკლი მიზანში ძალიან კარგად ისვრის. ძალიან უყვარს ბუნება. ჩემს ქალიშვილს ძაღლის შეხებაც კი არ შეუძლია, ბიჭს კი შეუძლია, ძაღლი ჩაიხუტოს.

***— ბუნებით ფიცხი ხართ?***

— სამწუხაროდ, ვარ. მიმაჩნია, რომ ბუნებით ბოროტი ადამიანი არა ვარ, რაც ძალიან მიიოლებს ცხოვრებას. არასდროს ვყოფილვარ იმაზე ფიქრით დაკავებული, როგორმე ვინმეს სამაგიერო გადავუხადო. საკმარისია 20 წუთი, ნახევარი საათი, რომ გაბრაზებამ გადამიაროს. გაცილებით ჯობია, დაწყნარებულ გულზე მიიღო გადაწყვეტილება.

***— თქვენი შვილებიდან სიფიცხე გოგონას უფრო ახასიათებს თუ ვაჟს?***

— გოგონა ფიცხი არ არის, სიფიცხე უფრო ვაჟს ახასიათებს, თუმცა, მისი სიფიცხე მხოლოდ ჩემი ბრალი არ არის, დედის მხრიდან ბაბუა გაცილებით ფიცხი იყო... ჩემი შვილები კარგად ითვისებენ მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებს, დედის მხრიდან გამოჰყვათ ნიჭი ქართულში. ძალიან მომწონს ჩემი შვილების მიერ დაწერილი თემები. მიხარია, რომ მათ წერის ნიჭი აქვთ.

***— რაც შეეხება სამზარეულოს, რომელი სადილები გიყვართ?***

— შემიძლია, იმით დავკმაყოფილდე, რაც სახლშია.

***— რაიმე კერძის მომზადება იცით?***

— ბევრის არაფრის.

***— მწვადს შეწვავთ?***

— კი, თუმცა, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამას ჩემზე კარგად აკეთებენ.

***— სახლში მარტო რომ დარჩეთ, კარტოფილს შეწვავთ?***

— ვერა, კარტოფილის დათლა მეზარება. კვერცხის გატეხა და შეწვა უფრო მარტივია. ჩაის ადუღებაც შემიძლია.

***— საჩუქრებს უფრო ხშირად თქვენ ჩუქნით თუ თქვენ გჩუქნიან?***

— როგორც იქნა, ყველა მივაჩვიე, რომ არანაირი საჩუქარი არ მომიტანონ.

***— რატომ?***

— ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ 46 წლის მანძილზე 3-4-ჯერ თუ გამახსენდა, რომ ჩემი დაბადების დღე იყო.

# საქართველოში ხელისუფლება მხოლოდ არჩევნებით შეიცვლება

## ნაციონალებს გამარჯვების იმედი აქვთ

ქეთი ხომერიკი

**„გააჩნია, ოპოზიციონერები რა კუთხით დგანან, ანუ დასავლეთი მათთვის შეიძლება იყოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მარიონეტული ხელისუფლება — კოკოითი-ბაღაფში, ან კადიროვი, ანდაც ნიკარაგუა და ვენესუელა, ისევე, როგორც რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება. კი, ამ დასავლეთის ყურადღება ჩვენ ნამდვილად გვაკლია. რაც შეეხება ევროკავშირს, ნატოს, ეუთოს, გაეროს, აშშ-ს, მათი მხრიდან უყურადღებობას ნამდვილად არ განვიცდით", — განაცხადა „ახალ თაობასთან" საუბრისას „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა, საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ.**

*— საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ ძალის გამოუყენებლობის ვალდებულება უნდა აიღოს და ჩვენ ამ მიმართულებით სერიოზულად ვიმუშავებთ, — განაცხადა ლავროვმა. ეს რას ნიშნავს, ამას საქართველოს ხელისუფლება ოდესმე დაუშვებს, ბატონო შოთა?*

— ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ ძალის გამოყენებას არ ვაპირებთ და არც არასდროს ვაპირებდით. ამგვარი ხელშეკრულება არაერთგზის დადებულა რუსეთთან და ჩვენ დღესაც მზად ვართ, მსგავსი ხელშეკრულებები დავდოთ, ოღონდ ხელშეკრულებები უნდა დაიდოს იმ მხარესთან, რომელიც ოკუპანტია და ამ შემთხვევაში ოკუპანტი არის რუსეთი. ვიმეორებ, რუსეთთან ამგვარი ხელშეკრულების დადების პრობლემა ჩვენი მხრიდან არ არის, პირიქით, ჩვენ მოვუწოდებთ კიდეც რუსებს, რომ ამგვარი ხელშეკრულება დაიდოს. რუსეთს ეს საკითხი იმისთვის სჭირდება, რომ მარიონეტულ რეჟიმებს ლეგიტიმაცია მისცეს და არა რეგიონის უსაფრთხოებისთვის, რადგან ამის პრობლემა რეგიონში ჩვენი მხრიდან არ არსებობს. იქ პრობლემა არსებობს იმ თვალსაზრისით, რომ ევროკავშირის დამკვირვებლებს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არ უშვებენ. ჩვენ ვითხოვთ, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დამკვირვებლები შევიდნენ, გაეროს მისია აღდგეს, რომელიც რუსეთმა ვეტოს უფლებით შეაჩერა, ეუთოს მისია აღდგეს, რომელიც კონსენსუსის წესის გამო შეაჩერა. აი, ეს არის რუსეთის რეალური ქმედებები. ჩვენ კი, პირიქით, მოწადინებული ვართ, რომ იქ რაც შეიძლება მეტი საერთაშორისო კომპონენტი იყოს. რუსეთი კი ყოველივე ამას ეწინააღმდეგება, რაც იმის ნიშანია, რომ ის ისევ საბჭოთა მენტალიტეტით აზროვნებს და მას ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ასე ვთქვათ, მოწმეები და ასეთი სერიოზული საერთაშორისო ორგანიზაციები არ სჭირდება.

*— ლავროვის ხაზგასმა იმაზე, რომ ამ მიმართულებით სერიოზულად იმუშავებენ, რას უნდა გულისხმობდეს, რაიმე საფრთხეს ხომ არ უნდა ველოდოთ ჩრდილოეთის მხრიდან?*

— პრინციპში, არაფერსაც არ უნდა ველოდოთ, რადგან მათ მომხრეები საერთაშორისო დონეზე ორგანიზაციული თვალსაზრისით არ ჰყავთ. ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს პოზიცია არის მყარი. უკვე ყველა სახელმწიფო ამბობს და დოკუმენტურად ადასტურებს იმას, რომ ეს ტერიტორია ოკუპირებულია. მეორე ანუ რუსეთის მხარეს კი ორი მარიონეტი კოკოით-ბაღაფში, ნიკარაგუა, ნაურუ და ვენესუელა წარმოადგენენ. სულ ეს არის. ისინი პოსტსაბჭოთა სივრცეზეც კი ვერ გავიდნენ. უკრაინზე, ბელორუსიასა და შუა აზიაზე გასვლის მცდელობა არაერთხელ ჰქონდათ, მეტიც, ხან ემუქრებოდნენ, ხანაც აშანტაჟებდნენ ბელორუსიის პრეზიდენტს. იგივე იყო უკრაინის პრეზიდენტთან მიმართებითაც, მაგრამ, თქვენ ხედავთ, რომ მათ ამ სივრცეშიც სერიოზული პრობლემები აქვთ და ამ მხრივ ვერაფერს მიაღწიეს.

*— კოკოითის თქმით, სამხრეთ ოსეთს მალე კიდევ ერთი სახელმწიფო აღიარებს. თქვენი აზრით, რომელ სახელმწიფოს გულისხმობდა ის, ისრაელს ხომ არა? სხვათა შორის, ბოლო პერიოდში არაერთხელ ითქვა, ისრაელი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის აღიარებას აპირებსო. ეს რამდენად მოსალოდნელია?*

— არა, პრაქტიკულად, გამორიცხულია, რომ ისეთმა სერიოზულმა სახელმწიფომ, როგორიც ისრაელია, აღიაროს ის ტერიტორია, სადაც ეთნოწმენდა მოხდა. თვითონ ისრაელის დაარსება უკავშირდება იმ პრობლემას, რომ ებრაელების მიმართ ფაშისტებმა ეთნოწმენდა და გენოციდი განახორციელეს და მაშინ ებრაელების მიმართ საერთაშორისო დონეზე დიდი სიმპათია გაჩნდა, რამაც დიდი ბიძგი მისცა მათ კანონიერ მოთხოვნას — ისრაელის სახელმწიფოს შექმნას. მანამდეც იყო ეს მოთხოვნა, მაგრამ არ სრულდებოდა. ასე რომ, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია, იმ ერმა, რომელმაც იცის, რომ მათ მიმართ სიმპათიები საერთაშორისო დონეზე ეთნოწმენდის გამო გაჩნდა, ეთნოწმენდამომხდარ ტერიტორიაზე თეორიულად მაინც დაუშვას დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობა. ეს არის საერთაშორისო სამართლის წარმოუდგენელი დარღვევა და ამგვარი რამ არ მოხდება. თუ ნაურუს სტილის სახელმწიფო მოიძებნა, რომელიც რუკაზე არ არის ან რაღაც წერტილივითაა და ამაზე ფულს აკეთებს, ან ისეთი ოდიოზური პიროვნებები, როგორებიც ვენესუელისა და ნიკარაგუის პრეზიდენტები არიან, კი აღიარებენ მათ დამოუკიდებლობას. სხვათა შორის, ნაურუსთვის ეს პირველი არ არის, ვგულისხმობ ამგვარ აღიარებას და შემდეგ არაღიარებაზეც ფულის აღებას. აი, ამ ფარგლებს ისინი ველარ სცდებიან.

*— რუსეთი საქართველოს მხრიდან პროვოკაციებს არ გამორიცხავს, რადგან საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი, ამიტომ ყველაფერს გავაკეთებთ, რათა სამხრეთ ოსეთის საზღვრების უსაფრთხოება უზრუნველვყოთ. მუდმივად პროვოკაციებზე რატომ ამახვილებენ ყურადღებას, ამ მიზეზით დამატებითი ჯარის შეყვანას ხომ არ გეგმავენ სამაჩაბლოში?*

— იქ სამხედრო კონტინგენტი ისედაც საკმაოდ დიდია. მეორე არის ის, რომ იქ ოკუპანტების მიმართ თვითონ მოსახლეობაშია უკვე საკმაოდ ნეგატიური განწყობა. რუსეთის პროპაგანდა ხატავდა, რომ აფხაზებისა და ოსების მტრები ქართველები იყვნენ და ეს ხატი უკვე მოიშალა, რადგან ისინი ქართველებს ფიზიკურადაც ვერ ხედავენ, მაგრამ ხედავენ რუსებს, რომლებიც ყოველდღე სვამენ, არბევენ, ძარცვავენ, მაროდიორობენ და ა.შ.



*— ვრცელდება ინფორმაციები, რომ რუსებს აფხაზეთის ტერიტორიების ნაწილის მიტაცება სურთ და ამის გამო მათ აფხაზებთან კონფლიქტური სიტუაციაც კი შექმნიათ...*

— აი, ამიტომ ვამბობ ამას. დიახ, მათ ამ ტერიტორიებსა და ქონებაზეც გართულება აქვთ და ა.შ. აი, ამ ყველაფერმა ის განწყობა, პრაქტიკულად, წაშალა. რუსებს კვლავ უნდათ ამის რეანიმირება და მათი დარწმუნება იმაში, რომ ქართველები მათი მტრები ვართ. ამიტომაც ეუბნებიან მათ, რომ ჩვენგან საშიშროება მოდის და, ჩვენ თუ არ ვიქნებით, აქ რაღაც სასწაული მოხდებაო. აი, ამიტომ აკეთებენ რუსები ასეთ განცხადებებს, თუმცა, ამისთვის არსებობს უკვე საერთაშორისო ორგანიზაციები და ჩვენ ვეუბნებით მათ, რა შუაში ვართ ჩვენ, იქ იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც იქნებიან მშვიდობის გარანტები. ჩვენ დავდოთ ხელშეკრულება ევროკავშირის, ნატოს, გაეროს, ეუთოს მასშტაბით, რომ იქ არანაირი სამხედრო კონტინგენტი, გარდა მათი ეგიდისა, არ იქნება და ეს ზონა განიარაღების ზონად გამოვაცხადოთ, თუმცა, რუსები ასეთი ხელშეკრულების დადებაზე უარს ამბობენ. სხვათა შორის, რუსეთი უკვე დადებულ ხელშეკრულებებს არ ასრულებს, სარკოზ-მედვედევ-სააკაშვილის ხელმოწერას ვგულისხმობ და რაღაზეა ლაპარაკი.

*— როგორ უნდა მოხდეს რუსეთის იძულება იმაზე, რომ მან მსგავსი ხელშეკრულება დადოს ან უკვე დადებული შეასრულოს?*

— ასეთი ქმედებებით რუსეთი, პრაქტიკულად, თვითიზოლაციაზე მიდის. მას მომხრეები არ ჰყავს, არადა, დღეს მსოფლიოში მომხრეების გარეშე, ანუ მსოფლიო საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე არსებობაც კი წარმოუდგენელია. არსებობას პირდაპირი მნიშვნელობითაც ვგულისხმობ, რადგან მაღალი ტექნოლოგიები, შენი საქონლის საერთაშორისო დონეზე გატანა და ინვესტიციები გჭირდება და ეს ყველაფერი შეგიმცირდება, რადგან აგრესორი ხარ და იქცევი ისე, როგორც შუა საუკუნეებში იქცეოდნენ. რუსეთი ან აირჩევს დემოკრატიის გზას, ან თვითლიკვიდაციას დაიწყებს. ახლა ეს მისი ასარჩევია, ჩვენთვის კი უკეთესი იქნება, რომ მან აირჩიოს დემოკრატიის გზა, რათა დემოკრატი მეზობელი გვყავდეს, რომელიც იქნება პროგნოზირებადი როგორც ჩვენთვის, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

*— რა უნდა მოიმოქმედოს საქართველოს ხელისუფლებამ იმისთვის, რომ ოკუპირებული ტერიტორიები რუსულმა ჯარმა დატოვოს და, საერთოდაც, რას აკეთებს ამ მხრივ მმართველი გუნდი?*

— ჩვენ ამ მიმართულებით საერთაშორისო ძალებს კიდევ უფრო მეტი მობილიზება გვჭირდება და დღეს სწორედ ამით ვართ დაკავებული. ახლაც გეტყვით, მობილიზებაში რასაც ვგულისხმობ. ჩვენ გარეშე აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნები, რომლებიც, დავუშვათ, ახლა ნატოს წევრები არიან, ევროკავშირსაც ვგულისხმობ, ბალტიისპირეთის ქვეყნებს, აქეთ პოლონეთს, უნგრეთს, რუმინეთს და ა.შ. აი, ამ სახელმწიფოებმა კარგად იციან, თუ რას ნიშნავს ფაშისტური და საბჭოთა ოკუპაცია. ამიტომ ჩვენ ამ სახელმწიფოებთან ერთად სერიოზული სტრატეგიის შემუშავება გვჭირდება. ერთია ის, რომ ჩვენ თვითონაც კარგად უნდა გავიაზროთ, რა ხდებოდა ამ სახელმწიფოებში გასაბჭოების პერიოდში, ხელისუფლების დამხობის დროს, მაგალითად, ის, თუ როგორ გააქრო და სრული ოკუპაცია მოახდინა ჰიტლერმა ჩეხოსლოვაკიისა. ჩვენთანაც ანალოგიურად იქცევა საბჭოთა რუსეთი, რომლის ქმედებაც ბოლშევიზმისა და ფაშიზმის ნაზავია. ამიტომ, ვფიქრობ, ამ სახელმწიფოებში რეალური მხარდამჭერები გვეყოლება როგორც სახელმწიფოებრივ, ასევე არასამთავრობო სექტორებზე. მაგალითად, ჩვენ ამ მიმართულებით დოკუმენტურ ფილმებს ვიღებთ. დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელზე 22 საათზე გავა ფილმი ჩეხოსლოვაკიის ფაშისტურ ოკუპაციზე, რომელსაც გაწირული ჩეხოსლოვაკია ჰქვია და უკვე შაბათს გავა საბჭოთა ოკუპაციაზე, პრაღის გაზაფხული, 68 წლების ამბები. ამ ფილმებიდან ადამიანს ზუსტად შეუძლია ნახოს ის, თუ რას ნიშნავს, როდესაც საერთაშორისო საზოგადოება მიგატოვებს და ფაშისტებს ხელს შეუწყობს, რომ ჩეხოსლოვაკიის ოკუპაცია მოახდინოს. ამ ფილმში ნახავთ, როგორ გამოდიოდნენ მაშინ საფრანგეთი, ინგლისი და იტალია და შეგიძლიათ შეადაროთ დღევანდელ დღეს, როდესაც მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობა, იგივე საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, მეტიც, აღმოსავლეთ ევროპის ის ქვეყნები, რომლებმაც იგივე გამოიარეს, როგორ არიან დღეს. დღეს საერთაშორისო საზოგადოება სერიოზულად არის მობილიზებული. მეორე არის ის, რომ ახლა უკვე მსოფლიო ამას თავის სახელს უწოდებს — ამას ოკუპირებული ტერიტორიები ჰქვია, სადაც ეთნოწმენდა მოხდა. ახლა უკვე ღირსების საკითხია, შეარჩენს თუ არა მსოფლიო რუსეთს იმას, რომ ეთნოწმენდამომხდარ რეგიონს დამოუკიდებელი სახელმწიფო ერქვას. ვფიქრობ, საერთაშორისო საზოგადოება ჩვენთან ერთად უკვე კონკრეტულ გეგმას შეიმუშავებს იმაზე, თუ როგორ იქნეს შეჩერებული რუსეთის მხრიდან ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია და უკვე უკუპროცესი უნდა დაიწყოს. მოქმედებაზე უნდა გადავიდეთ, სხვა საშველი აღარ არის. გავიგეთ, რომ ამას ოკუპირებული, ეთნოწმენდამომხდარი რეგიონი ჰქვია და მერე რა? აი, ეს მერე რა უკვე უნდა დაიწყოს, რადგან ამასაც თავისი დრო აქვს. ასევე უნდა დაიწყოს, დაუშვან, ან ევროკავშირში, ან ნატოში საქართველოს გაერთიანება. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო მთლიანად შევა ევროკავშირში ან ნატოში, ოღონდ, დათქმული იქნება, რომ ეს ორი ტერიტორია ოკუპირებულია.

*— ეს რამდენად არის შესაძლებელი, ბატონო შოთა?*

— შესაძლებელია და ამგვარი მაგალითებიც არსებობს. ჩვენი მომდევნო ფილმი იქნება გერმანიაზე, ანუ იმაზე, თუ როგორ დაიშალა გერმანია. დღეს კი გერმანია ევროპის მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანაა. მისი არსებობა-არარსებობის საკითხი იდგა 45 წელს და, როდესაც ნატოში მიიღეს გერმანია, ვგულისხმობ გფრ-ს ნაწილს, მაშინ იყო ისეთი მხარე საარის, რომელიც გფრ-ს შემადგენლობაში არ შედიოდა, მაგრამ ნატოში მაინც მიიღეს. რაც შეეხება ევროკავშირს, მასში გაწევრიანების ამგვარი პრეცედენტი არსებობს. აი, მაგალითად, კვიპროსი ევროკავშირში მთლიანად არის მიღებული, მიუხედავად იმისა, რომ მისი ერთი ნაწილი თურქეთის მიერ არის ოკუპირებული. ასე რომ, ამის პრობლემა არც ევროკავშირს და არც ნატოს არ აქვს, რადგან მსგავსი პრეცედენტები ჰქონიათ. ერთი სიტყვით, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებისთვის მხოლოდ ნატოსა და ევროკავშირის სურვილია საჭირო და, დარწმუნებული ვარ, ეს მოხდება კიდეც.

*— რაც შეეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს, ვაშაძე დარწმუნებულია, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის თანაბარ დონეზე მოლაპარაკებები დაიწყება. ეს რამდენად შესაძლებელია და რა ვადებში?*

— სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს, თუმცა, ძნელი სათქმელია, მოლაპარაკებები როდის და რა ვადებში დაიწყება. ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რუსეთში რა მოხდება. იმედია, იქ ხელისუფლებაში ისეთი ხალხი მივა, რომლებიც მიხვდებიან, რომ იმპერიულ სტრუქტურებს გასავალი აღარ აქვთ. ვერ გეტყვით, რა მოხდება, ვნახოთ, დაველოდოთ 2012 წელს და მის შემდგომ განვითარებას. რაც შეეხება აგრესიას, ეს რუსეთის მხრიდან, პრაქტიკულად, გამორიცხულია, თანაც, ამას არ სჭირდება იმდენი დრო, რამდენიც 2008 წლის აგვისტოს დროს დასჭირდა, რადგან ევროდამკვირვებლები უშუალოდ აქ იმყოფებიან და, რუსეთის აგრესიის მცდელობის შემთხვევაში, ეს იქნება მყისიერად აღკვეთილი. ამას, ანუ სიტუაციაში გარკვევას, თუ ვინ გაისროლა პირველმა, ან თანაზომადი იყო ძალის გამოყენება თუ არა, მაშინდელივით 3-4 დღე აღარ დასჭირდება. ისინი აქ არიან და მათი უფლება და ფუნქცია სწორედ ის არის, რომ ასეთ შემთხვევაში შესაბამისად იმოქმედონ.

*— ოპოზიციის წარმომადგენლები გამუდმებით აღნიშნავენ, რომ სააკაშვილმა დასავლეთის მხარდაჭერა დაკარგა. ამაზე რას იტყვით, ბატონო შოთა?*

— გააჩნია, ოპოზიციონერები რა კუთხით დგანან, ანუ დასავლეთი მათთვის შეიძლება იყოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მარიონეტული ხელისუფლება — კოკოითი-ბაღაფში, ან კადიროვი, ანდაც ნიკარაგუა და ვენესუელა, ისევე, როგორც რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება, კი, აი, ამ დასავლეთის ყურადღება ჩვენ ნამდვილად გვაკლია. რაც შეეხება ევროკავშირს, ნატოს, ეუთოს, გაეროს, აშშ-ს, მათი მხრიდან უყურადღებობას ნამდვილად არ განვიცდით.

*— დაბოლოს, „ქართული პარტია" გვპირდება, რომ ხელისუფლებას წელსვე შეცვლის, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პოლიტიკიდან საერთოდ წავლენ. შესწევთ მათ იმის ძალა, რომ ხელისუფლება შეცვალონ და, საერთოდაც, ელით თუ არა ქვეყანაში პროცესების გამწვავებას?*

— ასეთი დაპირებები არაერთგზის მოგვისმენია, თუმცა... ისე, მინდა გითხრათ, რომ ისინი პოლიტიკაში არც არიან. საქართველოში ხელისუფლების შეცვლის ერთადერთი გზა არსებობს — არჩევნები. სხვათა შორის, დღევანდელი მონაცემებით, ჩვენ საკმაოდ მაღალი რეიტინგი გვაქვს, თუმცა, ეს დამშვიდების საფუძველს სულაც არ გვაძლევს, პირიქით. ამდენი რეფორმის ფონზე მოსახლეობა რომ ასე გვენდობა, ეს დამატებითი პასუხისმგებლობაა. აქედან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტად გავითვალისწინებთ მოსახლეობის ინტერესებს და ამ პოზიციების გათვალისწინებით ჩვენს სამუშაო რეჟიმში კორექტივებს შევიტანთ.

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის
აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულება 1 ლარი

შორენა კოწოწაშვილი

# ქართულ მიწებს თურქებს და ჩინელებს ურიგებენ

**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პაატა ჯიბლა ე სააკაშვილს გლეხების შეურაცხყოფასა და სოფლის მეურნეობის მიზანმიმართულ ნგრევაში ამხელს. ჯიბლა ის თქმით, რამდენიმე დღის წინ ყვარელში მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა გლეხებს ზარმაცები და მუქთახორები უწოდა და მას ამაზე პასუხი უნდა მოეთხოვოს.**

— ყვარელში შეხვედრისას სააკაშვილმა მიწების დაუმუშავებლობაში პირდაპირ გლეხობა დაადანაშაულა, გლეხებს ზარმაცი და მუქთახორები უწოდა. სააკაშვილს დაავიწყდა, რომ ზარმაცი და მუქთახორა თავითონ არის. პრეზიდენტის პოსტიდან ის სისხლს სწოვს გლეხობას და ეს ყველამ კარგად ვიცით. ვფიქრობ, ეს შეურაცხყოფა გლეხებმა მას არ უნდა აპატიონ, — აცხადებს პაატა ჯობლაძე და დარწმებულია, რომ გლეხების მხრიდან სერიოზული პროტესტი მოჰყვება მათი კუთვნილი მიწების — საძოვრების, სახნავ-სათესი ფართობების გასხვისებას.

შალვა ნათელაშვილის თანაგუნდელი დარწმუნებულია, რომ ქვეყნის ეკონომიკას, სოფლის მეურნეობას და არც ერთ სფეროს არაფერი ეშველება, სანამ ქვეყნის სათავეში მიხეილ სააკაშვილი და მისი კლანური მმართველობაა.

რა ხდება სოფლის მეურნეობაში, არის თუ არა ხელისუფლების მხრიდან ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის სექტორის აღორძინებისთვის? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პაატა ჯიბლაძესთან.

***— ბატონო პაატა, ფაქტია, პრეზიდენტი და მისი გუნდი ბოლო დროს აქტიურად საუბრობენ სოფლის მეურნეობაში გატარებული წარმატებული რეფორმატორული პროექტებით. რეალურად რა აგრარული პოლიტიკა გაატარა სააკაშვილის ხელისუფლებამ აგრარულ სექტორში?***

— გახსოვთ, დაახლოებით ერთი თვის წინ, პრეზიდენტმა როგორ გააპიარა სოფლის მეურნეობის მინისტრ კვეზერელთან ერთად ის, რომ 150 მლნ-ს გამოყოფდა სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. როგორც ახლა ირკვევა, თურმე სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ დამატებითი ასიგნებებიდან მიიღებს მხოლოდ 9 მლნ ლარს. ანუ ეს იყო კიდევ ერთი ტყუილი, მორიგი პიარი ხალხის დასაბოლებლად, რაც პრეზიდენტ სააკაშვილს არაერთხელ გაუკეთებია. გახსოვთ, როგორ აპიარებდა სოფლის მეურნეობის მინისტრი პრეზიდენტთან ერთად და როგორ ამაყობდა, რომ თურმე ასი ათასობით სული ცხვარი გაიყიდა საზღვარგარეთ და მსხვილფეხა პირუტყვი. ჩვენ ვხედავთ, რომ სოფლის მეურნეობის სფეროს პრიორიტეტიდან მესაქონლეობა პრიორიტეტიდან არის ამოღებული. ამ დროს ეს უნდა იყოს ერთ-ერთი სტრატეგიული დარგი საქართველოს სოფლის მეურნეობისა. ისევე, როგორც დღიდან მოსვლისა, 2003 წლიდან დღემდე სააკაშვილი და მისი ხელისუფლება მიზანმიმართულად ეწეოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განადგურებას.

***— რის საფუძველზე აკეთებთ ამ განცხადებას?***

— იცით, რომ 2002 წელსაც კი საქართველოში იხვნებოდა დაახლოებით 750 000 ჰა მიწა. შარშანდელი შედეგებით მხოლოდ მოიხნა და დაითესა ერთწლიანი კულტურებით 260 ათასი ჰა. ანუ ფაქტობრივად იმ მიწების მესამედიც კი აღარ იხვნება, რაც 8-9 წლის წინ იხვნებოდა. ეს ერთი მომენტი, როგორ ზრუნავდა სააკაშვილი სოფლის მეურნეობაზე და დღეს გაახსენდა, რომ თურმე სიფლის მეურნეობა შეიძლება გადამწყვეტი დარგი იყოს და ამ სფეროში სერიოზული ინვესტიციები უნდა ჩაიდოს. მთავარი ის არის, რომ სახელმწიფომ არ შეიმუშავა სტრატეგია, რომელიც ხელს შეუწყობდა საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას. ეს პოლიტიკა ხელისუფლებამ გამიზნულად გაატარა, რათა შემდგომ მიწები გაესხვისებინა უცხოელებზე და სოფლის მეურნეობის პროდუქტები მეზობელი ქვეყნებიდან შემოეტანა. 80%-ზე მეტი საკვები პროდუქტებისა თურქეთიდან და უახლოესი მეზობელი ქვეყნებიდან შემოდის. ეს ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ მიზანმიმართულად ხორციელდება ხელისუფლების მხრიდან აგრარული სექტორის განადგურება. ამით თავად ხელისუფლება სარგებლობს, რადგან იცით, რომ ქვეყანაში ვერაფერს შემოიტან, თუ ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ინტერესებში არ არის. გლეხებისთვის უნდა ამოქმედებულიყო შეღავათიანი კრედიტები, რათა დამუშავებული მიწებით გლეხებს კრედიტებიც დაეფარათ და ოჯახებიც ერჩინათ. ამასთან სოფლის მეურნეობა სადაზღვევო კომპანიებს უნდა დაეზღვიათ, მაგრამ რატომღაც ეს მხოლოდ დღეს გაახსენდათ. ფაქტია, დღეს სააკაშვილის ოჯახური კლანის მიერ ხელოვნურად არის გაზრდილი საწვავზე გადასახადები, განსაკუთრებით ეს ეხება დიზელის საწვავს და გლეხებს საშუალება არა აქვთ, ამხელა თანხა გადაიხადონ საწვავში, შხამქიმიკატებში და ჰექტრობით მიწები დაამუშაონ. მოგეხსენებათ, რომ შხამ-ქიმიკატები ქვეყნის ფარგლებს გარედან შემოდის და თან უხარისხო. უნდა ითქვას, რომ ძალიან კატასტროფულ მდგომარეობაშია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ქვეყანაში დაახლოებით 5 ათასამდე ტრაქტორია, რომლებიც ფაქტობრივად ამორტიზებულია. გლეხებს ძალიან უჭირთ დროულად მიწების დახვნა, რადგანაც რეალურად ამ ტექნიკას ადგილობრივი გამგებლები და ნაცმოძრაობის წევრები განკარგავენ.

***— კი მაგრამ, ბატონო პაატა, თავად პრეზიდენტმა გაუკეთა პიარი იმ ახალ ტრაქტორებს, რომლებიც რაიონებში გაიგზავნა. სად არის ის ტექნიკა?***

— 200-300 ტრაქტორი, რომელიც თითქოს სოფლებს დაურიგეს, ამ პრობლემას ვერ ხსნის. ამ ტრაქტორებით სარგებლობენ ადგილობრივი ბობოლები, რაიონების და სოფლების გამგებლები, რაიონების დეპუტატები, ანდა მათი კლანები, რომლებიც ჯერ თავიანთ მიწებს ხნავენ და გლეხებს კვირეობით უწევთ რიგში დგომა, სანამ მათი რიგი მოვა. ხოლო როცა რიგი მოუწევთ, პირდაპირ ეუბნებიან, რა თანხა უნდა გადაიხადონ იმისათვის, რომ მიწა მოხნან და დიზელი შეიძინონ.

***— ანუ ხელოვნურად უქმნის ხელისუფლება გლეხებს ბარიერებს, რომ მიწები ვერ დაამუშაონ?***

— რა თქმა უნდა. გლეხებს იმდენი ფული არ აქვთ, რომ ასეთი ძვირი საწვავის პირობებში მიწები დაამუშაონ. გლეხებს ელემენტარულად იმის საშუალებაც არა აქვთ, რომ მათზე გაპიროვნებული მიწის ნაკვეთი მორწყან. სამელიორაციო სისტემა თავის დროზე ხელისუფლებამ მოშალა. სადაც გადარჩა, იქ შპს-ები შექმნეს და თავიანთი ხალხი დანიშნეს ხელმძღვანელ პირებად. დღეს საკმაოდ სოლიდურ თანხებს ახდევინებენ გლეხებს მიწების მორწყვაში. ამ შპს-ების დირექტორები გლეხების ხარჯზე სოლიდურ თანხებს შოულობენ.

***— ბატონო პაატა, შიდა ბაზრის დაცვის კუთხით თუ გადადგა ხელისუფლებამ რაიმე ნაბიჯები?***

— პირიქით, ქვეყნის შიდა ბაზარი ბოლომდე დაუცველია. მოგეხსენებათ, საგადასახადო კანონში მიღებული ცვლილებების შედეგად საერთოდ არ იბეგრება უცხოეთიდან შემოსული სასოფლო სამეურნეო პროდუქცია. კონკურენციას ველარ უწევს შემოტანილ პროდუქციას ადგილობრივი პროდუქცია იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ადგილზე მისი წარმოება უფრო ძვირი ჯდება. თან შემოტანილი პროდუქცია ყოველგვარი დაბეგვრისგან არის თავისუფალი. აქვე მინდა გითხრათ, რომ სააკაშვილმა მთლიანად მოშალა ქვეყანაში აგროქიმიური სამსახური. ისევე, როგორც სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები მოსპო. ერთი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტიც კი არ არის, რომ 21-ე საუკუნეში გლეხობას მისცეს რეკომენდაციები ახალი ტექნოლოგიების, ახალი შხამქიმიკატების შესახებ, რომელიც მიღებულია იგივე დასავლეთის ქვეყნებში.

***— ამ პოლიტიკის ნაწილია ისიც, რომ აგრარული უნივერსიტეტი ხელისუფლებამ კახა ბენდუქიძეს ერთ ლარად მიყიდა?***

— რა თქმა უნდა. სოფლის მეურნეობის სამინიტროს გვერდით მდებარე სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი პრეზიდენტმა არაბებს მიყიდა თავის მიწის ნაკვეთებთან ერთად. არაბებმა იყიდეს მიწის ნაკვეთები ტაბახმელაში, შინდისში და ა.შ. იცით, რომ აქტიურად ყიდის ეს ხელისუფლება საძოვრებს. ამ რამდენიმე დღის წინ, სწორედ ამ საძოვრების უკანონოდ გაყიდვის გამო ჩაატარეს აქცია გორის რაიონის სოფლის მცხოვრებლებმა. საძოვრების გაყიდვის გამო გამოსვლები არის კახეთშიც. იცით, რომ სააკაშვილმა თავისი გადაწყვეტილებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთოდ ჩამოაცილა მიწების განკარგვის უფლება და ეკონომიკის სამინისტროს დაუქვემდებარა. ვერონიკა ქობალიას უწყება კი, ისე, რომ არც აინტერესებს სოფლის მეურნეობას პირუტყვი უნდა ჰყავდეს თუ არა, ისე უყიდის მათ საძოვრებს. ამ მიწებზე კი უცხოტომელებს ასახლებენ.

***— ანუ ვერა ქობალია მოსახლეობის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს რაიონებში?***

— რა თქმა უნდა. ვერა ქობალია თავისი „კომპეტენტურობიდან“ გამომდინარე მოიყვანეს ეკონომიკის მინისტრად. სააკაშვილს სურს მისი მეშვეობით განახორციელოს ანტიეროვნული პოლიტიკა, რომელიც ეხება არა მხოლოდ სოფლის მეურნეობას, არამედ მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას. სააკაშვილს უნდა ბოლომდე აკონტროლებდეს იმ სიმდიდრეს, რაც სახელმწიფოს სიმდიდრეს წარმოადგენს. სააკაშვილმა უნდა იცოდეს, რომ ერთი ტომარა გვარჯილის დარიგება სოფლის მეურნეობას ვერ უშველის. ებრაელებს აქვთ ასეთი გამოთქმა, რომ ერი, რომელიც მიწას არ ამუშავებს, ის მას არ ფლობსო. ფაქტია, დღეს მასობრივად მიდის ქართული მიწების გასხვისება უცხოტომელებზე: არაბებზე, ჩინელებზე, თურქებზე, ინდოელებზე და ა. შ. ეს გამოიწვევს ქართველი გლეხობის აყრას სოფლებიდან. მათ სხვა გზა არ დარჩებათ, გარდა იმისა, რომ უცხო ქვეყნებში გადაიხვეწონ მონური მუშაობისთვის.



**სააკაშვილმა ქართველ გლეხებს შეურაცხყოფა მიაყენა**

***— პრეზიდენტი, როგორც ჩანს, დაინტერესებულია სოფლის გაძლიერებით. ჩვენ ვნახეთ როგორც დასავლეთში მისი ვიზიტი და სიმინდის კულტურის მნიშვნელობაზე აქცენტები, ასევე ორი დღის წინ ყვარელში გლეხობასთან შეხვედრა. ესეც უშედეგოდ დასრულდება, თქვენი აზრით?***

— ეს ყველაფერი პიარის ნაწილია. სააკაშვილი ამტკიცებს, რომ მას ფეხზე კიდია ქვეყანა და მისი მოსახლეობა. ის მხოლოდ პირადი კეთილდღეობით არის დაკავებული და იმით, რომ რაც შეიძლება მეტად გაიხანგრძლივოს დიქტატორული მმართველობა. სააკაშვილი დაკავებულია გაღატაკებული ხალხის ხარჯზე გამდიდრებით. რაც შეეხება ყვარელში შეხვედრას, როცა სააკაშვილმა მიწების დაუმუშავებლობაში პირდაპირ გლეხობა დაადანაშაულა, გლეხებს ზარმაცი და მუქთახორები უწოდა. სააკაშვილს დაავიწყდა, რომ ზარმაცი და მუქთახორა თვითონ არის. პრეზიდენტის პოსტიდან ის სისხლს სწოვს გლეხობას და ეს ყველამ კარგად ვიცით. ვფიქრობ, ეს შეურაცხყოფა გლეხებმა მას არ უნდა აპატიონ.

***— რატომ არ ითხოვს ოპოზიცია თუნდაც ეკონომიკის და სოფლის მეურნეობის მინისტრების გადადგომას. ამ სფეროებში ხომ სერიოზული პრობლემებია და ამას პრეზიდენტიც აღიარებს?***

— ჩემი აზრით, არა მხოლოდ ორი მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხი უნდა დადგეს, არამედ მთელი მთავრობის და პირადად პრეზიდენტის. კვეზერელზე რომ ვისაუბროთ, ყველამ ვიცით, როგორ ამტკიცებდა, საქართველოს სოფლის მეურნეობას ბაყაყების ექსპორტი გადაარჩენსო. მერე ამბობდა, ცხვარი უნდა მოვამრავლოთო და არაბებზე გავყიდოთო. მაგრამ ამ ცხვრებს საძოვრები გაუყიდა. ბაყაყებს კი უნდა დაუშრონ დასავლეთში ჭაობები და როგორც პრეზიდენტმა თქვა, იქ სიმინდი უნდა მოიყვანონ და ასევე ტურიზმი განავითარონ. პრეზიდენტის და მინისტრის პოზიციები ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. პრეზიდენტი დღეს აცხადებს, რომ მსხვილფეხა პირუტყვი ჩვენი პრიორიტეტი არ არისო, კვეზერელი კი ამტკიცებდა: მსხვილფეხა პირუტყვის მოშენება სახელმწიფო რანგში უნდა ავიყვანოთო. ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში არ არსებობს არც ქვეყნის სტრატეგიული განვითარების გეგმა და არც სოფლის მეურნეობის პოლიტიკა. ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა სააკაშვილის ინტერესებში რომ იყოს, როგორ შეიძლებოდა ეკონომიკის მინისტრად ვერა ქობალიას დანიშვნა? ტურიზმის განვითარებაზე რომ ლაპარაკობენ სააკაშვილი და ქობალია, სად გაგონილა, ტურიზმის განვითარება ძლიერი სოფლის მეურნეობის გარეშე?

# კვერცხის წითლად შეღებვა ამაღლებამდე შეიძლება

ნათია ხურცილავა

**ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის შემდეგ ეკლესია ბრწყინვალე შვიდეულს აღნიშნავს. ბრწყინვალე შვიდეული, მამა აკაკის თქმით, აღდგომის დღის დარი დღე არის. ბრწყინვალე შვიდეულს მორწმუნე მრევლი ისევე ზეიმობს, როგორც აღდგომის დღესასწაულს.**

40 დღის განმავლობაში, ამაღლებამდე, ქრისტეს აღდგომა იდღესასწაულება ეკლესიაში.

მამა აკაკი ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ 40 დღის განმავლობაში, ამაღლებამდე, მორწმუნე მრევლს შეუძლია კვერცხის წითლად შეღებვა და ქრისტე აღსდგა! — თქმა.

აღდგომის შემდგომ პერიოდზე საუბარი ვთხოვეთ მამა აკაკის.

**ინტერვიუ ღვთისმშობლის შობის სახელობის მეტეხის ტაძრის წინამძღვარ, დეკანოზ მამა აკაკი მელიქიძესთან:**

***— მამა აკაკი, მართლმადიდებელი სამყარო ქრისტეს აღდგომის შემდეგ ბრწყინვალე შვიდეულს ზეიმობს. გთხოვთ განმარტოთ, რას ნიშნავს ბრწყინვალე შვიდეული? როგორც ცნობილია, ამ დროს განსხვავებული ღვთისმსახურება ტარდება ტაძარში...***

— მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ როგორი ბრწყინვალე და მნიშვნელოვანიც არის ქრისტეს აღდგომა, ასეთივე მნიშვნელოვანი და ბრწყინვალე არის ბრწყინვალე შვიდეული. ქრისტეს აღდგომა როგორი ძალის და ძლიერების არის, ასეთივე ძლიერების არის ეს შვიდეული. ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება ორშაბათიდან მოყოლებული შაბათის ჩათვლით ყველა დღეს. ყველა ეს დღე თავისი ძალით იგივე არის, როგორც პირველი დღე ანუ ქრისტეს აღდგომა. ეკლესიურად, ბრწყინვალედ წოდებულია იმიტომ, რომ ამ დროს ზეცა გახსნილია, ზეცის კარი ღია არის ამ დროს. დიდი, ბრწყინვალე და ნათელი დღეებია. ეკლესიურად ეს გამოიხატება აღსავლის კარის გაღებაში. ამ დღეების განმავლობაში ეკლესიის აღსავლის კარი ღია არის. შაბათის ჩათვლით, უდიდესი დღესასწაულია, განსაკუთრებულად ბრწყინვალებით იდღესასწაულება ეკლესიის და მრევლის მიერ. როგორც პირველ დღეს დიდი სიხარულით, დიდი ზარზეიმით აღიქვეს ქრისტეს აღდგომა ადამიანებმა, ასევე გრძელდება ეს დიდი სიხარული ამ დღეების განმავლობაში. ეკლესიაში განუწყვეტელი ღვთისმსახურებაა ანალოგიური იმ დღის, რაც იყო აღდგომას. ყოველდღე მორწმუნე მრევლი ესწრება ღვთისმსახურებას. ამ დღეებში, რასაკვირველია, არ არის მარხვა, მსგეფსია. ბრწყინვალე კვირას შინ თუ გარეთ ყველა ზეიმობს ქრისტეს აღდგომის დიდ სიხარულს. ვიმეორებ, ბრწყინვალე შვიდეული დიდი ძალის არის, რადგანაც ზეცა გახსნილია. ზეცის გახსნა ნიშნავს, რომ დიდი მადლი გადმოდის. ამ დღეების განმავლობაში ეს მადლი მორწმუნეებზე გადმოდის, მათზე, ვინც უფალს ადიდებს.

***— ამ მადლს თუ აცნობიერებს ადამიანი, რომელიც მასზე გადმოდის?***

— რა თქმა უნდა, ღვთისგან არის მოვლენილი, რამდენად აღიქვამს და შეიცნობს და გაითავისებს ამას ადამიანი. ვიმეორებ, ეს მასზე, ადამიანზე არის დამოკიდებული. მის რწმენაზე, მის ღვთის წინაშე კრძალვაზე. ადამიანი, რომელიც დიდად არის ჩაღრმავებული სარწმუნოებაში, თუ ის იცავს მარხვას, ლოცულობს, შეგნებით ასრულებს და მიყვება ეკლესიას, მაშინ ის აცნობიერებს. თუ ადამიანი აცნობიერებს ვნების შვიდეულს, რა იყო, როგორი სატანჯველი იყო ეს შვიდეული უფლისთვის, როგორ დაითმინა მან ეს ყველაფერი, მერე მისი სიკვდილი და ჯოჯოხეთში ჩასვლა, რომ მოექცია იქაურობა, როგორ მოხდა მიწის ძვრა, რომ ჯაჭვებით შეკრული ჯოჯოხეთის ბჭენი განეხვნა, ეშმაკის მონობისაგან ეხსნა ადამიანები, თუ ამას, ვიმეორებ, აცნობიერებს ადამიანი და ამაზე ფიქრობს, მაშინ ის ხვდება. თუ ასეთი შეგნებით არის მორწმუნე, მაშინ მას ეძლევა ძალა, რომ აღიქვას რას ნიშნავს აღდგომა. ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას წვდომა და გაგება სჭირდება. დიდი სიხარულისა და დიდი ბრწყინვალების განცდა ის კი არ არის, რომ ერთ წუთში გაგიხარდეს და მერე რაღაცამ დაჩრდილოს, არამედ ეს ვითარდება და ძლიერდება, მარადიული და წარუვალია. აღდგომის სიხარული და ბრწყინვალება მორწმუნეს არ სტოვებს თუ გინდ ის შემდეგ აწამონ, სატანჯველში ჩავარდეს, მან იცის, რა არის უფალთან თანამყოფობა, ზეციური ბრწყინვალება, ნეტარება, სასუფევლის დამკვიდრება. ადამიანი, რომელიც ცხოვრობს ეკლესიური წესებით, იცავს მარხვას, ეკლესიურად არის განსწავლული, ამ დროს ხდება მის სარწმუნოებაში სიღრმეების დაუფლება, ამით ხდება ადამიანის ცხოვრებაში გარდატეხა, ის უკვე სარწმუნოებრივად მაღალ საფეხურზეა და ამას უკვე ჭვრეტა ჰქვია. ის უკვე აქედანვე სჭვრეტს იმ ნეტარებას, იმ წარუვალს, რაც მარადიულია. ამით ადამიანი გახარებული და ბედნიერია. ამ სიხარულზე ვსაუბრობ.

***— თუმცა, ჭვრეტის უნარი ხომ რჩეულთა ხვედრია?***

— რა თქმა უნდა. უფალი ამბობს: მრავალ არიან ჩინებულნი, მცირედნი რჩეულ. რჩეულნი არიან ისინი, ვინც დაითმენს აქ ყოველივე განსაცდელს. რას ნიშნავს პასექი, რასაც ამ დიდ დღესასწაულს ვუწოდებთ. პასექი ნიშნავს იმას, რომ უფლის სვლა დაიწყო დიდ ვნებაში. უფალი ჩვენთვის, ადამიანებისთვის ევნო. ფაქტიურად ამით უფალმა ჩვენ გზა მოგვცა. ჩვენი გზაც სატანჯველის გავლაა. ამავე დროს უფალი გვიძღვის წინ. უფალმა ფაქტიურად გაგვიკვალა ეს გზა. მას უნდა მივყვეთ.

***— საუკუნო ცხოვრების დასამკვიდრებლად?***

**საუკუნო ცხოვრების დასამკვიდრებლად. მორწმუნენი ფაქტიურად ქრისტეს მივყვებით. ქრისტეს მიყოლა არა მრავალთა ხვედრია, არამედ რჩეულთა. იმათი ხვედრია, ვინც გადაწყვიტა, რომ ამ გზით იაროს. ეს ვიწრო გზა არის, რომელსაც თითო-ოროლა ადამიანი გადის. ეს არის ეკლიანი გზა, ამ ცხოვრებაში განსაცდელების დათმენა, ამა ქვეყნის სიამეთა მოკლება. ამ ყველაფრის პარალელურად არის გზა, რომელიც ფართოა, სადაც ამქვეყნიური სიამოვნება, განცხრომა, ფუფუნება უხვად არის. ეს გზა კი, გასაგებია, სადაც მიდის. წარსაწყმედელში ფართო გზა მიდის, მხოლოდ რჩეულნი მიდიან ვიწრო და ეკლიანი გზით, რაც თავად ქრისტემ გვიჩვენა თავისი სვლით და ძლევამოსილი აღდგომით. პასექი სწორედ ამ გზის გავლას ნიშნავს და შემდეგ ამ გზის გამარჯვებით ანუ აღდგომით დაგვირგვინებას, ზეცაში ასვლას და დამკვიდრებას.**



— დიახ, საუკუნო ცხოვრების დასამკვიდრებლად. მორწმუნენი ფაქტიურად ქრისტეს მივყვებით. ქრისტეს მიყოლა არა მრავალთა ხვედრია, არამედ რჩეულთა. იმათი ხვედრია, ვინც გადაწყვიტა, რომ ამ გზით იაროს. ეს ვიწრო გზა არის, რომელსაც თითო-ოროლა ადამიანი გადის. ეს არის ეკლიანი გზა, ამ ცხოვრებაში განსაცდელების დათმენა, ამა ქვეყნის სიამეთა მოკლება. ამ ყველაფრის პარალელურად არის გზა, რომელიც ფართოა, სადაც ამქვეყნიური სიამოვნება, განცხრომა, ფუფუნება უხვად არის. ეს გზა კი, გასაგებია, სადაც მიდის. წარსაწყმედელში ფართო გზა მიდის, მხოლოდ რჩეულნი მიდიან ვიწრო და ეკლიანი გზით, რაც თავად ქრისტემ გვიჩვენა თავისი სვლით და ძლევამოსილი აღდგომით. პასექი სწორედ ამ გზის გავლას ნიშნავს და შემდეგ ამ გზის გამარჯვებით ანუ აღდგომით დაგვირგვინებას, ზეცაში ასვლას და დამკვიდრებას.

***— თქვენ ბრძანეთ, რომ ბრწყინვალე შვიდეულში ზეცა გახსნილია, რამდენად რეალურია, რომ ვინც გარდაიცვლება ბრწყინვალე შვიდეულში ან აღდგომას, ის სასუფეველში ხვდება საზვერეების გავლის გარეშე?***

— სასუფეველს იმკვიდრებენ ის მორწმუნეები, რომლებიც ეკლესიური ცხოვრებით ცხოვრობენ. თუ გარდაიცვლება ადამიანი აღვსების ანუ აღდგომის ან ბრწყინვალე შვიდეულში, ის პირდაპირ ხვდება სასუფეველში ყოველგვარი საზვერეების გავლის გარეშე, შეიძლება ვთქვათ, რომ მათ ღმერთმა მოუწოდა. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ყველა ადამიანს, ვინც გარდაიცვლება. სასუფევლის კარი ღია არის მორწმუნეთათვის. ვინც უფლის კრძალვით და მოწიწებით არის და უფალს მიყვება, მას უფალი დიდ მადლს და ძალას აძლევს და იმ შინაგან ჭვრეტას, რომელზეც ვისაუბრეთ. ამ დროს ადამიანი აქიდანვე მხილველია ანუ განმჭვრეტელია და დარწმუნებულია, რომ ის დაიმკვიდრებს ცათა სასუფეველს. ამ დროს ის მშვიდად არის და მოლოდინშია უფალთან მყოფობის. ცხადია, ამ დროს მისთვის გარდაცვალებაც არაფერი არ არის. გარდაცვალებით მარადიულობაში მკვიდრდება.

***— ბრწყინვალე შვიდეულში ეკლესიაში აღსავლის კარი ღიაა და დიდი სეფისკვერი დევს. ეს რისი სიმბოლოა?***

— ეს არის არტოსი. არტოსი ბერძნული სიტყვაა და წმინდა პურს ნიშნავს. მთელი კვირის განმავლობაში აღსავლის კართან დევს წმინდა პური ანუ არტოსი. შაბათს კი დანაწილდება და მორწმუნე მრევლს დაურიგდება. ამას დიდი ძალა აქვს ავადმყოფთა განკურნებისთვის. ვინც მიიღებს ამ პურს, ის აუცილებლად გამოჯანმრთელდება. ესეც რწმენაზეა დამოკიდებული. უნდა ირწმუნოს ადამიანმა, რომ ის გამოჯანმრთელდება. რამდენადაც ბრწყინვალე დღეებია, დიდი ძალა და მადლი გადმოდის ამ პურზე და ასეთივე რწმენით უნდა მიიღოს მორწმუნემ.

***— რაც შეეხება წყლის კურთხევას, რომელიც ზოგიერთ ტაძარში ჩატარდა, რასთან დაკავშირებით?***

— ღვთისმშობლის ცხოველმყოფელი წყაროს ხატის დღესასწაული იყო და ამიტომ ზოგიერთ ტაძარში წყლის კურთხევას ასრულებენ. თუმცა, საეკლესო კალენდრით არ არის ნაჩვენები. ისე, კარგი არის, რომ ამ დღეს წყალი იკურთხოს. ნაკურთხი წყალი მრევლს დაურიგდება.

***— მამა აკაკი, ბრწყინვალე შვიდეულის შემდეგ რა პერიოდი იწყება ეკლესიური თვალსაზრისით?***

— ბრწყინვალე შვიდეული სრულდება, მაგრამ 40 დღის განმავლობაში მაინც ქრისტეს აღდგომა იდღესასწაულება. აღდგომის ტოლი კვირა არის თომას კვირა.

***— კვირაცხოვლობა?***

— დიახ, კვირაცხოვლობა. აღდგომილი ქრისტე 40 დღის განმავლობაში ეცხადებოდა მოწაფეებს, ვინ როგორ აღიქვა, რომელმა მოციქულმა. მაგალითად, თომას შესახებ, ამას მოსდევს მენელსაცხებლე დედების კვირა. სახარებისეული სიუჟეტიდან გამომდინარე, ანგელოზი ეცხადება და ის ეუბნება. შემდეგ არის სამარიტელის დღე. სახარებაში აღწერილია სამარიტელზე. უფალმა დააწესა სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა უფლისადმი. აქ საუბარია სარწმუნოების საფუძველზე, რომელიც უფლის განცხადებით დადასტურდა. უფალს შეუძლია მოგვცეს ჩვენ, ადამიანებს თავისი ცხოველმყოფელი წყარო, მაშასადამე, უკვდავების წყაროა უფალი, რომელსაც გვაზიარა. ნათლისღებით, აღსარებით, ზიარებით უფალს შევუდგებით. შემდეგი კვირა არის ბრმის კვირა. როგორც განკურნა უფალმა ბრმა და შემდეგ როგორ ირწმუნა ბრმამ უფლის. ფაქტიურად ასე იდღესასწაულება ქრისტეს აღდგომა ამაღლებამდე. ამაღლება აღდგომიდან მე-40 დღეს არის. ზუსტად ხუთშაბათ დღეს ემთხვევა.

**აღდგომილი ქრისტე 40 დღის განმავლობაში ეცხადებოდა მოწაფეებს, ვინ როგორ აღიქვა, რომელმა მოციქულმა. მაგალითად, თომას შესახებ, ამას მოსდევს მენელსაცხებლე დედების კვირა. სახარებისეული სიუჟეტიდან გამომდინარე, ანგელოზი ეცხადება და ის ეუბნება. შემდეგ არის სამარიტელის დღე. სახარებაში აღწერილია სამარიტელზე. უფალმა დააწესა სულითა და ჭეშმარიტებით თაყვანისცემა უფლისადმი. აქ საუბარია სარწმუნოების საფუძველზე, რომელიც უფლის განცხადებით დადასტურდა. უფალს შეუძლია მოგვცეს ჩვენ, ადამიანებს თავისი ცხოველმყოფელი წყარო, მაშასადამე, უკვდავების წყაროა უფალი, რომელსაც გვაზიარა. ნათლისღებით, აღსარებით, ზიარებით უფალს შევუდგებით.**

***— 40 დღე, ამაღლებამდე საზეიმო განწყობა გრძელდება?***

— დიახ, გრძელდება. ამ კვირეებში წითელი კვერცხი კიდევ ილებება და ისევ ითქმის ქრისტე აღსდგა!

***— კვერცხის შეღებვა შეიძლება?***

— შეიძლება, აღდგომის წარგზავნამდე, ამაღლებამდე კვერცხის შეღებვა შეიძლება. ყოველი ოთხშაბათი და პარასკევი თევზით არის ხსნილი. მსგეფსი აღარ არის ბრწყინვალე შვიდეულიის შემდეგ, მაგრამ თევზით ხსნილია.

***— განსხვავებული ლოცვები იკითხება?***

— „ქრისტე აღსდგა“ საგალობელი ითქმება ამ პერიოდის განმავლობაში, ეკლესიაშიც ღვთისმსახურება ამ საგალობლით იწყება. ვიმეორებ, მთელი 40 დღის განმავლობაში ქრისტეს აღდგომის ზეიმია, შემდეგ წარგზავნა ხდება და ამაღლება მოდის. ღმერთმა დაგლოცოთ და გაკურთხოთ.

# 2 თვის ვიყავი, დედამ რომ მიმატოვა

ეკა ირემაშვილი

**პროექტ „ნიჭიერის" მეორე სეზონში მონაწილე ათასობით კონკურსანტიდან წლევანდელმა ჟიურიმ ვანო ჯავახიშვილის, სოფო ნიჟარაძისა და გეგა ფალავანდიშვილის შემადგენლობით 150 კონკურსანტი მეორე ტურში გადაიყვანა. აპრილის დასაწყისში კი მათგან უკვე ის 50 საუკეთესო შეარჩია, რომლებიც ნახევარფინალში მოხვდნენ და ფინალში საუკეთესო ათეულში მოსახვედრად იბრძოლებენ.**

## რაზე ოცნებობს დუშეთის ბულბული სოსო ნარიმანიძე

მათგან ერთ-ერთი გამორჩეული მონაწილე კობიანთკარის წარმომადგენელი, 36 წლის სოსო ნარიმანიძეა. მიუხედავად იმისა, რომ გეგა ფალავანდიშვილს მისი ნამღერი არ მოეწონა და ისევ იქ ურჩია დარჩენა, სადაც აქამდე იყო, სოფომ და ვანომ მისი მეორე ტურში ხილვის სურვილი გამოთქვეს და სოსოს შანსი მისცეს. სოსოს ძალიან უნდა, გეგას თავი მოაწონოს, თუმცა, როგორც თავად ამბობს, გეგასთან საუბრის შემდეგ მიხვდა, თუ რატომ დააჭირა წითელ ღილაკს ხელი ჟიურის ყველაზე მკაცრმა წევრმა.

მედოლე დუშეთიდან დღეს უკვე ნიჭიერი სოსო ნარიმანიძეა. მიუხედავად იმისა, რომ მუსიკალური განათლება არასოდეს მიუღია, მან მაყურებლისა და ჟიურის მოხიბვლა სიმღერით „აბობოქრებულ ზღვაში გატარებ" შეძლო. უყვარს ქალაქური სიმღერები, გამორჩეულად ქართულ ესტრადაზე კი ლელა წურწუმიას, მერაბ სეფაშვილისა და ნინო ჩხეიძის სიმღერები მოსწონს.

სოსო არ მალავს, რომ გამარჯვების იმედი აქვს და ამის თქმის საშუალებას ხალხის ის დიდი სიყვარული და მხარდაჭერა აძლევს, რომელსაც ქუჩაში ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხვდება. მისი ოცნება პროექტში გამარჯვება, სამსახურის შოვნა და საკუთარი სახლის ქონაა.

სოსო სოფელში ბებიასთან, ბიძაშვილთან და ბიცოლასთან ერთად ცხოვრობს. ამბობს, რომ როცა დედამ დატოვა, ორი თვის იყო და მას შემდეგ ბებო ზრდიდა. მშობლების განშორებისა და გაჭირვების გამო ის ბავშვთა სახლში გაიზარდა და თბილისის სკოლა-ინტერნატის დამთავრების შემდეგ ისევ მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა. სოსოს სამსახური არა აქვს, სიმღერა მისი ერთადერთი არსებობის წყაროა. ის უარს არავის ეუბნება და ყოველთვის დიდი სიამოვნებით მღერის ქორწილებსა თუ ნათლობებში.

16 წლის სოსო ომში წავიდა და, როგორც თავად ამბობს, თავის სამშობლოსა და ქართველებს მხარში დაუდგა. სოსოს ვიდეოები ინტერნეტსივრცეში დიდი პოპულარობით სარგებლობს. „იუთუბის" მომხმარებლები მისი მისამართით თბილ სიტყვებს არ იშურებენ. პოპულარობას უკვე მიეჩვია და არც იმას მალავს, რომ გოგონებს მასთან ფოტოების გადაღება სურთ. მისი ფრაზა „უკეთესი, უკეთესი" საზოგადოებაში ძალიან პოპულარულია. სოსომ უკვე გადაწყვიტა, რომ ნახევარფინალში სამი ლოზუნგით გამოვა — ქალაქის კოლორიტი, დუშეთის სიამაყე და მცხეთა-მთიანეთის ბულბული. მისი ნახევარფინალი 30 მაისს არის დანიშნული. უნდა, სამსახური ჰქონდეს, თავისი ჭერი გააჩნდეს, რომ ცოლი მოიყვანოს და ლამაზი ოჯახი შექმნას. იმისათვის, რომ სოსოს სიალალე და უბრალოება ბოლომდე შეიგრძნოთ, ჩვენს ინტერვიუში მისი საუბრის სტილი აბსოლუტურად დაცულია.

**სოსო ნარიმანიძე:**

— დედას გეფიცებით და ღმერთს ვფიცავარ, ეს იყო ჩემთვის ღმერთის უდიდესი საჩუქარი. დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთის წყალობით და ხალხის წყალობით უნდა გავიმარჯვო. ისეთი მიმართებით წავედი, ისე მივდივარ და ისე ამიტაცა ჩემმა საქართველომ და ჩემმა ლამაზმა ერმა, რომ უფლის დიდებით ყველაფერი კარგად იქნება.

— ***კონკურენტების არ გეშინიათ?***

— ყველა მონაწილე მიყვარს, ყველას პატივს ვცემ, არც ერთ მონაწილეს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ხალხმა და ღმერთმა გადაწყვიტოს, ვინ იქნება უნიჭიერესი.

— ***რატომ გამოხვედით „ნიჭიერში"?***

— იმიტომ რომ მინდოდა, ხალხს უფრო და უფრო შევყვარებოდი. კი, ჩემს დუშეთს ვუყვარდი, ჩემს რაიონში პატივს მცემდნენ, ჩემს თბილისშიც დიდ პატივს მცემდნენ, მაგრამ მინდოდა, საქართველოს და ქართველ ერს, ჩემს რაიონს უფრო მეტად მოვფერებოდი. უფალმა მიბრძანა, ეს სიკეთე და სიყვარული გამეკეთებინა და მეც ასე მოვიქეცი.

— ***ბებოს მოეწონა თქვენი გადაწყვეტილება?***

— ბებოს კი არა, მთელ საქართველოს მოეწონა. მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც გვერდში დამიდგა, ჩვენს გამგეობას, ჩვენს გუბერნატორს, ჩვენს დეპუტატს, ჩემს ბათუმს, მთელ საქართველოს, ვინც მითხრა, ღმერთმა დიდი გზით გატაროსო. ახლაც ვგრძნობ, რომ ყველა მხარში მიდგას და 30 მაისს ესემესებითაც გვერდში დამიდგებიან. ვინც ჩემს სიკეთეს, სიხარულს გაიზიარებს, ყველას დიდი მადლობა.

— ***ელოდებოდით ასეთ პოპულარობას?***

— არა, ნაღდად არა. მე რომ კონცერტზე გამოვედი, დარბაზში არც ერთი დუშელი არ იყო. ღმერთმა გადმომხედა, ღმერთმა ჩახედა ჩემს ვანოს და ჩემს სოფოს, ჩემს ჟიურის თვალებში და სოფომ და ვანომ კიდე ჩემს თვალებში ჩაიხედეს, რომ ნაღდად იმისი ღირსი ვიყავი, ნიჭიერის ნახევარფინალი მიმეღო. დიდ მადლობას ვუხდი ვანოს, სოფოს და გეგასაც მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო.

— ***რომ არ მოეწონეთ გეგას?***

— არა უშავს რა. ეს მისი სტილია. შეურაცხყოფას არასდროს მიაყენებს ადამიანს. უფალ ხო მოეწონა? ხალხ ხო მოეწონა? ხალხის სიყვარული დავიმსახურე, მთავარი ეგ არის. სოფოსაც ვუყვარვარ, ვანოსაც ვუყვარვარ და გეგასაც ვუყვარვარ, არ არის ცუდი პიროვნება, კარგი ადამიანია. ჩვენ ვისაუბრეთ...

— ***და რა გითხრათ?***

— არ გეწყინოსო. ჩემს ფუნქციებში არ შედიოდაო. ნახევარფინალში უკვე სამივემ გადამიყვანა. მთლიან საქართველოს ვუხდი დიდ მადლობას. მინდა, კიდევ ერთი რამ ვთქვა — ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო. ასეა ჩემი საქმე. უფალს დიდება და ხალხს სიკეთე, საქართველოს მშვიდობა, სიყვარული და სიხარული. ღმერთმა გადაწყვიტოს, ვინ იქნება ნიჭიერი. მე არაფერს არ ვიტყვი, არ ვიტყვი, რომ მე ვარ საუკეთესო. ისევ ის სოსო ვარ, ისევ ის პიროვნება ვარ, ისევ ის თავმდაბალი ბიჭი ვარ, ისევ ის საქართველოს მოსიყვარულე პიროვნება ვარ.

— ***სოსო, ომში რატომ წახვედით?***

— ომში წავედი ჩემი ერის გულისთვის და ქართველების გულისთვის. ჩემს ლამაზ საქართველოს დავუდექი გვერდში.

— ***16 წლის ასაკში გესმოდათ ეს ყველაფერი?***

— არ მესმოდა. მე არ ვომობდი, იქ ბიჭებს საჭმელს ვუკეთებდი, ვემსახურებოდი, ვეფერებოდი და მათთვის ვუკრავდი. არ შემეძლო ომი, მაგრამ მოფერება და მომსახურება შემეძლო მათთვის. ეგეც ბევრ რამეს ნიშნავს. ღმერთს და ბუნების ძალას ვთხოვ, მალე ჩემი ცხინვალელი ლტოლვილები თავის სახლებში დაბრუნებულიყვნენ, აფხაზეთის მოსახლეობა თავის სახლებში დაბრუნებულიყოს და თავიანთ ოჯახში, თავიანთ ლამაზ კერაში ყოფილიყვნენ.



— ***სიმღერის გარდა, კიდევ რა იცით?***

— სიკეთე, სიყვარული, გახარება.

— ***სხვა საქმე?***

— სოფლის საქმე ვიცი, მაგრამ პროფესია სხვა არ მაქვს. მარტო ესტრადა.

— ***შეეგუეთ პოპულარობას?***

— მიხარია. მე ვარ ბედნიერი, რომ ქართველ ერს ვუყვარვარ და საქართველოს ვუყვარვარ. ერთი სურვილი მაქვს, რადიო რომ არის, „არ დაიდარდო", ჩემი ბავშვობის სიმღერას თუ დაუკრავენ, ბედნიერი ვიქნები. „რაც ამ ქვეყანაზე ვარსკვლავები ანათებს ყველა, მაგრამ ჩემს გულში უსასრულოდ ბნელა და ბნელა, ვიდრე ანთია ბრწყინვალება შენი თვალების, გამოანათე, ჩემო მნათობო, გემუდარები!". ჩემმა ვარსკვლავმა გამოანათა და ეს ჩემი ბავშვობის საყვარელი სიმღერაა. მეორე ჩემი საყვარელი სიმღერა, იცით, რომელია? „მივდივარ, მივყვები და ასე მგონია, ისევ ის ბიჭი ვარ, ხუჭუჭა, პატარა".

— ***კიდევ რა გიყვარდათ ბავშვობაში?***

— კიდე ალა პუგაჩოვას სიმღერები მიყვარდა. „უტრენაია პოჩტას" ვუყურებდი ხოლმე და იქ რომ სიმღერები იყო, ისინი მიყვარდა.

— ***ამდენი ტკივილი გამოიარეთ და მაინც ასეთი მხიარული როგორ ხართ?***

— უფალი მეხმარება. გეფიცებით, უფლის დიდებაა ყველაფერი, ღმერთი მწამს, იესო ქრისტე მწამს, უფალი მიდგას გვერდში. ძალიან ეკლესიური არ ვარ, მაგრამ სანთელს ყოველთვის ვანთებ, ყოველთვის ვლოცულობ.

— ***მშობლებთან კონტაქტი გაქვთ?***

— კი, დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, ორივეს პატივს ვცემ. ჩემს ფუნქციაში არ შედის ოჯახის დანგრევა. ეს უკვე მშობლების გადასაწყვეტია. ჩემი მშობლების ოჯახი დაინგრა. მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა ბებიაჩემს, ბიცოლაჩემს, დედაჩემს, ჩემს რაიონს. რას იზამ, ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო. მთავარია, ყველაფერი კარგად არის.

— ***დიდი ხანია, დედა ყურადღებას გაქცევთ?***

— კი, დედა მაქცევს ხოლმე ყურადღებას. ერთი პერიოდი გაბუტულებიც ვიყავით, ნაჩხუბრებიც, რაღაც მოხდა, არ მელაპარაკებოდა ერთი თვე. მერე, პოპულარული რომ გავხდი, მე დავურეკე თვითონ, შემეცოდა, მაინც შვილმკვდარი დედაა და მინდოდა, გვერდში მყოლიყო, ჩემი სახელით ეამაყა, რომ კარგი შვილი ჰყავს. არასდროს ბოროტი არ ვყოფილვარ. დედამ ბევრი სიკეთე გამიკეთა, ვერ დავუკარგავ ამაგს.

— ***მამა არ გეკონტაქტებათ?***

— კი. მამაჩემს სამი ცოლი ჰყავდა. ქალების მოყვარულია და ბლეიკს ვეძახი. მასთან მივდივარ სახლში. დედინაცვალი მყავს, ძალიან კარგი ადამიანია ქალბატონი მზალო, ქარელიდან არის. მადლობა მინდა ვუთხრა მამაჩემის მეორე ცოლს, ქალბატონ ნელი ჯავახიშვილს. ისიც ძალიან კარგი ადამიანია.

— ***თქვენ რატომ არ გყავთ ცოლი?***

— აბა, როგორა მყოლიყო, დაო, სახლი მე არა მქონდა, ოჯახი მე არა მქონდა, ბიძასთან ვცხოვრობდი დროებით. დედაჩემს და მამაჩემს რომ ოჯახი დაენგრათ, მერე დედინაცვალმა სხვა შვილები... მოკლედ, აირია ოჯახი, მე არა მქონდა საშუალება, აბა, საიდან, როგორ... თუ გავიმარჯვე და ყველაფერი კარგად იქნა, ბინა და ჩემი ნაშრომი მექნა, პირობას ვდებ, რომ ჩემს ოჯახში დიდი სიყვარულით დაგპატიჟებ. მე მარტო უფლის იმედი მაქვს, მე არაფერს წარმოვადგენ და ღმერთმა და ხალხმა გადაწყვიტოს, ვინ იქნება უნიჭიერესი, უმშვენიერესი და საუკეთესო პიროვნება.

— ***გოგონების მხრიდან ყურადღებას მიეჩვიეთ?***

— კი, მაგრამ გული ერთ რამეზე მწყდება — ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჩემზე დაწერა, ეს ვინ გადაიყვანეთ, ეს რა გადასაყვანი იყოო. იმ ჟურნალისტს პასუხი მოეთხოვა.

— ***შეხვდით იმ ჟურნალისტს?***

— არ შევხვედრივარ, მაგრამ არ მოიქცა კარგად.

— ***გეწყინათ?***

— კი, მეწყინა. მაგრამ მთავარია, რომ ჩემ სოფოი მოვეწონე, ჩემ ვანოი მოვეწონე, მაგათ ვენაცვალე, ჩემ ხალხ მოვეწონე, უფალ ხო მოვეწონე? ვსიო, მორჩა. ღმერთი სამობით არის — უფალი, სოფო, ვანო და ხალხი. ჟიურის წევრები სამივე მიყვარან უზომოდ. მაგათმა რომ მითხრან, მტკვარზე უნდა გადახტეო, დაუფიქრებლად გადავხტები. მათ ისეთი სიკეთე და სიყვარული მაჩუქეს, არასოდეს დამავიწყდება და ჩემზე ბედნიერი არავინ არის.

— ***ახლა ხართ შეყვარებული?***

— არა.

— ***არც ყოფილხართ?***

— ვიყავი. იმასაც ვუყვარდი ორი წელი. არ დავასახელებ, ვინ არის. იმისთვის ვიყავი ყველაფერი, ვხვდებოდით კიდეც, მაგრამ მიღალატა და გათხოვდა.

— ***ე.ი. არ ყვარებიხართ...***

— ასე გამოდის. არ ვყვარებივარ, მაგრამ ჩემი სიალალით კარგი გოგო გამოჩნდება. ღმერთი გამოაჩენს.

— ***როგორია თქვენთვის კარგი გოგო?***

— ჩემი მეუღლე უნდა იყოს უკეთესი, უკეთესი, საუკეთესო, უნდა იცოდეს ნაირ-ნაირი საჭმელების გაკეთება.

— ***თქვენც ხომ იცით საჭმელების გაკეთება?***

— კი. მე რომ ცოლს მოვიყვან, მერე რაღად მინდა საჭმლების კეთება? მიყვარს ნამცხვრები, ნამცხვრის გიჟი ვარ, შოკმანჟე მევასება.

— ***სოფლის საქმე უნდა იცოდეს?***

— თუ ქალაქელი იქნება, მაგას რა სჯობია.

— ***აღარ გინდათ სოფელში ცხოვრება?***

— სოფელი მიყვარს, ჩემს რაიონს დიდ პატივს ვცემ, ჩემს მცხეთა-მთიანეთს და ჩემს საქართველოს. ქალაქიც კარგია.

— ***მაინც, როგორი უნდა იყოს თქვენი ცოლი?***

— ჩემი ცოლი უნდა იყოს ლამაზი, კარგი, უპატიოსნესი, თავაწეულმა უნდა იაროს და მეც თავაწეულმა უნდა ვიარო, იმიტომ რომ უმაღლესი, უკეთესი მეუღლე უნდა მყავდეს. დარწმუნებული ვარ, კარგი შვილები მეყოლება, კარგი ოჯახი მექნება, თუ წარმატებას მივაღწიე. უფალი მომცემს კარგ გოგოს და მისი ნებით იქნება ყველაფერი.

— ***განსაკუთრებული შემთხვევა გქონიათ გოგონებთან დაკავშირებით?***

— ერთხელ ჯიპი აჩერებს, გადმოდის გოგო და მეუბნება, ვაიმე, სოსო, შენზე ვგიჟდები, შენზე მეკეტება, შენზე ვოცნებობო. ვუყურებ და გულში ვიძახი, როცა ჭინჭრი კერძსა ვჭამდი, როცა მიჭირდა და როცა ტუფლი არა მქონდა, მაშინ რატო არ გეკეტებოდა-მეთქი. გაზეთში იმიტომაცა ვწერ, ვეძებ ჯიპიანს! ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვაო. აი, ჩემი კვერიც გამოცხვა.

— ***მეორე ტურისთვის სიმღერა უკვე მოამზადეთ?***

— ესენი სხვანაირად მექცევიან მე და ძაან გული მტკივა. სამჯერ შემიცვალეს სიმღერა. ეხლა რაღაცა მამცეს, უცხოურიო, კაცო, ქართული არაო. ვუთხარი, ქალბატონო, ერთი შამამხედე, დედა ინგლისელი არა მყოლია და მამა. საქართველოში ჩემს ქართველ ერს უნდა ვუმღერო ქართულად, ინგლისურად ვერ ვიმღერებ-მეთქი. არაო, გადაგითარგმნით და ისე უნდა იმღეროო. ვერა ვქაჩავ ამ ინგლისურსა და რა ვქნა? ეხლა უნდა ვუთხრა, არ შემიძლია, ძმაო, შენ შემოგევლე, ვერ ვიმღერებ-მეთქი. ისე უნდათ ჩემი მოშორება, როგორც შარშანდელი თოვლი, მაგრამ უფლის ნებით და ხალხის ნებით ყველაფერი კარგად იქნება.

— ***ლაგოდეხში კონცერტი რატომ ჩაატარეთ?***

— ძმა მყავს გარდაცვლილი და ლაგოდეხში მის საფლავზე ვიყავი. რომ გაიგეს, ლაგოდეხში ჩავედი, დამესია ხალხი, იქ ლაგოდეხიო, იქ ჰერეთის კარიო, იქ ცოდნის კარიო, დამპატიჟეს, ძალიან თბილად მიმიღეს და კონცერტი ჩავატარე მათთვის.

— ***ინტერნეტში კითხულობთ, რას წერენ თქვენზე?***

— კი. ძალიან თბილი სიტყვებია და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ყველას.

— ***ახალი კოსტიუმი მართლა ბათუმელებმა გიყიდეს?***

— კი. ახალი შარვალ-კოსტუმი ბათუმელებმა მიყიდეს, ვენაცვალე მაგათა.

— ***შარვალ-კოსტუმი მამაოს რატომ აკურთხებინეთ?***

— ეს უფლის ნება იყო. პირველი შარვალ-კოსტუმი, რომელიც „ნიჭიერში" მეცვა, მამაოს ვაკურთხებინე. ეს ახალი შარვალ-კოსტუმიც უკვე ვაკურთხებინე.

— ***მუსიკის პედაგოგთან დადიხართ?***

— კი, ძაან მაგარი ქალია, უმაღლესი დონეა. ძალიან მიყვარს, დიდ პატივს ვცემ, ხანდახან ვუცდენ ხოლმე, მაგრამ რა ვქნა, ხალხთან შეხვედრა, კონცერტები მაქვს და ამიტომ ვაცდენ. ღმერთსა ვთხოვ, გაარკვიოს, ვინ იქნება უნიჭიერესი, უკეთესი. მარტო იმას გეტყვით, ჯერ სადა ხართ.

— ***ახლა გაქვთ სამუშაო?***

— კი, ქორწილებში და ნათლობებში ვმღერი ისევ. ბევრს არაფერს ვითხოვ, მინდა, სამსახური მქონდეს, რომ პურის ფული, ჩემი ჯიბის ფული მქონდეს. ქარელში ვიყავი ქორწილში, ჩემი დედინაცვლის ძმისშვილის ქორწილი იყო სოფელ ძლევიჯვარში და იქ ვიმღერე.

— ***უარს ვინმეს ეუბნებით?***

— არა. ყველასთვის ვმღერი. ისევ ის რესტორნის მომღერალი ვარ, ისევ ჩემი ქართველების, საქართველოს მოყვარული სოსო ვარ და ყველანი მიყვარხართ.

— ***გაქვთ გამარჯვების იმედი?***

— რა თქმა უნდა, ფანტასტიკური. ყველაფერი ხალხმა და უფალმა გადაწყვიტოს.

— ***თუ მოიგეთ, რას აპირებთ?***

— ჩემს ოცნებას ავისრულებ, სამსახური მინდა მქონდეს, ჩემს კუთხეს მოვიწყობ, სახლი მინდა მქონდეს, ჩემი ჭერი, სადაც ლამაზ ოჯახს შევქმნი და კარგი შვილები მეყოლება.

# ალ პაჩინო — ნათლიმამას ნიჭიერი შვილი

**ამერიკელი მსახიობი ალ პაჩინო, კინომოყვარულთათვის ძალიან კარგად არის ნაცნობი. „ოსკარის" (1993) და „ოქროს გლობუსის" (1973, 1992, 1993) პრემიების ლაურეატი.**

### ბავშვობა

ალფრედო ოაჩინო 1940 წლის 25 აპრილს დაიბადა ამერიკის ქალაქ ნიუ იორკში და სალვატორე და როუზ პაჩინოების ერთადერთი შვილი იყო. მამამისმა ოჯახი მაშინ მიატოვა, როდესაც ალფრედო 2 წლის იყო. დედამისი ხშირად ავადმყოფობდა და ბავშვი ბებიასთან, ბრონქსზე იზრდებოდა, რომელიც ისე უფრთხილდებოდა პატარას, რომ ეზოში სათამაშოდ სანამ 7 წლის არ გახდა, არ უშვებდა.



პაჩინოს ერთადერთი გასართობი კინოში იშვიათი სტუმრობა იყო, სადაც დედას მიჰყავდა. შინ დაბრუნებული ბიჭუნა დიდი სიამოვნებით ცდილობდა ფილმში ნანახი სცენების იმიტაციას და ოჯახის წევრებს ართობდა.

პაჩინო სკოლაშიც არ გამოირჩეოდა კარგი სწავლით, მაგრამ სამაგიეროდ სასკოლო დადგმების დროს ყველას ყურადღებას იპყრობდა. სწორედ ამის გამო იყო, რომ მასწავლებლებიც არ აქცევდნენ ყურადღებას მის აკადემიურ მოსწრებას.

17 წლის პაჩინომ სკოლა მიატოვა და სასწავლებლად დრამატული ხელოვნების სკოლაში გადაინაცვლა.

### თეატრი

სანამ მსახიობი გახდებოდა, ალ პაჩინომ ძალიან ბევრი რამ გამოსცადა — მუშაობდა კაფეში, დაატარებდა ფოსტას, წმენდდა ტუალეტებს, რომლის პარალელურად თეატრალურ დადგმებშიც იღებდა მონაწილეობას. როგორც კი საჭირო თანხა მოაგროვა, პაჩინო ჯერ ჩარლი ლოფტონის სამსახიობი სტუდიაში მოეწყო, შემდეგ კი ლი სტრასბერგის ცნობილ სკოლაში.

მსახიობობით ნაშოვნი პირველი „პურის ფულიც" თეატრში გამოიმუშავა და ძალიან მალე წარმატებულიც გახდა. 1967-68 წლების სეზონში საუკეთესო მსახიობად აღიარეს და კრიტიკოსებისგან „ობის" პრემიაც კი დაიმსახურა. მალე პაჩინომ ბროდვეის სცენაზე გადაინაცვლა და უკვე „ტონის" პრემიის ლაურეატიც გახდა. 1969 წელს მისით უკვე კინემატოგრაფისტებიც დაინტერესდნენ.

### კინოკარიერა

ფართო ეკრანებზე გამოჩენისთანავე ალ პაჩინომ წარმატება მოიპოვა. 1969 წელს ითამაშა ფილმში „მე, ნატალი", ხოლო 1971 წელს „პანიკა ნილდ პარკზე" და უმალ მოექცა ცნობილი რეჟისორების თვალთახედვის არეში.

ნამდვილი წარმატება კი 1972 წელს მოვიდა — 32 წლის ალ პაჩინომ რეჟისორ ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმში „ნათლიმამა", მაიკლ კორლეონეს, ნიუ იორკის მაფიის ერთ-ერთი კლანის ბოსის, დონ ვიტო კორლეონეს შვილის როლი ითამაშა. სწორედ ამ როლმა მოუტანა პაჩინოს პირველი აღიარება და „ოსკარის" ნომინაციაზეც იყო წარდგენილი.

ასევე წარმატებული გამოდგა მისი მომდევნო ფილმები — „სერპიკო" (1973), „ნათლიმამა 2" (1974), და „ნაიარევი სახე" (1983). ალ პაჩინომ კინოსამყაროში ახალი სტილი შეიტანა — უცნაური პლასტიკა და სამსახიობო ქცევა, რამაც ამერიკული კინოს აღიარებული ოსტატების გვერდით უმალვე დააყენა. თუმცა, იყო შემთხვევები, როდესაც მსახიობს უიღბლობა და ჩავარდნაც ჰქონია. 80-იანი წლების შუაში პაჩინო საერთოდ გაქრა ეკრანებიდან და რამდენიმე საინტერესო როლზე უარი განაცხადა. ამის მიზეზი მისი ალკოჰოლით „გატაცება" იყო. საბოლოოდ, კინოს მაინც ვერ უღალატა და ალ პაჩინომ მკურნალობა „ალკოჰოლით დაავადებული ანონიმური პაციენტების" კლინიკაში დაიწყო, რის შემდეგ არა მარტო სმისგან დააღწია თავი, არამედ მოწევასაც შეეშვა.

80-იანი წლების ბოლოს პაჩინო ისევ გამოჩნდა ეკრანებზე — 1989 წელს ფილმში „დიკ ტრესის" ითამაშა განგსტერ ბიგის როლი, ხოლო 1990 წელს ბოლოჯერ შეასრულა მაიკლ კორლეონეს როლი ფილმში „ნათლიმამა 3".

მსახიობმა გადაწყვიტა მაიკლ კორლეონე სხვა გმირებით შეეცვალა და არანაკლებ წარმატებით. ასეც მოხდა...

### 90-იანი წლები

1992 წელს ალ პაჩინომ ბრმა ომის ვეტერანის როლი შეასრულა ფილმში „ქალის სურნელი" და როგორც იქნა მერვე ცდით მოახერხა „ოსკარის" პრემიის აღება.

პრემიას ვერ შეწვდა, მაგრამ არანაკლებ წარმატებული როლები ითამაშა პაჩინომ ფილმებში „სიცხე", „ძაღლური შუა დღე" და „სიყვარულის ზღვა".

შთამბეჭდავად გამოიყურებოდა ალ პაჩინო 90-იანი წლების შუაშიც. დიდებულად ითამაშა როლები ფილმებში „რიჩარდის ძიებაში", „ეშმაკის ადვოკატი", „თავისი კაცი", „ყოველ კვირას", „ჩინური ყავა".

### 2000-იანი წლები

ალ პაჩინომ ბოლო ათწლეულშიც თავის კვალი დატოვა კინემატოგრაფიაში. მსახიობს არა მარტო სხვადასხვა ხასიათის პერსონაჟების თამაში მოუწია, არამედ სხვადასხვა ჟანრის ფილმებშიც სცადა ბედი. 2000 წელს ეკრანებზე გამოჩნდა რეჟისორ კრისტოფერ ნოლანის დეტექტივი „უძინარი", სადაც პაჩინოს პარტნიორობას უქევდნენ რობინ უილიამსი და ჰილარი სუონკი.

2 წლის შემდეგ მსახიობმა უკვე მელოდრამაში, „საჭირო ადამიანები" ითამაშა და მაყურებელს ისევ „ათიანში" მოარტყა. 2003 წელს კი პაჩინომ ბოევიკში გადაინაცვლა და დიდებულად ითამაშა ფილმში „რეკრუტი", ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ უკვე კომედიურ ფილმში „ვენეციელი ვაჭარი" გამოჩნდა, რომელიც უილიამ შექსპირის ამავე სახელწოდების პიესის ეკრანიზაცია იყო.

2005 წელს ადგილი უკვე თრილერმა დაიკავა და ალ პაჩინომ მეტიუ მაკკონოხთან და რენე რუსოსთან ერთად ითამაშა ფილმში „ფული ორისთვის". იგივე ჟანრში პაჩინომ ბედი 2007 წელსაც სცადა და ძალიან შთამბეჭდავადაც გამოუვიდა ფილმში „88 წუთი".

### ისევ თეატრი

ხდებოდა ისე, რომ ფილმების გადაღებების დროს ალ პაჩინოს პაუზის გაკეთება უხდებოდა და ამ დროს ისევ თეატრს უბრუნდებოდა. პაჩინო ხშირად ჩანდა ბროდვეის სცენაზე და მაყურებელი იქაც ალტაცებაში მოჰყავდა. ასე გაიბრწყინა სპექტაკლებში „რიჩარდ III" და „არტურო უის კარიერა".

— თეატრში თამაში ასი ფუტის სიმაღლეზე გაბმულ თოკზე სიარულს ჰგავს, თანაც ყოველგვარი დაზღვევის გარეშე, აცხადებს მსახიობი.

### პირადი ცხოვრება

იმის მიუხედავად, რომ ალ პაჩინოს პირადი ცხოვრება იდუმალია, მაინც ცნობილია მისი რამდენიმე პარტნიორი ქალი, რომელიც მსახიობს ჰყოლია. პაჩინოს კავშირი ჰქონდა მის კოლეგებთან — დაიან კიტონთან, დებორა უინგერთან, პენელოპა ენ მილერთან, თუეზდი უელდთან, კეტლინ ქუინლანთან. თუმცა, მისი შვილის დედა ჯულია მარი გახდა, რომელიც სამსახიობო სკოლაში მისი მასწავლებელი იყო.

2001 წელს ალ პაჩინოს უკვე ტყუპები შეეძინა — მაჯერად მისი მეგობარი გოგონასგან, ბევერლი დანჯელოსგან.

3 შვილის მიუხედავად, ალ პაჩინო არასდროს დაქორწინებულა, თუმცა თავის შვილებს უზომო პატივს სცემს და თავისუფალ დროს მათთან ერთად ატარებს.

### საინტერესო ფაქტები

ალ პაჩინო თანამშრომლობს ერთ-ერთ ფონდთან, რომელიც შიდსის, შიმშილობისა და სხვა სოციალური პრობლემების წინააღმდეგ იბრძვის.

მსახიობმა გადაწყვიტა თავი რეჟისურაშიც ეცადა და ერთი ფილმიც გადაიღო, მაგრამ ის არც მისი უახლოესი მეგობრებისთვის უჩვენებია.

ალ პაჩინო ამერიკულ კინოინდუსტრიაში ძალიან დიდი პოპულარობით სარგებლობს და თუ მისი სახელი რომელიმე ფილმის ტიტრებში ან აფიშაზე მოხვდა, ჩათვალეთ, ყველა ბილეთი გაყიდულია.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# ოთარ იოსელიანი: „დაუმორჩილებელი გმირი თავისთავად მომწონს"

**გერა მამულაშვილი**

რეჟისორ ოთარ იოსელიანთან მორიგ ინტერვიუს რუსული გამოცემა „პარკ კულტური" აქვეყნებს. მასალას მცირე წინასიტყვაობით გთავაზობთ.

— გაქირავებაში გამოდის ოთარ იოსელიანის ფილმი „შანტრაპა" — ახალგაზრდა ქართველი კინემატოგრაფისტი ნიკოს (დათო ტარიელაშვილი) ისტორია, რომელიც სსრკ-ში თაროზე შემოდებისთვის განწირულ, პოლიტიკურად არასწორ კინოს იღებს, ხოლო საფრანგეთში ემიგრირების შემდეგ აღმოაჩენს, რომ, მთელი იდეოლოგიური განსხვავების მიუხედავად, კაპიტალისტურ ქვეყანაშიც მხატვარი დაახლოებით ისეთივე ტიპის პრობლემების წინაშე რჩება.

***— გასაგებია, რომ მთავარი გმირი ავტობიოგრაფიული არ არის, მაგრამ მაინც: კინორეჟისორი საბჭოთა საქართველოდან ემიგრაციაში მიდის საფრანგეთში...***

— ჩანაფიქრის დონეზე ეს მთლად ჩემი დანაშაული არ არის — ეს ჩემი პროდიუსერების ბრალია. კბილის ექიმის შესახებ ფილმის გადაღება მსურდა, მათ კი მითხრეს: „რა კბილის ექიმი? სულ სხვა რამეა, არავინ იცის, ისინი იქ რას აკეთებენ, შენ კი ბრწყინვალედ იცი ხელობა, რომელსაც ფლობ...". შედეგად გაჩნდა შეუპოვარი ახალგაზრდა კაცის განზოგადებული სახე, არა კბილის ექიმის, არამედ კინემატოგრაფისტისა.

მართლაც, კინემატოგრაფისტთან უფრო ადვილია, რადგან ჩანს, ის როგორ მუშაობს, რას აკეთებს. მის ხელში არსებული მასალა — ეს არის ფირი, რომელსაც ჭრიან, სადღაც აძვრენენ — დარჩენილი ნაჭრები კი რატომღაც ვერ თავსდებიან ვერც ერთ სისტემაში და ვერც მეორეში. სისტემის ქვეშ იდეების იმ თაიგულს ვგულისხმობ, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში, კინემატოგრაფში არსებობს. ასე რომ, ჩვენ გადავიღეთ ფილმი შეუპოვრობაზე, ხოლო გმირი, სამწუხაროდ, კბილის ექიმი არ გახდა — მაშინ ჩემს ბიოგრაფიასთან არავის არანაირი პარალელები არ შეექმნებოდა.

***— რეალიზაციის პროცესში პერსონაჟებთან ასეთი მეტამორფოზები ხშირად ხდება?***

— მე ოდესღაც ინჟინერზე ფილმის გადაღება მინდოდა, შემდეგ ვიფიქრე, ვიფიქრე და ის მეღვინედ ვაქციე. შემდეგ კვლავ მსურდა ფილმის გადაღება ინჟინერზე, მაგრამ კვლავ ვიფიქრე: როგორ უნდა ავხსნა, იქ რის კონსტრუქციას აკეთებს? ამიტომ ის ორკესტრში დამკვრელად გადავაკეთე. ბოლო ფილმიც საბოლოოდ კინემატოგრაფისტზე გადავიღე. საბოლოო ჯამში, გმირისთვის უბრალოდ უნდა შეარჩიო პროფესია, რომელიც კარგად გამოიყურება.

***— იძულებით ემიგრირებული ნიკო თავის გადაადგილებებში საკმაოდ ინერტულია, ნაკლებად იგრძნობა, რომ ის განსაკუთრებით მიჯაჭვულია რაღაც ფესვებზე...***

— მსოფლიო ძალიან დაპატარავდა, ყველგან დაახლოებით ერთი და იგივეა. ადრე, კინკისტადორების ანდა კოლუმბის დროს, სრულიად სხვა ცივილიზაციების აღმოჩენა ხდებოდა, ისეთების, როგორებიც არიან მაია და აცტეკები, მაგრამ ევროპამ ყველაფერი დაანგრია მას შემდეგ, რაც უცნობი კონტინენტები აღმოაჩინა.

ინდოეთში ინგლისურმა ექსპანსიამ, პრაქტიკულად, დაანგრია უძველესი ინდური კულტურა და დღეს ინდოეთში ყვავის ბოლივუდი, რომელიც დღეში 500 ფილმს უშვებს. ეს არის მასობრივი კულტურის დანერგვა ადამიანებს შორის, რომლებსაც ებოძათ ნათელმხილველობა, ნირვანა, იოგას მეთოდები, სულთა გადასახლების თეორია. აფრიკა ევროპელებმა მთლიანად გარყვნეს.

***— და როგორი უნდა იყოს გმირი ამ ახალ სამყაროში?***

— ჩვენ ყველანი ვცხოვრობთ იმით, რაც პატარობისას შევისისხლხორცეთ, ხოლო ჩვენი ფორმირება მოხდა ჩვენს უბედურ ქვეყანაში, ტოტალიტარული სისტემის არსებობის ყველაზე ცუდ პერიოდში. კორუფციასთან წინააღმდეგობისა და პოზიციების არდათმობის მაგალითები ჩვენ ყველას თვალწინ გვქონდა — რუსეთშიც, საქართველოშიც, ესტონეთშიც და, პრაქტიკულად, ყველგან. ადამიანებს წინაპრების მიერ დაგროვილი ქონება წაართვეს. ამის გამო გაქრა სოფელი, გაქრა კულტურა, დარჩა ნაგავი.

მაგრამ შეუპოვარი ადამიანები, რომლებიც ამას ეწინააღმდეგებოდნენ, იყვნენ და არიან ყოველთვის. მაგალითად, ასე გაჩნდა საოცარი მწერალი, პლატონოვი. ასე გაჩნდა ბულგაკოვი. ასე გაჩნდა შუკშინი, შალამოვი. და მსოფლიო არსებობას აგრძელებს, რადგან ჩვენ არ ვითვლით მათ, ვინც დანებდა და გაირყვნა, არამედ მათ, ვინც არ დანებდა. ასეთებს ჩვენ პატივს ვცემთ. ამიტომ დაუმორჩილებელი გმირი მე თავისთავად მომწონს, სადაც არ უნდა იყოს ის: ის ხაზს უსვამს, რომ სადაც არ უნდა გაიქცე, ყველგან ერთი და იგივეა.



***— რუსეთში მუდმივად განიხილავენ, როგორ უნდა შეიცვალოს კინოდაფინანსების სისტემა, მათ შორის — არაკომერციულის, იქმნება ფონდები, იცვლება თამაშის წესები. ვიღაც რეგულარულად ფრანგულ გამოცდილებას ეყრდნობა.***

— დიახ, საფრანგეთში კინოგაქირავებიდან შემოსავლების ნაწილი ფრანგული კინოს დაფინანსებაზე მიემართება, სახსრები ნაწილდება სახელმწიფო კომისიების მიერ, რომლებიც კინოზე ავანსებს გასცემენ, არსებობს აუცილებელი დაფინანსება სატელევიზიო არხების მხრიდან, არსებობს რეგიონული დაფინანსება.

მაგრამ დღეს მაინც იქმნება პრობლემები, რადგან კომისიები იძულებულნი არიან, სულ უფრო ხშირად იფიქრონ ფილმებიდან შემოსავლებზე, ხოლო ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „შანტრაპა", შემოსავლის მიღების თვალსაზრისით, აპრიორი ცდუნებას არ წარმოადგენენ. საბედნიეროდ, კომისიები ყოველ ორ წელიწადში იცვლება და შემადგენლობის მიხედვით იცვლება მიდგომებიც და საზომებიც. მოქნილი სისტემაა. ასე რომ, ვნახოთ, ეს რით დასრულდება, მაგრამ გადაღება მძიმე საქმე გახდა.

***— კომერციული თვალსაზრისით რომელი ფილმებია პერსპექტიული, თუკი ბლოკბასტერებზე არ ვისაუბრებთ?***

— სხვადასხვა შემთხვევა არსებობს. ახლა რატომღაც ყველას სურს ფილმების გადაღება რომელიღაც რეალურად მომხდარ მოვლენებზე: მაგალითად, ჩილეში ჩარჩნენ მეშახტეები — მაშინვე კინოს აკეთებენ. როდესაც ნიუ იორკში ტერაქტი მოხდა, ოთხი ფილმი გადაიღეს. იღებენ აწგარდაცვლილ სახელგანთქმულ ადამიანებზე — ლუბუმბადან იმპერატორ ჰიროჰიტომდე.

აი, კიდევ ერთი ნათელი მაგალითი: ალჟირში ტერორისტებმა შვიდი სასულიერო პირი დახოცეს — გამოჩნდა ფილმიც, აბსოლუტურად პრიმიტიული, ექვსი წლის ბავშვების დონეზე. მორწმუნეებს თამაშობენ მსახიობები, რომლებმაც არც კი იციან, რაზე საუბრობენ, მაგრამ სამაგიეროდ ფილმი კათოლიციზმსა და რეალურ მოვლენაზეა — და კინო ძალიან საკასო გამოვიდა.

არის ასეთი ტენდენცია — ფრანგული სახელმწიფო ძალიან გამორჩევით ეპყრობა იმას, რაზე უნდა გასცეს ფული და რაზე — არა. კინემატოგრაფის გადარჩენისა და კინოპროდუქციის ნაციონალურ სიმდიდრედ განხილვის სისტემა ჯერ კიდევ დე გოლის დროს კულტურის მინისტრ მალროს მიერ იყო მოფიქრებული, მაგრამ ახლა მისი პრინციპები ყოველთვის არ სრულდება. მაინც სახელმწიფოს მხრიდან საკასო ფილმების დაფინანსებისკენ მიდრეკილება გამოიკვეთა.

***— „შანტრაპაში" ერთ-ერთ სცენაში გამოჩნდა ფილოსოფოსი ალექსანდრ პიატიგორსკი, რომელიც 2009 წელს დაიღუპა, მაგრამ ისეთი შეგრძნებაა, რომ საქმე ერთი ეპიზოდით არ უნდა შემოფარგლულიყო.***

— არა, მას როლი უნდა ჰქონოდა: ჩვენ ერთი ეპიზოდი გადავიღეთ, შემდეგ ის ლონდონში წავიდა. უნდა დაბრუნებულიყო, რათა გაგვეგრძელებინა, მაგრამ ადგა და მოკვდა. რაღაცა უნდა გაგვეკეთებინა — ჩვენ სიუჟეტის მცირე კორექტირება მოვახდინეთ და მე მისი როლის შესრულება მომიწია.

***— სხვათა შორის, თქვენს ფილმებში ბევრი შესანიშნავი მოხუცია. მათ შემცვლელებად ხშირად ნაკლებად სასიამოვნო ადამიანები მოდიან — ეს ტენდენციაა?***

— იცით, მთავარი კარგად დაბერებაა. სულაც არ არის აუცილებელი, ვიფიქროთ, რომ ნებისმიერი ასაკოვანი ადამიანი ბრძენი და წესიერია. არიან საშინელი ბებრებიც, არცთუ სუფთა წარსულისანი, არიან ყოფილი გამყიდველები — როგორიც გინდათ, ისეთები. მაგრამ ჩემს თვალსაწიერში ასევე მოუდრეკელი მოხუცები მოხვდნენ, რაც თაობებს შორის თავისებური ხიდის როლს ასრულებს: არიან ისეთები, ვისი მიბაძვაც შეიძლება! ჩვენ ყოველთვის ვბაძავთ არა არამზადებს, არამედ მაგალითებს, რომლებიც პატივისცემის ღირსნი არიან. კეთილ მაგალითებს ვბაძავთ.

# მანუჩარ მარკოიშვილი: „ნაკრებისთვის ყველაფერს გავიღებ“

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრები არსებობის მანძილზე ყველაზე საპასუხისმგებლო ეტაპზე იმყოფება. ქართველი კალათბურთელები პირველად გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და ჯგუფშიც საკმაოდ პრინციპული მეტოქეები შეხვდათ. ნაკრების თითოეული წევრის მდგომარეობა ძალიან მნიშვნელოვანია, საქართველოს არ აქვს იმის ფუფუნება, რომ პოზიციებზე კანდიდატები ასარჩევად ჰყავდეს.

ნატურალიზებულმა ამერიკელმა გამთამაშებელმა ტორინ გრინმა ტრავმა მიიღო და ჯერაც გაურკვეველია, როგორ ფორმაში შეხვდება იგი საქართველოს ნაკრების შეკრებას. იტალიის „მედიკალ კანტუში“ მოთამაშე მანუჩარ მარკოიშვილსაც ტრავმა აწუხებს. როგორც თავად კალათბურთელი ამბობს, ყოველდღე გამაყუჩებელ ნემსებს იკეთებს, რათა დეკემბერში დაშავებულმა ფეხის ცერა თითმა არ შეაწუხოს და არ სურს მომავალზე საუბარი. თუ რატომ, ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.




**მანუჩარ მარკოიშვილი:**

— მომავალ გეგმებზე საუბარი არ მინდა, იმიტომ რომ დავიღალე ამაზე ფიქრით. ფეხი მაწუხებს და არ ვიცი, რა იქნება სეზონის დასრულების შემდეგ. ჩემი ტრავმა აუცილებლად მისახედია. არ მინდა, კარიერა ასე ახალგაზრდამ დავასრულო.

***— ბოლო ტურებში შედეგიანად თამაშობთ და, გარკვეულწილად, ამიტომაც შეგეხმიანეთ, თუმცა, შენგან ტრავმის ამბავი შევიტყვეთ. კონკრეტულად რაშია საქმე?***

— გემახსოვრებათ, დეკემბერში ფეხის ცერა თითი დავიშავე. მაშინ ამის გამო 6 კვირა დავისვენე. მკურნალობამ კარგად ჩაიარა და იანვრის ბოლოს მოედანს დავუბრუნდი. მალევე იმავე თითზე თამაშისას მეტოქე დამახტა და ტკივილები ხელახლა დამეწყო. გამოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ანთებითი პროცესი გახლდათ დაწყებული. მიუხედავად ამისა, ექიმებმა მითხრეს, თუ ტკივილი არ შეგაწუხებს, თამაში შეიძლებაო. ჰოდა, გუნდის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, მოედანს დავუბრუნდი, თუმცა ყოველდღე ვარჯიშებსა თუ თამაშებზე გამაყუჩებელ ნემსებს ვიკეთებ.

***— როგორ აწყობთ, მოედანზე ყოფნისას აღნიშნული ტრავმა ხელს გიშლით?***

— ტკივილი ნამდვილად არ მაწუხებს, გამაყუჩებელი თავის საქმეს აკეთებს, თუმცა, თავად განსაჯეთ, დეკემბრამდე მატჩში საშუალოდ 12-13 ქულას ვაგროვებდი, ტრავმის შემდეგ კი ეს შედეგიანობა 2-3 ქულამდე შემცირდა. ღმერთის წყალობით, ბოლო სამ მატჩში კარგად ავთამაშდი, გასულ ტურში სულაც 18 ქულა დავაგროვე. ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ დეკემბერ-იანვარში გაცდენილი პერიოდის შემდეგ ფორმა საბოლოოდ აღვიდგინე. თუმცა, ახლა სეზონის დასრულებას ველოდები, რომ ნატკენ ფეხს მივხედო.

***— კლუბის მხრიდან რამდენად გამართლებულია ის, რომ ყოველდღე გამაყუჩებელს გიკეთებს და მოედანზე გაჰყავხართ?***

— არა მარტო გამაყუჩებელს. ასევე ვსვამ რამდენიმე აბს, რომელიც საამისოდაა საჭირო, რომ ამდენი გამაყუჩებლის მიღების შედეგად მუცელი არ ამტკივდეს ან გული არ ამერიოს. კლუბის ხელმძღვანელობა, ექიმები მეუბნებიან, მთავარია, სეზონი ჩაამთავრო, მაგ ფეხსაც მერე მივხედავთო.

***— ახლა რომ დაიწყოთ მკურნალობა, არ გამოვა?***

— კლუბს აქვს ოფიციალური დიაგნოზი, რომელიც ადასტურებს, რომ ფეხის მდგომარეობას მოედანზე ყოფნა არ გაართულებს. რა თქმა უნდა, კარგი იქნება, რაც უფრო მალე მივხედავ ამ ტრავმას, თუმცა, სეზონის ბოლოა, წინ ყველაზე საპასუხისმგებლო მატჩები გველის და „კანტუს“ ხელმძღვანელთა გეგმებში ჩემი მოედნიდან კლინიკაში გადასვლა ნამდვილად არ შედის.

***— სეზონი რომ დასრულდება, მერე რას აპირებთ?***

— კლუბთან ერთად დავსახავ იმ გეგმას, რომლის მიხედვითაც ვიმკურნალებ. იმედი მაქვს, მალე მოვირჩენ და ეროვნულ ნაკრებსაც დროულად შევუერთდები.

***— მკურნალობის ხარჯებს კლუბი დაფარავს? თერაპიის კურსი სად უნდა წარიმართოს?***

— ალბათ, საქართველოში ვიმკურნალებ, მთავარი კი სწორი მკურნალობის დანიშვნაა. მკურნალობის ხარჯებს აქამდე თითქმის სულ მე ვფარავდი. კლუბი ამ საქმეში იმ შემთხვევაში ერევა, თუკი მასთან მოქმედი კონტრაქტი გაკავშირებს.

***— და „კანტუსთან“ კონტრაქტის საქმე როგორაა?***

— ამ სეზონის დასრულების შემდეგ კიდევ ერთი წელი დამრჩა, რომელიც გარანტირებული არაა. კლუბის ნებაა, დამიტოვებს თუ არა. რამდენიმე მოთამაშეს უკვე ესაუბრნენ მომავალ სეზონთან დაკავშირებით. იმედია, მეც დამელაპარაკებიან და გავარკვევთ, მიტოვებენ თუ არა.

***— თავად თუ გაქვთ დარჩენის სურვილი?***

— რატომაც არა?! „კანტუ“ კარგი გუნდია, სერია ა-ში მეორე ადგილზე ვართ და ვცდილობთ, დარჩენილ მატჩებში ეს პოზიცია შევინარჩუნოთ, რათა ფინალამდე ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობა გვქონდეს.

***— თქვენი მიზანი ფინალში გასვლაა?***

— რა თქმა უნდა. რეგულარულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე თუ გავალთ, ლოგიკურად, ფინალში თამაშსაც ვიმსახურებთ.

***— ფინალის მოგებაზე ფიქრი რამდენად რეალურია?***

— ბოლო რამდენიმე წელია, „სიენა“ იტალიურ კალათბურთში დომინირებს. ძლიერი გუნდია, რომელმაც ევროლიგიდან „ოლიმპიაკოსი“ გააგდო და ოთხთა ფინალში გავიდა. თუკი იტალიის ჩემპიონატის ფინალში აღმოვჩნდით და „სიენას“ შევხვდით, უკეთესი შანსები მეტოქეს ექნება, თუმცა, ჩვენ მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ.

***— იტალიაში მოთამაშე ვიქტორ სანიკიძის შესახებ რას იტყვით? ალბათ, ხშირად ნახულობთ.***

— სერია ა-ს ოლ-სტარში მოხვედრით ვიკამ უკვე დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის კალათბურთელია. ცუდია, რომ „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის დებიუტშივე ფეხი იტკინა, თუმცა, მთავარი თავად მიწვევის ფაქტი გახლდათ.

***— ჩატენვების კონკურსშიც ვერ იასპარეზა.***

— სანიკიძე ჩემი მეგობარია. იგი წარმოუდგენლად მაღლა ხტება, თუმცა, ვაღიარებ, რომ ჯეიმს ვაიტთან წარმატების მცირე შანსი ჰქონდა. ამერიკელმა ისეთი რაღაცები აკეთა, რომ...

***— თქვენს კლუბში ბელგიელი ვან როსომი თამაშობს. მასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ და ევროპის ჩემპიონატზე დაგეგმილ მომავალ მატჩზე თუ საუბრობთ?***

— ვან როსომთან, ისევე, როგორც ყველა თანაგუნდელთან, შესანიშნავი ურთიერთობა მაკავშირებს. რა თქმა უნდა, ნაკრებზეც ვსაუბრობთ. ბელგიამ გასულ ზაფხულს ორი მატჩი მოგვიგო და როსომსაც სატრაბახო აქვს, მეუბნება, ევროპის ჩემპიონატზეც დაგამარცხებთო. რადგან მისმა გუნდმა გვაჯობა, მე ბევრს ვერაფერს ვეუბნები. მინდა, მოედანზე დავუმტკიცო, რომ საქართველო ბელგიას სჯობია.

***— რეალურად ფიქრობ, რომ ბელგიისა და სხვა კონკურენტების დამარცხება შესაძლებელია?***

— ახლა შანსებზე საუბარი არაპროფესიონალურად მიმაჩნია. ზოგადად შანსი როგორ არ გვაქვს. მაშ რატომ მივდივართ ევროპის ჩემპიონატზე?! რეალურად რა მოხდება, ამაზე ვერ ვილაპარაკებთ. საამისოდ ბევრი რამის გათვალისწინებაა საჭირო. არ ვიცით, ვინ როგორ ფორმაში შეხვდება ევროპის ჩემპიონატს. ამას როგორც ინდივიდუალურად მოთამაშეებზე, ასევე მთლიანად გუნდზე ვამბობ — როგორ მოვემზადებით, როგორ ჩაივლის ამხანაგური მატჩები. გასათვალისწინებელია ისიც, ნაკრების წევრთაგან სეზონის განმავლობაში ვინ რამდენს თამაშობდა — იმყოფებოდნენ თუ არა კალათბურთელები სისტემატურად მოედანზე.

***— მოსამზადებელი გეგმა ახსენეთ და საქართველოს ნაკრების წინასაევროპო განრიგზე რას იტყვით?***

— ჩვენი ნაკრების მოსამზადებელი გეგმა საკმაოდ კარგად არის შედგენილი. 12 სპარინგმატჩი საკმარისია, რათა გუნდმა კარგად შეთამაშება მოახერხოს. პირველი, რაც თვალში მეცა, ისაა, რომ მოთამაშე, რომელიც 24 ივლისს შეკრებაზე ჩავა, კარგ ფორმაში უნდა იყოს. ეს იქიდან გამომდინარეობს, რომ ამხანაგური მატჩები შეკრების დაწყებიდან მალევე გვიწევს. თუკი მოთამაშე კარგ ფიზიკურ ფორმაში არ იქნება, რა აზრი აქვს ამხანაგურ მატჩს, კომბინაციების დამუშავებას. ახლა ის ვთქვათ, ვინ როდის ამთავრებს სეზონს. გამყრელიძემ უკვე დაასრულა, ცინცაძეც ალბათ მალე, მაისის შუა რიცხვებში დაამთავრებს. ზოგისთვის გვიან დასრულდება მიმდინარე სეზონი. ახლა უკვე თავად მოთამაშეებზე, მათ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, თუ რამდენად კარგად გათვლიან და დაგეგმავენ დასვენების პერიოდს. ყველამ უნდა იზრუნოს იმაზე, რომ ეროვნული ნაკრების შეკრებას კარგ ფორმაში შეხვდეს. თუკი ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, პირობას ვიძლევი, რომ ნაკრებში მომზადებული ჩამოვალ და გუნდისთვის მაქსიმუმს გავიღებ.

# დაკავებული დვალიშვილი და თავისუფალი ბექაური

კალათბურთის ფედერაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდის ორ ახალგაზრდა ცენტრთან, ბექა ბექაურთან და აკაკი დვალიშვილთან.

ორივე ერთი ასაკის, ერთი პოზიციისა და ერთი გუნდის მოთამაშე გახლავთ. ორივე 20-წლამდელთა ნაკრების წევრია. თანაგუნდელებს ბევრი საერთო ინტერესი აღმოაჩნდათ.

***— დავიწყოთ სულ თავიდან. თქვენ შესახებ გვიამბეთ. რატომ დაინტერესდით კალათბურთით და ვინ იყო თქვენი პირველი მწვრთნელი?***

აკაკი: — თავიდანვე მაღალი, სპორტული და მოძრავი ვიყავი, ამიტომ ჩემმა მშობლებმა გადაწყვიტეს, კალათბურთზე შევსულიყავი. ჩემი პირველი მწვრთნელი იყო გურამ რეხვიაშვილი. მასთან შევისწავლე კალათბურთის ანბანი. შემდეგ 1 წლით უფროსებში გადავედი და რუსთავის დუბლებში, ბადრი კიკვიძესთან ვიყავი, რასაც მოჰყვა 16-წლამდელთა (კადეტთა) ნაკრებში თამაში.

***— ესპანეთიდან საქართველოში რატომ დაბრუნდით?***

— ესპანეთში კანარის კუნძულებზე „აკადემია სიბუში“ ჩავირიცხე. 2 თვე გამოვდიოდი იქ. თუმცა შემდეგ სავიზო პრობლემები შემექმნა და ამიტომაც დავბრუნდი. იქ არაჩვეულებრივი სავარჯიშო პირობები იყო და საკმაო გამოცდილებაც მივიღე. იმედია, მომავალში კარიერას საზღვარგარეთ გავაგრძელებ.

**ბექა:** — კალათბურთში, კაკოს მსგავსად, იმავე ფაქტორის, სიმაღლის გამო აღმოვჩნდი, თანაც დედაჩემი კალათბურთელი გახლდათ. 14 წლის ვიყავი, ვარჯიში რომ დავიწყე. ჩემი პირველი მწვრთნელი გია კაზანჯიანი იყო. გამოვდიოდი 18-წლამდელთა ნაკრებში, შემდეგ სერგო იშხნელთან ვვარჯიშობდი. გამოვდიოდი თსსუ-ს დუბლებში. შემდეგ იყო 20-წლამდელთა ნაკრები და სუპერლიგა.

***— რას იტყვით წლევანდელ სუპერლიგაზე? ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება...***

**აკაკი:** — ვფიქრობ, სუპერლიგა გაახალგაზრდავდა, ვინაიდან ჩემპიონატში ბევრი ახალგაზრდა ჩაერთო. შესაბამისად, მონდომებაც მეტია და ბრძოლისუნარიანობაც. ამავდროულად, დაბრუნდნენ ქართველი ლეგიონერები, რომლებსაც თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ და, რა თქმა უნდა, ლეგიონერები, რომლებიც ამაღლებენ სუპერლიგის დონეს. ეს მისასალმებელია.

**ბექა:** — ბევრი პერსპექტიული მოთამაშე გამოჩნდა. ყველა გუნდი ღირსეული კონკურენტია. არც ერთი გუნდი არ არის ისეთი, რომელთანაც შეიძლება, უბრძოლველად მოიგო. ყველა იბრძვის საქართველოს პირველობისთვის.

***— წელს ძალიან ბევრი ლეგიონერი თამაშობს უმაღლეს ლიგაში, მაგრამ როგორ შეაფასებდით მთლიანობაში მათი თამაშის ხარისხსა და დონეს?***

**აკაკი:** — ნორმალური დონის ლეგიონერები არიან. ბევრი კი — ნორმალურზე მაღალი კლასის. საინტერესოა მათთან თამაში. ზოგი ფიზიკურადაა ძლიერი, ზოგი — კლასით და ჩვენ მათთან თამაშით დიდ გამოცდილებას ვიძენთ.

**ბექა:** — ბევრი ლეგიონერი საკმაოდ გამოცდილია და სერიოზული გუნდიდანაც არის. მათთან თამაშით კლასს ვიმაღლებთ. საინტერესო და სასიამოვნოა ეს ჩვენთვის.

***— რას იტყვით თქვენს გუნდზე, რა შეიცვლა კლუბში ნუგზარ კანდელაკის მოსვლის შემდეგ და როგორი ატმოსფეროა ამჟამად კლუბში?***

აკაკი: — წელს სამედიცინო სულ სხვაგვარი შემადგენლობით მონაწილეობს ჩემპიონატში. მოთამაშეები შეიკრიბნენ სხვადასხვა გუნდიდან. ახალი გუნდისთვის კი აუცილებელია შეთამაშება. ვფიქრობ, აქამდე ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი სწორედ ეს ფაქტორი იყო. ნუგზარ კანდელაკის მოსვლის შემდეგ, რომელიც საკმაოდ გამოცდილია, ეს სიტუაცია დალაგდა.

**ბექა:** — არეულები ვიყავით. გუნდში ერთმანეთს ვერ შევეწყვეთ. იყო პატარა პრობლემები და დაძაბულობა, მაგრამ შემდეგ დავმეგობრდით და გავუგეთ ერთმანეთს. კაკო სახით ძლიერი მოთამაშე დაგვემატა და, ვფიქრობ, შედეგიც სახეზეა.

***— რა მიზანი დაგისახათ კლუბის ხელძღვანელობამ?***

**აკაკი:** — 8 გუნდში შესვლა. წლევანდელ სეზონში ძნელია წინასწარ რამის განსაზღვრა. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. ნელ-ნელა ვუმატებთ თამაშს და პროგრესიც სახეზეა.

**ბექა:** — ფინალამდე კარგი თამაში უნდა ვაჩვენოთ. კლუბს აქვს ფინანსები და ყველა პირობა იმისთვის, რომ მიზანს მივაღწიოთ. იმედია, გავამართლებთ ხელმძღვანელობის იმედებს.

***— შანსებს როგორ შეაფასებდით?***

**აკაკი:** — შანსები, რა თქმა უნდა, არსებობს. დანარჩენი ჩვენზეა დამოკიდებული. მნიშვნელოვანია ასევე იღბლის ფაქტორიც.

**ბექა:** — ყველას აქვს შანსი. მთავარია, გუნდურად ვითამაშოთ.

***— ახლოვდება ფლეი ოფები, რომლებიც რეგულარულ ჩემპიონატზე გაცილებით დაძაბული და საინტერესო იქნება. როგორია თქვენი აზრი ამის შესახებ?***

**აკაკი:** — ჩემპიონატის ლიდერად თსუ მიმაჩნია. ვთვლი, რომ ერთ-ერთი შეკრული გუნდია. ასევე არმია, რომელიც კარგადაა დაკომპლექტებული. ამ გუნდში თამაშობენ ისეთი გამოცდილი მოთამაშეები, როგორებიც კოტე ტუღუში და ანატოლი ბოისა, ზვიად ბაბიაშვილი, გიორგი პირველაშვილი არიან. მათთან ერთად ვთამაშობდი რუსთავის „ენერჯი-ინვესტში“. შარაბიძესთან ერთად გვაქვს ნათამაშევი მე და ბექას 20-წლამდელთა ნაკრებში. ძირითადად, ვფიქრობ, ჩვენი უშუალო კონკურენტები 4-ეულის გუნდები არიან.

**ბექა:** — თსუ, შსს და არმია. თუმცა, მიმაჩნია, რომ ამ გუნდებთანაც შეგვიძლია თამაში და მოგება.

***— თქვენ, როგორც ახალგაზრდა მოთამაშეები, რას ისურვებდით ჩემპიონატში და ზოგადად ქართულ კალათბურთში. თქვენი აზრით, რა სჭირდება დღესდღეობით კალათბურთს ყველაზე მეტად?***

**აკაკი:** — ბავშვობიდან იყო დარბაზების პრობლემა და ამ პრობლემის მოგვარებას ვისურვებდი, რითაც გაუმჯობესდება სავარჯიშო პირობები. აგრეთვე კარგი იქნებოდა, ახალგაზრდულ ჩემპიონატში გასვლაზე გვქონდეს თამაშები და საზღვარგარეთ იმართებოდეს საკონტროლო მატჩები. აქ უკვე ყველა იცნობს ერთმანეთს და ეს საინტერესო და სასარგებლო სიახლე იქნებოდა. სხვა მხრივ კი, ვფიქრობ, პრობლემა არ გვაქვს. რაც მთავარია, არ გვაკლია მონდომება. სხვა ყველაფერი კი გამოსწორებადია.

**ბექა:** — ძალიან კარგია, რომ „აკადემიის“ დარბაზი გაკეთდა, მაგრამ მხოლოდ ერთი დარბაზი საკმარისი არ არის. დაფინანსებას რაც შეეხება, უმაღლეს ლიგაში ფინანსური პრობლემები მოგვარდა, რაც სასიხარულოა. ვისურვებდი, რომ დუბლების ჩემპიონატსაც უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ამ მხრივ.

***— თითქმის ყველა გუნდს ჰყავს თავისი ფან-კლუბი. სასიხარულოა, რომ იმატა მაყურებელთა და გულშემატკივართა რაოდენობამ. რამდენად მნიშვნელოვანია ეს ფაქტორი მოთამაშეებისთვის და თვითონ კლუბისთვის?***

**აკაკი:** — ფან-კლუბმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა ჩვენზე. თავს წაგების უფლებას ველარ ვაძლევთ. უფრო მეტი მონდომებითა და ჟინით ვთამაშობთ, რათა გავახაროთ ჩვენი გულშემატკივრები.

**ბექა:** — გულშემატკივრების ფაქტორი ხელს გვიწყობს ყველანაირად თამაშში. ისინი მე-6 მოთამაშის როლს ასრულებენ, მით უმეტეს ახლა, როდესაც გუნდი დალაგდა. დიდი მადლობა მათ ასეთი აქტიური ქომაგობისთვის.

***— აუცილებლად უნდა შევეხოთ ახალგაზრდული ნაკრების თემას. წლეულს „ბ“ დივიზიონს 14-24 ივლისს ბოსნია-ჰერცეგოვინის დედაქალაქი სარაევო უმასპინძლებს. საქართველო „ა“ ჯგუფში შემდეგ ქვეყნებთან მოხვდა: პოლონეთი, ესტონეთი, შვეიცარია, რუმინეთი და მაკედონია. რა შანსები გვაქვს და ყველაზე ძლიერ მეტოქედ რომელი ქვეყნის ნაკრებს მიიჩნევთ?***

აკაკი: — ჩვენი ნაკრები წელს ძალიან კარგი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ბოლო წელი გვიწევს 20-წლამდელთა ასაკობრივ ნაკრებში, რის გამოც კიდევ უფრო დიდი მონდომება გვაქვს. შანსები არსებობს, მაგრამ ამისთავის კარგად უნდა შევთამაშდეთ გუნდი. ჯერჯერობით ერთჯერადი ვარჯიშები გვაქვს, მაგრამ, როდესაც ჩემპიონატში სეზონი დასრულდება, 2-ჯერად ვარჯიშებზე გადავალთ. გასვლაზე გვექნება ამხანაგური მატჩებიც, რითაც საშუალება გვექნება, გავიცნოთ ჩვენი მოწინააღმდეგე გუნდები. აგრეთვე მინდა შევეხო ეროვნული ნაკრების ასპარეზობას ევროპის ჩემპიონატზე. წარმატებას ვუსურვებ ჩვენებს. ღვთის წყალობით, იმედია, ყველაფერი კარგად იქნება და სასურველ მიზანსაც მივაღწევთ.

**ბექა:** — ყველანაირად ვეცდებით, „ა“ დივიზიონში გადავიდეთ. ალბათ, არის კიდეც ამის დრო. როგორც ითქვა, ბოლო წელი გვაქვს და გვსურს, კარგად დავასრულოთ.

***— როგორია თქვენი სამომავლო საკალათბურთო გეგმები, რა არის თქვენი მიზანი კარიერაში?***

**აკაკი:** — რეალურად უფრო ევროპულ კალათბურთს ვუმიზნებ — ესპანეთი, ლიტვა, საბერძნეთი... ამ ქვეყნების ჩემპიონატში კალათბურთი საკმაოდ მაღალ დონეზეა და სიამოვნებით ვითამაშებდი.

**ბექა:** — ყველა მოთამაშის ოცნება და მიზანია, ითამაშოს თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში. არც მე ვარ გამონაკლისი და ამაზე ვოცნებობ. საერთოდ, ევროპულ კალათბურთს ვანიჭებ უპირატესობას. ძალიან მომწონს იტალიის ჩემპიონატი. ალბათ იმიტომ, რომ თვითონ ქვეყანაც მხიბლავს და სიამოვნებით ვითამაშებდი ამ ქვეყნის ჩემპიონატში.

***— როგორ ერთობით, რას აკეთებთ თავისუფალ დროს და რა არის თქვენი საყვარელი საქმიანობა?***

**აკაკი:** — თავისუფალ დროს ინტერნეტთან ვატარებ ან მეგობრებს ვხვდები. არ ვცხოვრობ კლუბური ცხოვრებით. თავისუფალ დროს მყუდრო გარემოში ყოფნა მირჩევნია. ვუსმენ მუსიკას. თუ ენერგიულ ხასიათზე ვარ, შეიძლება, როკს მოვუსმინო, ძირითადად კი — პოპს, რეპსა და მსუბუქ როკს ვუსმენ. მძიმე როკისგან შორს ვარ. ძალიან მიყვარს ფეხბურთის თამაში, მაგრამ ამ ბოლო დროს თავს ვიკავებ, ტრავმას ვერიდები.

**ბექა:** — ძირითადად სულ ვარჯიშები მაქვს და დროის უმეტეს ნაწილს დარბაზში ვატარებ. კაკოს მსგავსად, არც მე მიყვარს კლუბური ცხოვრება.

***— ნიჭიერი, პერსპექტიული და სიმპათიური ახალგაზრდები ხართ. არის თუ არა თქვენი გული თავისუფალი და როგორ გოგონებს ანიჭებთ უპირატესობას?***

**აკაკი:** — რჩეული მყავს. ერთმანეთი სამეგობრო წრეში გავიცანით. აგვისტოში 1 წელი გახდება, რაც ერთად ვართ. თუმცა, დაოჯახებაზე ჯერ არ ვფიქრობ, ვთვლი, რომ ადრეა. ამ ეტაპზე კარიერაზე ვარ გადართული.

**ბექა:** — მყავდა, თუმცა, ერთმანეთს დავშორდით და ახლა თავისუფალი ვარ. უპირატესობას ვანიჭებ მაღალ და გამხდარ გოგონებს. თმის ფერს მნიშვნელობა არა აქვს. ხასიათით კი მომწონს მშვიდი, წყნარი და თავდაჭერილი გოგონები.

# არსენალი — მანჩესტერი დატვირთვის გარეშე



## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | ბლექბერნი-ბოლტონი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 30.04 | ბლექპული-სტოკი | 2.62 | 3.6 | 2.5 |
| 30.04 | სანდერლენდი-ფულემი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 30.04 | ვესტ ბრომვ.-ასტონ ვილა | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 30.04 | უიგანი-ევერტონი | 2.75 | 3.2 | 3.6 |
| 30.04 | ჩელსი-ტოტენჰემი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 01.05 | ბირმინგემი-ვულვზი | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 01.05 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 01.05 | არსენალი-მანჩესტერი | 2.45 | 3.25 | 2.9 |
| 01.05 | სიტი-ვესტ ჰემი | 1.4 | 4.75 | 7.5 |

**ბლექბერნი — ბოლტონი**

ბლექბერნი: *ტრავმ*-რაიან ნელსენი, ვინსე გრელა, კეიტ ენდრიუსი

ბოლტონი: *ტრავმ*-შონ დევისი, სტიუარტ ჰოლდენი, სამუელ რიკეტსი

**ბლექპული — სტოკი**

ბლექპული: *ტრავმ*-დევიდ გარნეი, კრის ბაშამი

სტოკი: *ტრავმ*-მეტიუ ეტერინგტონი, რიკარდო ფულერი, აბდულაიე ფაიე, მამადუ სიდიბე

**სანდერლენდი — ფულემი**

სანდერლენდი: *ტრავმ*-დენი ველბეკი, ასამოა გიანი, ფილიპ ბიორდსლი, კირონ რიჩარდსონი, კრეიგ გორდონი, ჯენ მენსა, ტიტუს ბრამბლი, ფრეიზერ კემბელი

ფულემი: *ტრავმ*-დიომანსი კამარა, დამიენ დაფი, ფილიპ სენდეროსი

**ვესტ ბრომვიჩი — ასტონ ვილა**

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმ*-პაბლო იბანიესი, გრაჰამ დორანსი

ასტონ ვილა: *ტრავმ*-არავინ

**უიგანი — ევერტონი**

უიგანი: *ტრავმ*-არავინ

ევერტონი: *ტრავმ*-ჯონ ჰეიტინგა, ლუი საა, მიკელ არტეტა, მარუან ფელაინი

**ჩელსი — ტოტენჰემი**

ჩელსი: *ტრავმ*-რამირესი, ალექსი

ტოტენჰემი: *ტრავმ*-ბენუა ასოუ ეკოტო, გარეთ ბეილი, ვერდან ჩორლუკა, ალან ჰატონი, ლედლი კინგი, ჯონათან ვუდგეიტი

**ბირმინგემი — ვულვზი**

ბირმინგემი: *ტრავმ*-ობაფემი მარტინსი, ჯემს მაკფადენი, სკოტ დანი

ვულვზი: *ტრავმ*-სილვან ებანს ბლეიკი, სტივენ მოუოკოლო, ჯორჯ ელოკობი, რონალდ ზუბარი, კევინ დოილი

**ლივერპული — ნიუკასლი**

ლივერპული: *ტრავმ*-ჯიმი კარაგერი, ანდრიუ კეროლი, დანიელ აგერი, გლენ ჯონსონი, სტივენ ჯერარდი

ნიუკასლი: *ტრავმ*-სტივენ აირლანდი, სტივ ჰარპერი, ტამაშ კადარი, ლეონ ბესტი, დან გოსლინგი, ალან სმიტი, ჰატემ ბენ არფა

**არსენალი — მანჩესტერი**

არსენალი: *ტრავმ*-ლუკაშ ფაბიანსკი, ტომას ვერმალენი

მანჩესტერი: *ტრავმ*-დიმიტარ ბერბატოვი, დარენ ფლეტჩერი, ოუენ ჰარგრივზი; *დისკვ*-პოლ სქოულზი

**სიტი — ვესტ ჰემი**

სიტი: *ტრავმ*-მიკა რიჩარდსი, კარლოს ტევესი, ჯერომ ბოატენგი, შეი გივენი; *დისკვ*-კოლო ტურე

ვესტ ჰემი: *ტრავმ*-მარკ ნობლი, მეტი აპსონი, სკოტ პარკერი, ჯუნიორ სტანისლიასი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 34 | 21 | 10 | 3 | 71:32 | 73 |
| 2.ჩელსი | 34 | 20 | 7 | 7 | 64:27 | 67 |
| 3.არსენალი | 34 | 18 | 10 | 6 | 67:36 | 64 |
| 4.სიტი | 33 | 17 | 8 | 8 | 51:30 | 59 |
| 5.ტოტენჰემი | 33 | 14 | 13 | 6 | 49:41 | 55 |
| 6.ლივერპული | 34 | 15 | 7 | 12 | 51:39 | 52 |
| 7.ევერტონი | 35 | 11 | 14 | 9 | 47:42 | 47 |
| 8.ბოლტონი | 34 | 12 | 10 | 12 | 48:47 | 46 |
| 9.ფულემი | 34 | 9 | 15 | 10 | 40:37 | 42 |
| 10.სტოკი | 34 | 12 | 6 | 16 | 43:43 | 42 |
| 11.ნიუკასლი | 34 | 10 | 11 | 13 | 49:48 | 41 |
| 12.სანდერლ. | 35 | 10 | 11 | 14 | 41:52 | 41 |
| 13.ას. ვილა | 34 | 10 | 11 | 13 | 43:55 | 41 |
| 14.ვესტ ბრომ. | 34 | 10 | 10 | 14 | 49:64 | 40 |
| 15.ბირმინგემი | 33 | 8 | 14 | 11 | 33:49 | 38 |
| 16.ბლექბერნი | 34 | 9 | 8 | 17 | 40:55 | 35 |
| 17.უიგანი | 33 | 7 | 13 | 13 | 34:54 | 34 |
| 18.ბლექპული | 34 | 9 | 7 | 18 | 48:70 | 34 |
| 19.ვულვზი | 34 | 9 | 6 | 19 | 37:60 | 33 |
| 20.ვესტ ჰემი | 34 | 7 | 11 | 16 | 39:61 | 32 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | ჩეზენა-ინტერი | 4.5 | 3.3 | 1.85 |
| 30.04 | ნაპოლი-ჯენოა | 1.33 | 4.5 | 11.0 |
| 01.05 | მილანი-ბოლონია | 1.2 | 6.5 | 13.0 |
| 01.05 | კატანია-კალიარი | 1.33 | 4.75 | 9.5 |
| 01.05 | კიევო-ლეჩე | 2.5 | 2.1 | 4.5 |
| 01.05 | ფიორენტინა-უდინეზე | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 01.05 | პარმა-პალერმო | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 01.05 | სამპდორია-ბრეშა | 1.83 | 3.4 | 4.5 |
| 01.05 | ბარი-რომა | 9.0 | 5.5 | 1.3 |
| 02.05 | ლაციო-იუვენტუსი | 2.1 | 3.25 | 3.6 |

**ჩეზენა — ინტერი**

ჩეზენა: *ტრავმ*-ერჯონ ბოგდანი (?), ფელიპე, ალესანდრო როსიან, ივან ფატიჩი; *დისკვ*-ჯუზეპე კოლუჩი

ინტერი: *ტრავმ*-დეიან სტანკოვიჩი, ლუკა კასტელაცი, ტიაგო მოტა (?), ივან კორდობა, დავიდ სუაზო, ვალტერ სამუელი; *დისკვ*-ჟულიო სეზარი

**ნაპოლი — ჯენოა**

ნაპოლი: *ტრავმ*-კრისტიან მაჯო (?), ჯანლუკა გრავა

ჯენოა: *ტრავმ*-რაფინია (:), მარკო როსი, მიგელ ველოსო; *დისკვ*-როდრიგო პალასიო, დარიე დაინელი, ომარ მილანეტო

**მილანი — ბოლონია**

მილანი: *ტრავმ*-ჯენარო გატუზო (?), პატო (?), ალესანდრო ნესტა (?), მარეკ იანკულოვსკი, ფილიპო ინძაგი; *დისკვ*-ზლატან იბრაჰიმოვიჩი, მარკ ვან ბომელი

ბოლონია: *ტრავმ*-ანდრეა ესპოზიტო, დიეგო პერესი, ანტონიო ბუსკე, ანრი ხიმენესი

**კატანია — კალიარი**

კატანია: *ტრავმ*-ბლაჟეი აუგუსტინი, კრისტიან ლამა, ალესანდრო პოტენცა, ფაბიო სკიაცა, რაფაელ მარტინიო, ჯუზეპე ბელუჩი

კალიარი: *ტრავმ*-ნენე, ფრამჩესკო პისანო

**კიევო — ლეჩე**

კიევო: *ტრავმ*-ფერნანდო ურიბე (?), ლუჩიანო

ლეჩე: *ტრავმ*-კარლოს გროსმიულერი, სომინე სინი, გილერმო ჯიაკომაცი, სტეფანო ფერარიო, ალბერტო ჯილიატო

**ფიორენტინა — უდინეზე**

ფიორენტინა: *ტრავმ*-ხუან ვარგასი (?), მარიო სანტანა, სტევან ივეტიჩი

უდინეზე: *ტრავმ*-ემანუელ ბელარდი, მეჰდი ბენატია, ბერნარდო კორადი, ალექსის სანჩისი; *დისკვ*-გოკჰან ილნერი, პაბლო არმერო, მაურისიო დომიცი

**პარმა — პალერმო**

პარმა: *ტრავმ*-კარვალიო ამაური, ობიორა ნვანკვო, ტონი კალვო, რაფაელ პალადინო, ფერნანდო მარკესი; *დისკვ*-კრისტიან ძაკარდო, მარიანო ანგელო

პალერმო: *ტრავმ*-ფაბრიციო მიკოლი, მიკელე პოლუჩი, მაურისიო პინილია

**სამპდორია — ბრეშა**

სამპდორია: *ტრავმ*-მარკო პალადინო, ჯილბერტო მარტინესი, ფრანკო სემიოლი; დისკვ-მასიმო ვოლტა, ანდრეა პოლი

ბრეშა: *ტრავმ*-პიეტრო აკარდი, დავიდე პოსანცინი, გაეტანო ბერარდი, კრისტიანო ძანეტი, ნიკოლას კორდოვა, მატეო სერენი, სიმონე დალამანო

**ლაციო — იუვენტუსი**

ლაციო: *ტრავმ*-პასკუალე ფოჯა, სტენდარდო, ჯუზეპე სქული, შტეფან რადუ, მობიდო დიაკიტე; *დისკვ*-სტეფანო მაური

იუვენტუსი: *ტრავმ*-კლაუდიო მარკიზიო, ხორხე მარტინესი, ჯორჯო კიელინი, ვინჩენცო იაკინტა, მოჰამედ სისოკო, ფაბიო კვალიარელა, პაოლო დი ჩელიე, რინაუდო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 34 | 22 | 8 | 4 | 60:23 | 74 |
| 2.ინტერი | 34 | 20 | 6 | 8 | 60:38 | 66 |
| 3.ნაპოლი | 34 | 20 | 5 | 9 | 54:34 | 65 |
| 4.ლაციო | 34 | 18 | 6 | 10 | 46:32 | 60 |
| 5.უდინეზე | 34 | 18 | 5 | 12 | 59:37 | 59 |
| 6.რომა | 34 | 16 | 8 | 10 | 52:47 | 56 |
| 7.იუვენტუსი | 34 | 14 | 11 | 9 | 52:42 | 53 |
| 8.პალერმო | 34 | 15 | 5 | 14 | 52:55 | 50 |
| 9.ფიორენტინა | 34 | 11 | 13 | 10 | 40:36 | 46 |
| 10.ჯენოა | 34 | 12 | 9 | 13 | 38:39 | 45 |
| 11.კალიარი | 34 | 12 | 8 | 14 | 42:42 | 44 |
| 12.ბოლონია | 34 | 11 | 10 | 13 | 34:46 | 40 |
| 13.კიევო | 34 | 9 | 12 | 13 | 32:35 | 39 |
| 14.პარმა | 34 | 9 | 11 | 14 | 34:45 | 38 |
| 15.ჩეზენა | 34 | 9 | 8 | 15 | 32:45 | 37 |
| 16.კატანია | 34 | 9 | 10 | 15 | 33:47 | 37 |
| 17.ლეჩე | 34 | 9 | 8 | 17 | 40:60 | 35 |
| 18.სამპდორია | 34 | 8 | 11 | 15 | 27:39 | 35 |
| 19.ბრეშა | 34 | 7 | 9 | 18 | 28:44 | 30 |
| 20.ბარი | 34 | 4 | 9 | 21 | 20:49 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | რეალი-სარაგოსა | 1.25 | 6.0 | 10.0 |
| 30.04 | სოსიედადი-ბარსელონა | 8.0 | 5.0 | 1.36 |
| 30.04 | დეპორტივო-ატლეტიკო | 3.1 | 3.3 | 2.25 |
| 01.05 | ალმერია-სევილია | 4.0 | 3.75 | 1.85 |
| 01.05 | ლევანტე-ხიხონი | 2.05 | 3.3 | 3.6 |
| 01.05 | მალაგა-ერკულესი | 1.8 | 3.6 | 4.33 |
| 01.05 | რასინგი-მალიორკა | 2.2 | 3.3 | 3.25 |
| 01.05 | ვილიარეალი-ხეტაფე | 1.8 | 3.25 | 4.2 |
| 01.05 | ოსასუნა-ვალენსია | 2.8 | 3.3 | 2.45 |
| 02.05 | ესპანიოლი-ბილბაო | 2.62 | 3.4 | 2.6 |

**რეალი — სარაგოსა**

რეალი: *ტრავმ*-სამი ჰედირა, ფერნანდო გაგო

სარაგოსა: *ტრავმ*-მატეო კონტინი, ედმილსონი, ვიქტორ ლაგუარდია; *დისკვ*-ანდერ ერერა

**სოსიედადი — ბარსელონა**

სოსიედადი: *ტრავმ*-ალბერტო დე ლა ბელა, ხოსება ლიორენტე

ბარსელონა: *ტრავმ*-ანდრეს ინიესტა, მაქსველი, ადრიანო, ბოიან კრკიჩი, ერიკ აბიდალი

**დეპორტივო — ატლეტიკო**

დეპორტივო: *ტრავმ*-ანტონიო ტომასი, ივეს დესმარეტსი, ზე კასტრო

ატლეტიკო: *ტრავმ*-დიეგო გოდინი, კოკე, მერიდა პერესი, პულიდო

**ალმერია — სევილია**

ალმერია: *ტრავმ*-მიგელ ნიეტო; დისკვ-მანუელ ორტიზი

სევილია: *ტრავმ*-ალექსისი, ფრედერიკ კანუტე, ხესუს ნავასი, ლაუტარო აკოსტა, ლუკა გიგარინი, ტიბერიო გუარენტე

**ლევანტე — ხიხონი**

ლევანტე: *ტრავმ*- გარსია გორკა, მიგელ პერესი, იგნასიო გონსალესი

ხიხონი: *ტრავმ*-რობერტო კანელია, ივან გუელარი, სასტრე

**მალაგა — ერკულესი**

მალაგა: *ტრავმ*-ქუინსი უვუსუ აბეიე, ხავიერ მალაგენო, რუბენი, კალა, სერხიო ასენხო

ერკულესი: *ტრავმ*-კრისტიანი, უნაი ალბა, ტოტე

**რასინგი — მალიორკა**

რასინგი: *ტრავმ*-პაბლო პინილიოსი, ოსკარ სერანო, ალექსანდროს ციოლისი; *დისკვ*-მარკ ტორეხონი

მალიორკა: *ტრავმ*-ტომას პინა, ენრიკე კორალესი, ნადალი; *დისკვ*-სერხიო ტეხერა

**ვილიარეალი — ხეტაფე**

ვილიარეალი: *ტრავმ*-გონსალო, ხავი ოლივა, მარკუს სენა, ანგელ ლოპესი; *დისკვ*-კარლოს მარჩენა

ხეტაფე: *ტრავმ*-მანუ დელ მორალი, ხუან ალბინი, რაფა ლოპესი, ხაიმე გავილანი

**ოსასუნა — ვალენსია**

ოსასუნა: *ტრავმ*-კარლოს არანდა, რობერტო, რუპერი

ვალენსია: *ტრავმ*-ტინო კოსტა, ბრუნო, ვისენტე, დავიდ ნავარო, ჩორი დომინგესი

**ესპანიოლი — ბილბაო**

ესპანიოლი: *ტრავმ*-ალდო დუშერი, დავიდ გარსია, სერხიო გარსია, რაულ ბაენა, ხუან ფორლინი, ხესუს დალოტო, ვიქტორ ალვარესი, ივან დე ლაპენია, ფელიპე მატიონი; *დისკვ*-ხავი ლოპესი

ბილბაო: *ტრავმ*-გორკა ირაიზოსი, ანდერ ილურასპე, ხავიერ კასტილიო, აიტორ ოსიო, იგორ კასერასი, იბაი გომესი, იონას რამალიო; დისკვ-მიკელ სან ხოსე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 33 | 28 | 4 | 1 | 88:17 | 88 |
| 2.რეალი | 33 | 25 | 5 | 3 | 79:26 | 80 |
| 3.ვალენსია | 33 | 19 | 6 | 8 | 57:41 | 63 |
| 4.ვილიარეალი | 33 | 17 | 6 | 10 | 51:39 | 57 |
| 5.ბილბაო | 33 | 16 | 3 | 14 | 51:47 | 51 |
| 6.ატლეტიკო | 33 | 14 | 7 | 12 | 54:44 | 49 |
| 7.სევილია | 33 | 14 | 7 | 12 | 51:49 | 49 |
| 8.ესპანიოლი | 33 | 14 | 3 | 16 | 40:46 | 45 |
| 9.ლევანტე | 33 | 12 | 6 | 15 | 37:46 | 42 |
| 10.მალიორკა | 33 | 12 | 6 | 15 | 35:45 | 42 |
| 11.ხიხონი | 33 | 10 | 11 | 12 | 31:37 | 41 |
| 12.სოსიედადი | 33 | 12 | 2 | 19 | 43:57 | 38 |
| 13.დეპორტივო | 33 | 9 | 11 | 13 | 27:41 | 38 |
| 14.ხეტაფე | 33 | 10 | 7 | 16 | 43:53 | 37 |
| 15.სარაგოსა | 33 | 9 | 9 | 15 | 32:45 | 36 |
| 16.მალაგა | 33 | 19 | 6 | 17 | 44:63 | 36 |
| 17.ოსასუნა | 33 | 9 | 8 | 16 | 37:41 | 35 |
| 18.რასინგი | 33 | 9 | 10 | 14 | 32:49 | 34 |
| 19.ერკულესი | 33 | 9 | 6 | 18 | 29:50 | 33 |
| 20.ალმერია | 33 | 5 | 11 | 17 | 32:58 | 26 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | დორტმუნდი-ნიურნბერგი | 1.44 | 4.2 | 7.5 |
| 30.04 | კიოლნი-ლევერკუზენი | 4.0 | 3.75 | 1.83 |
| 30.04 | ჰამბურგი-ფრაიბურგი | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 30.04 | ჰანოვერი-გლადბახი | 1.75 | 3.75 | 4.5 |
| 30.04 | ჰოფენჰაიმი-შტუტგარტი | 2.75 | 3.3 | 2.5 |
| 30.04 | მაინცი-აინტრახტი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 30.04 | ბაიერნი-შალკე | 1.3 | 5.5 | 9.0 |

**დორტმუნდი — ნიურნბერგი**

დორტმუნდი: *ტრავმ*-პატრიკ ოვომოიელა, ნური საჰინი, სებასტიენ კელი, შინჯი კაგავა

ნიურნბერგი: *ტრავმ*-რაფაელ ოკოტიე, მარკუს მენდლერი, მაიკ ფრანცი, პასკალ ბიელერი, ალბერტ ბუნიაკუ

**კიოლნი — ლევერკუზენი**

კიოლნი: *ტრავმ*-სლავომირ პესკო, სიმონ ტეროდე, კრისტიფერ შორჩი, კონსტანტინუს ჯიანულისი

ლევერკუზენი: *ტრავმ*-ტომას ბობელი, კევინ კამპლი, ბენედიქტ ფერნანდესი

**ჰამბურგი — ფრაიბურგი**

ჰამბურგი: *ტრავმ*-მლადენ პეტრიჩი, რუდი ვან ნისტელროოი, მარსელ იანსენი

ფრაიბურგი: *ტრავმ*-იოანეს ფლუმი, ფელიქს ბასტიანსი, სიმონ პუპლინი, იასინ აბდესადკი

**ჰანოვერი — გლადბახი**

ჰანოვერი: *ტრავმ*-ლარს სტინდლი, კარლიტოს, კრისტოფერ ავევორი

გლადბახი: *ტრავმ*-იგორ დე კამარგო, დანტე, იენს ვისინგი

**ჰოფენჰაიმი — შტუტგარტი**

ჰოფენჰაიმი: *ტრავმ*-ჩინედუ ობასი, დენის ტომალა, ტობიას ვეისი, სეიად სალიჰოვიჩი, ბორის ვუკჩევიჩი, მანუელ გულდე

შტუტგარტი: *ტრავმ*-კრისტიან მოლინარო, ტიმო გებრახტი, ელსონი, ფილიპ დეგენი, პატრიკ ფუნკი, იოან აუდელი

**მაინცი — აინტრახტი**

მაინცი: *ტრავმ*-პეტარ სლივკოვიჩი, ჰაინც მიულერი, ადამ ზალაი

აინტრახტი: *ტრავმ*-სონი კიტელი, გიორგიოს ცაველასი, კრისი, ზლატან ბაირამოვიჩი

**ბაიერნი — შალკე**

ბაიერნი: *ტრავმ*-დანიელ პრანიჩი, ჰამიტ ალტინტოპი, ივიცა ოლიჩი; დისკვ-ლუის გუსტავო

შალკე: *ტრავმ*-ბენედიქტ ჰეივედესი, მარიო გავრანოვიჩი, კლაას იან ჰუნტელაარი, კრისტიან პანდერი, ტიმ ჰოოგლანდი, კრისტოფერ მორიტცი, ლევან ყენია

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 31 | 21 | 6 | 4 | 62:19 | 69 |
| 2.ლევერკუზ. | 31 | 19 | 7 | 5 | 62:41 | 64 |
| 3.ჰანოვერი | 31 | 18 | 3 | 10 | 45:41 | 57 |
| 4.ბაიერნი | 31 | 16 | 8 | 7 | 67:37 | 56 |
| 5.მაინცი | 31 | 15 | 4 | 12 | 44:37 | 49 |
| 6.ნიურნბერგი | 31 | 13 | 8 | 10 | 45:38 | 47 |
| 7.ჰამბურგი | 31 | 12 | 7 | 12 | 44:48 | 43 |
| 8.ფრაიბურგი | 31 | 12 | 5 | 14 | 39:47 | 41 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 31 | 10 | 10 | 11 | 46:44 | 40 |
| 10.შალკე | 31 | 11 | 7 | 13 | 35:35 | 40 |
| 11.ვერდერი | 31 | 9 | 11 | 11 | 43:57 | 38 |
| 12.კაიზერი | 31 | 10 | 7 | 14 | 41:48 | 37 |
| 13.შტუტგარ. | 31 | 10 | 6 | 15 | 55:55 | 36 |
| 14.კიოლნი | 31 | 9 | 5 | 16 | 41:61 | 35 |
| 15.აინტრახტი | 31 | 9 | 7 | 15 | 30:41 | 34 |
| 16.ვოლფსბ. | 31 | 7 | 11 | 13 | 38:45 | 32 |
| 17.ზ. პაული | 31 | 8 | 5 | 18 | 33:56 | 29 |
| 18.გლადბახი | 31 | 8 | 5 | 18 | 44:64 | 29 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30.04 | ლანსი-ლორიენი | 2.35 | 3.3 | 3.0 |
| 30.04 | ლილი-არლე | 1.14 | 7.5 | 17.0 |
| 30.04 | რენი-ბორდო | 2.2 | 3.0 | 3.6 |
| 30.04 | სოშო-ნანსი | 2.0 | 3.3 | 3.75 |
| 30.04 | პსჟ-ვალანსიენი | 1.6 | 3.75 | 6.0 |
| 01.05 | მარსელი-ოსერი | 1.44 | 4.0 | 8.0 |
| 01.05 | მონპელიე-ბრესტი | 1.91 | 3.3 | 4.2 |
| 01.05 | ნიცა-კაენი | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 01.05 | ტულუზა-ლიონი | 3.75 | 3.3 | 2.0 |
| 01.05 | სენტ ეტიენი-მონაკო | 2.2 | 3.0 | 3.6 |

**ლანსი — ლორიენი**

ლანსი: *ტრავმ*-გეფრი კონდოგბია, ნენად კოვაჩევიჩი, სიდი კეიტა, სტივენ მონრო

ლორიენი: *ტრავმ*-ჩეიკ დაკური, ოლივიე მონტერუბიო

**ლილი — არლე**

ლილი: *ტრავმ*-ფლორიენ ბალმო

არლე: *ტრავმ*-ფაბიენ ლორენი, კამელ მერსიემი, ტომას აიასე, ლიოკ აბენზოარი, ჟილ ერმენი, კაბა დიავარა

**რენი — ბორდო**

რენი: *ტრავმ*-კევინ თეოფილე, აბდულ კამარა, იასინ ბრაჰიმი, სილვიან მარვო

ბორდო: *ტრავმ*-პიერ დუკასე, ბენუა ტრამულიანისი, ფლოიდ აიტე, აბდილაიე კეიტა

**სოშო — ნანსი**

სოშო: *ტრავმ*-იასინ მიკარი, ჟერემი ბრეჩე

ნანსი: *ტრავმ*-ბენჯამინ იანოო, პაულ ეფოულოუ, ჯენარო ბრაჩილიანო

**პსჟ — ვალანსიენი**

პსჟ: *ტრავმ*-პეგი ლუინდულა

ვალანსიენი: *ტრავმ*-რუდი მატერი, სტივენ ლანგილი, რემი გომისი, მამადუ სამასა

**მარსელი — ოსერი**

მარსელი: *ტრავმ*-შტეფან მბია, ჟულიენ როდრიგესი; დისკვ-ლოიკ რემი

ოსერი: *ტრავმ*-ჟერემი ნერტო, დელვინ ნდინგა, ბენუა პედრეტი, პასკალ მინიო

**მონპელიე — ბრესტი**

მონპელიე: *ტრავმ*-იონას მარტინი, ნენად ძოძიჩი, ბენგალი კოიტა, დისკვ-ემირ სპაჰიჩი

ბრესტი: *ტრავმ*-ომარ დაფი, ტომას კოტი

**ნიცა — კაენი**

ნიცა: *ტრავმ*-დავიდ ბელიონი, ისმაილ გაკე, დიდიე დიუგარი, ლარის მაბიალა, ემერსე ფაე, ალან კანტარეილი; *დისკვ*-დრისა დიაკიტე

კაენი: *ტრავმ*-გრეგორი პრომენტი, გრეგორი ტაფერეაუ, ბრანკო ლაზარევიჩი

**ტულუზა — ლიონი**

ტულუზა: *ტრავმ*-ხავიერ პენტეკოტე, მარკ ვიდალი, იოან პელე

ლიონი: *ტრავმ*-ჯერემი ტულალანი, მიშელ ბასტოსი; *დისკვ*-მირალემ პრიანიჩი

**სენტ ეტიენი — მონაკო**

სენტ ეტიენი: *ტრავმ*-მუსტაფა სალი, იორიკ რავე

მონაკო: *ტრავმ*-დანიელ ნიკულაე, ნემპალის მენდი, მამადუ დიარა, კრის მალონგა, მუსა მააზუ, ჯიმი ტრაორე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მარსელი | 32 | 17 | 10 | 5 | 50:29 | 61 |
| 2.ლილი | 32 | 16 | 12 | 4 | 54:31 | 60 |
| 3.ლიონი | 31 | 15 | 11 | 6 | 55:31 | 56 |
| 4.პსჟ | 32 | 14 | 11 | 7 | 47:33 | 53 |
| 5.რენი | 32 | 14 | 9 | 9 | 33:26 | 51 |
| 6.ბორდო | 32 | 10 | 14 | 8 | 40:35 | 44 |
| 7.სტ.ეტიენი | 32 | 11 | 11 | 10 | 40:39 | 44 |
| 8.ლორიანი | 32 | 11 | 11 | 10 | 39:37 | 44 |
| 9.მონპელიე | 32 | 11 | 10 | 11 | 29:36 | 43 |
| 10.სოშო | 32 | 12 | 7 | 13 | 47:40 | 43 |
| 11.ბრესტი | 32 | 10 | 10 | 12 | 34:37 | 40 |
| 12.ვალანსიენი | 32 | 8 | 15 | 9 | 37:34 | 39 |
| 13.ტულუზა | 32 | 11 | 6 | 15 | 32:35 | 39 |
| 14.ნიცა | 32 | 9 | 12 | 11 | 27:37 | 39 |
| 15.ნანსი | 32 | 10 | 8 | 14 | 32:44 | 38 |
| 16.მონაკო | 32 | 8 | 14 | 10 | 32:32 | 38 |
| 17.ოსერი | 32 | 7 | 17 | 8 | 36:37 | 36 |
| 18.კაენი | 32 | 9 | 9 | 14 | 36:47 | 36 |
| 19.ლანსი | 32 | 6 | 12 | 14 | 30:48 | 30 |
| 20.არლე | 32 | 1 | 11 | 20 | 16:58 | 14 |

# აქციები და არეულობა ხელისუფლებას აწყობს



ნონა ცაბა ე

## ინტერვიუ ექსპერტ-კონფლიქტოლოგ პაატა ზაქარეიშვილთან

***— ბატონო პაატა, საუბარია იმის შესახებ, რომ დასავლეთი და კერძოდ ამერიკა დიდ ინტერესს იჩენენ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ორიოდე დღის წინ სახელმწიფო მდივნის წარმომადგენელი თინა ქეიდენაუც შეხვდა ოპოზიციურ რვიანს. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოახდენს ეს ყოველივე გავლენას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებსა და ჩვენს ხელისუფლებაზე?***

— ხელისუფლებაში აშკარად შეინიშნება გარკვეული დაბნეულობა, ჩანს, რომ დასავლეთი მკაფიოდ და ცალსახად მოუწოდებს მათ დემოკრატიისაკენ, რაც ზოგიერთი მათგანისთვის ყოვლად შემაშფოთებელია, რადგან დემოკრატია ნიშნავს მათთვის ხელისუფლებიდან წასვლას, იმიტომ რომ ისინი საზოგადოებაში არ არიან პოპულარულები. ხელისუფლების მეორე ნაწილში ხედავენ, რომ ჯობია, ამ დათმობაზე წავიდნენ, ვიდრე საერთოდ დაკარგონ ყველაფერი და შეიძლება ისინი ციხეშიც კი აღმოჩდნენ. ისინი ხედავენ, რომ არ შეიძლება ჯოხის ბოლომდე გადაღუნვა, შეიძლება გადაუტყდეთ. რაღაც შუალედურ მდგომარეობაში არიან დღეს ხელისუფლებაში, რა ქნან, არ იციან. არ დათმონ და ციხეში წავიდნენ თუ დათმონ და ქუჩაში დარჩნენ, ან ჰქონდეთ შანსი, ხელახლა დაბრუნდნენ მომავალში კიდევ ერთხელ არჩევნების საშუალებით ხელისუფლებაში. ეს შუალედური მდგომარეობაა და დასავლეთიც და ოპოზიციაც (რვიანი მყავს მხედველობაში) მათ შანსს აძლევენ, მიიღონ გადაწყვეტილება, აირჩიონ ცუდსა და უარესს შორის. რა თქმა უნდა, გონიერი ადამიანი ირჩევს ცუდს და არა უარესს. დღეს ხელისუფლებას აქვს არჩევანი ცუდსა და უარესს შორის. კეთილი უნდა ინებონ და ამ მიმართულებით იმოძრაონ. თუ არ დათმეს და სააკაშვილის სტილია, რომ არ დათმოს არაფერი საერთოდ, მისთვის დათმობა ეს ნიშნავს მარცხს, მარცხის აღიარებას და, როგორც წესი, კატასტროფისკენ მიდის ყოველთვის. არდათმობების გამო მივიდა ის 2008 წლის აგვისტომდე. იმედია, ახლა მაინც ეყოფა ჭკუა და შიდა კონტექსტში მაინც არ დაუშვებს ახალ აგვისტოს.

***— როგორ ფიქრობთ, ეს დიპლომატიური ზეწოლა შედეგისმომტანი არ იქნება?***

— დიპლომატიური ზეწოლა იწვევს შიგნით, ხელისუფლებაში შეშფოთებას და აფორიაქებას, მაგრამ, მე არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს შედეგს მოიტანს. სააკაშვილის მხრიდან გამორიცხულია, რომ ჩვენ მივიღოთ რაიმე ტიპის დათმობა. სააკაშვილი ვერ იქნება ინიციატორი დათმობებისა. შეიძლება ინიციატორი იყოს ხელისუფლებაში ვინმე, ვინც მოახერხებს სააკაშვილზე ზემოქმედებას, რომ საჭიროა დათმობები და დააჯეროს, რაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია. ამან შეიძლება ან განხეთქილება გამოიწვიოს შიგნით ხელისუფლებაში არჩევნების წინ, ან სააკაშვილი გაიმარჯვებს საბოლოო ჯამში და არავითარ დათმობებზე არ წავა. მაშინ, რა თქმა უნდა, იწყება კატასტროფა.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ხელისუფლების შიგნით არ არის ისეთი პიროვნება, რომელსაც შეუძლია, ზემოქმედება მოახდინოს სააკაშვილზე?***

— არა, არიან, როგორ არ არიან. შეიძლება, არ არიან ფიგურები, რომლებსაც შეუძლიათ, ზემოქმედება მოახდინონ სააკაშვილზე, მაგრამ, არიან ფიგურები, რომლებსაც უნდათ ამის გაკეთება და ჰგონიათ, რომ ზემოქმედებას მოახდენენ, მაგრამ, მოხდება ისე, რომ სააკაშვილი კერკეტი კაკალი აღმოჩნდება, დათმობებზე არ წავა და ჩაიყოლებს მათ კატასტროფასა და პოლიტიკურ საფლავში.

***— ამბობენ, რომ ხელისუფლების შიგნით არიან გააქტიურებული გარკვეული ჯგუფები, იგივე ბოკერიას ჯგუფი...***

— მეც სწორედ მაგას ვგულისხმობ, რომ აქტიურობა მიმდინარეობს, მაგრამ აქტიურობა ერთია და მეორე არის შედეგი, თუ სადამდე გავლენ. ეს აქტიურობა შედეგისკენ არის მიმართული, მაგრამ ჯერჯერობით შედეგი არ ჩანს.

***— ითქვა ისიც, რომ ეს გუნდი პარალელურად აწარმოებს მოლაპარაკებებს დასავლეთთან, რომ სწორედ მათი გუნდიდან მოხდეს სააკაშვილის ჩანაცვლება. ეს რამდენად რეალურია?***

— არა, ეს არარეალურია. გამორიცხულია. დასავლეთი არასდროს არავისზე თვითონ არ დებს ფსონს. ხალხი დებს ფსონს და მერე დასავლეთი ამას იყენებს. დასავლეთს რეალურად სჭირდება გამარჯვებული ადამიანი, ხალხში პოპულარული ადამიანი და შესაძლოა შემდეგ დაიწყონ მასთან თანამშრომლობა, ან არ დაიწყონ. თუ პრორუსული ძალა მოვიდა ხელისუფლებაში, არ დაიწყებენ თანამშრომლობას. თუ პროდასავლური მოვიდა, დაიწყებენ თანამშრომლობას. თუ ნაციონალისტური ძალები მოვიდნენ, შეეცდებიან, შეცვალონ მათი მიმართულება და დააჯერონ, რომ ჯობია დასავლური მიმართულება აიღონ. ნებისმიერ შემთხვევაში არ წყდება არც ვაშინგტონში, არც ბრიუსელში და არც მოსკოვში, ვინ იქნება საქართველოს ხელისუფლებაში. როგორმე უნდა მოვიცილოთ ეს კომპლექსი არასრულფასოვნებისა ქართველებმა და დავიჯეროთ ჩვენი თავის ძალა, რომ ჩვენ ვწყვეტთ, ქართველი ხალხი წყვეტს ამას. მუდარის ფორმაშიც კი ვლაპარაკობ ხოლმე, რომ ჩვენშია ყველაფერი, ქართველებშია და როგორმე ამოვიფხიკოთ თავიდან ეს კომპლექსი, რომ სადღაც წყდება ეს საკითხი. არსად არ წყდება, გარდა საქართველოსი.

***— ამ ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ იმის შესახებ, რომ თბილისის მერი, გიგი უგულავა, ემზადება პრეზიდენტობისთვის და სწორედ ბოკერიას გუნდი წამოაყენებს მის კანდიდატურას...***

— მეც ვეთანხმები ამ მოსაზრებას. მეც ვთვლი, რომ ესენი ერთი გუნდის ხალხია და სწორედ ის ჯგუფია, რომელსაც სურს სხვანაირი საქართველო, ვიდრე სააკაშვილი ხედავს ამას შიგნით ხელისუფლებაში. ალბათ, ეს ის გუნდია, რომელიც კონკურენციას გაუწევს, არ დაუპირისპირდება თავიდანვე, მაგრამ შეეცდება, კონკურენცია გაუწიოს სააკაშვილის პოლიტიკას, რომელსაც სურს იხილოს ხელისუფლებაში პრეზიდენტად უნიათო, სუსტი პოლიტიკოსი. მე მაინც მგონია, რომ სააკაშვილს სჭირდება ჰყავდეს ძლიერი პრემიერ-მინისტრი და ალბათ უფრო მერაბიშვილზეა გათვლები, სჭირდება სუსტი პრეზიდენტი, რომელიც ვერ შეუშლის ხელს ძლიერ პრემიერს, მართოს ქვეყანა. შეიძლება, პრემიერ-მინისტრი იყოს იგივე სააკაშვილიც კი, რაშიც მე ეჭვი მეპარება, თუმცა, საქართველოში ეს ვერსია უფრო მოდაშია, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მერაბიშვილზე იწერება ეს კონსტიტუცია. სააკაშვილი იქნება თუ მერაბიშვილი, ნებისმიერ შემთხვევაში პრეზიდენტი უნდა იყოს სუსტი. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, ბოკერია-უგულავა-ბენდუქიძის ალიანსი, იმიტომ რომ ბენდუქიძეც ჩართულია ამ პროცესებში, ისინი მაინც ხედავენ სხვანაირ საქართველოს, შანსებს ხედავენ, გაიყვანონ თავიანთი პრეზიდენტი და მათი პრეზიდენტი იქნება სწორედ უგულავა, მთელი ეს ფსევდოლიბერალური ჯგუფი, რომელიც არსებობს დღეს ხელისუფლებაში, ბოკერია, უგულავა, ბენდუქიძის გარშემო შექმნილი ჯგუფი, ჟურნალ „ტაბულას“ იყენებს თავისი იდეების რეალიზაციისათვის. აი, ამ ჯგუფიდან ყველაზე პოპულარული მაინც უგულავაა და უგულავაზე იქნება მაინც გათვლები მომავალი საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

***— თქვენ ფიქრობთ, რომ ეს გუნდი წავა სააკაშვილის ოპოზიციაში?***

— რაც გაუკეთა სააკაშვილმა ბურჯანაძეს, როცა ბურჯანაძე მოასრიალა ხელისუფლებიდან და შემდეგ ბურჯანაძე წავიდა ოპოზიციაში? მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ ფონზე თუ სააკაშვილმა არ გაითვალისწინა ამ გუნდის ამბიციები და პრეტენზიები, შეიძლება ისინიც მოასრიალოს და მხოლოდ მას შემდეგ ისინი წავიდნენ ოპოზიციაში, მაგრამ ოპოზიციაში გადასულები ვერ მოიპოვებენ იქ თავიანთ ადგილს, იმიტომ რომ მათი ადგილი ოპოზიციაში, პრაქტიკულად, არ დარჩა. შეიძლება მე ვცდები, მაგრამ მგონია, რომ მათ დააგვიანეს. ბურჯანაძემაც კი დააგვიანა, მაგრამ მან ბოლო ვაგონს მიასწრო და შეახტა ოპოზიციის ბოლო ვაგონს. მე ვფიქრობ, რომ ბოკერიას გაუჭირდება წასული მატარებლის დაწევა.

***— ფიქრობთ, რომ ხელისუფლების შიგნიდან უნდა მოახერხონ ამ პროცესების წარმართვა?***

— მე ვფიქრობ, რომ მათი ძალა მაინც შიგნით არის. შიდა სახელისუფლებო გადატრიალების შემთხვევაში შეუძლიათ მოიპოვონ გარკვეული ძალაუფლება, იგივე, რაც გააკეთა სააკაშვილმა — შიგნით მოახდინა გადატრიალება, შიგნით შექმნა ოპოზიცია და იქიდან გახდა ძლიერი. უგულავა-ბოკერიას სხვა გზა არა აქვთ, გარდა იმისა, რომ შიგნიდან მოახდინონ გადატრიალება და შიგნით გახდნენ ოპოზიცია, ხელისუფლებაში.

***— რაც შეეხება ოპოზიციურ რვიანს, ისინი ერთხმად აცხადებენ, რომ ხელისუფლების ცვლილება უნდა მოხდეს არჩევნების გზით. რამდენად არსებობს ამის შანსი და რამდენად წავა რვიანთან დათმობაზე ხელისუფლება?***

— შანსი არის მაღალი, იმიტომ რომ ხელისუფლების ცვლილების დრო დგება. უნიკალური შანსი გვაქვს, ისეთი შანსი, როგორიც იყო 2003 წელს, როდესაც შევარდნაძე აუცილებლად უნდა წასულიყო. როცა ხელისუფლება მიდის, ხელისუფლების შიგნით ჩნდება სხვადასხვა ჯგუფი, რომლებსაც სურთ, წასული ხელისუფლების ნარჩენებზე თვითონ მოითბონ ხელი. ამიტომ იწყება სხვადასხვა ალიანსი, სხვადასხვა კონტაქტი, სხვადასხვა ურთიერთობა იგივე ოპოზიციურ პარტიებთან, ერთმანეთთან ხდება შიდა გარიგებები და ასე შემდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, როცა ხელისუფლება აუცილებლად წამსვლელია, როცა კონსტიტუცია იცვლება, ერთიორად ვარდება სიჩქარე მოძრაობისა. ეს არ არის მეორე არჩევნები სააკაშვილისა, როცა მას შანსები აქვს დარჩენილი, კანონი უკრძალავს მას. შესაბამისად, ამ დამუხრუჭების პერიოდში შეიძლება არსებითად შეიცვალოს ვითარება. ქართველმა ხალხმა 2012 წელი ხელიდან გაუშვა და ვერ მოიყვანა სერიოზული დოზით ოპოზიცია პარლამენტში. პარლამენტის არჩევნებია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე პრეზიდენტის. მთავარი 2012 წელია. თუ 2012 წელი ჩაგვივარდა, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დაინგრა. 2013 წელი კიდევ არის სათადარიგო წელი, მაგრამ შანსები გამარჯვებისა უფრო მინიმუმზე დადის. აი, მაშინ იქნება საჭირო გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი, საპრეზიდენტო არჩევნების დროს. საპარლამენტო არჩევნების დროს, პირიქით, საჭიროა, ოპოზიცია იშლებოდეს და შლიდეს ფრონტს. რათა ხმები არ დაიკარგოს, მაქსიმალური არჩევანის საშუალება უნდა მიეცეს ამომრჩეველს, რომ ამომრჩეველი მიიყვანოს არჩევნებზე და მიეცეს არჩევანის საშუალება. ჩვენ შანსები გვაქვს, საპარლამენტო არჩევნების დროს ოპოზიცია მოვიყვანოთ სერიოზული დოზით. ჯობია, იყოს ბევრი ოპოზიცია 7-8-პროცენტიანი, ვიდრე ერთი ოპოზიცია 20%-იანი.

***— და შემდეგ შიგნით შექმნან კოალიცია?***

— რა თქმა უნდა. როგორმე უნდა დავაჯეროთ ჩვენი თავი, რომ ეს ჯობია და გავამსხვილოთ ოპოზიციები სწორედ ამ 7-8%-იანი ძალებით. ეს იქნებოდა საუკეთესო წარმატება, მაგრამ შანსი არ ნიშნავს გარანტიას. შანსი ნიშნავს იმას, რომ შეიძლება იყოს, შეიძლება — არა. კეთილი ვინებოთ და მივხვდეთ, რომ აქ არის საკმაოდ ბევრი რისკი. თუ შანსი ხელიდან გავუშვით, სულ ცოტა, 10-15 წელიწადში ჩვენ შანსები აღარ გვექნება. ამიტომ კეთილი ვინებოთ და მოვახდინოთ მობილიზაცია 2012 წლისათვის. არავითარი არეულობები არ გვჭირდება ამ დროისათვის, არავითარი პერმანენტული და მუდმივი მიტინგები, თუმცა, საჭირო იქნება მიტინგები და აქციები მოკლევადიანი და კონკრეტული პოლიტიკური ლოზუნგებით. მთავარია, არ მოხდეს დესტაბილიზაცია და სააკაშვილმა არ დააბრალოს დესტაბილიზაციას ყველაფერი, შესაბამისად, ან არ გადაავადოს არჩევნები ან იქით, ან აქეთ, ანდა საერთოდ არ გამოაცხადოს საგანგებო მდგომარეობა და ყველაფერი არ დააბრალოს ოპოზიციას.

***— რვიანის მოლაპარაკება ხელისუფლებასთან ჩიხშია შესული. არის შანსი მოლაპარაკებების განახლების?***

— ეს იყო ყველაზე სერიოზული ყურის აწევა, რაც განახორციელა დასავლეთმა ხელისუფლების მიმართ. თინა ქეიდენაუს ჩამოსვლაც და მისი ერთ-ერთი მთავარი მესიჯიც ხელისუფლების მიმართ იყო ის, რომ აუცილებლად აღდგეს რვიანთან დიალოგი. ხელისუფლებამ წამოიწყო ახალი თამაში — იმის მაგივრად, რომ მოლაპარაკებების შედეგები დაედო მაისის ბოლოსთვის, გადააქვს შემოდგომისაკენ. შემოდგომაზე კი ნებისმიერი ფორმის მოლაპარაკებები უნდა დასრულებულიყო და ევროპიდან უნდა მოსულიყო საბოლოო რეკომენდაციები იმ შედეგებზე, რომლებიც უნდა დადებულიყო მაისში. ხელისუფლებამ ახალი თამაში წამოიწყო. ოპოზიცია არ უნდა აჰყვეს ამ თამაშს, მაქსიმალურად პრინციპული უნდა იყოს, მაგრამ, ამავე დროს, არ უნდა დაუშვას მოლაპარაკების ჩაშლა. ჩემი აზრით, მოლაპარაკებებში მონაწილეობა ნებისმიერი გზით და ფორმით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კონფრონტაცია და კონფრონტაციის გამო მოლაპარაკების ჩაშლა.

***— ფაქტია, რომ დღეს სააკაშვილს აღარ აქვს დასავლეთიდან ისეთი მხარდაჭერა, როგორიც ადრე ჰქონდა...***

— რა თქმა უნდა. როგორც სახარება ამბობს, ვისაც ყურები აქვს, გაიგოსო. ვისაც დანახვა უნდა, ისინი ხედავენ, რომ ასეა. ვინც ვერ ხედავს ამას, ის ვერ დაინახავს ვერასდროს. თუმცა, სააკაშვილი ყურს არ შეიბერტყავს. ის ჰიტლერივით იქნება. ვიდრე ბუნკერში არ მიადგებიან, არ დაიჯერებს. ჰიტლერს თავზე დაექცა და დარწმუნებული იყო, რომ იმარჯვებდა. ვიდრე სააკაშვილი ოპოზიციის ქოშინს არ გაიგებს მის კიბეზე, მანამდე ვერ მიხვდება, რომ ქვეყანა მიჰყავს უფსკრულისაკენ. ეს ძალიან სერიოზული პრობლემაა ქვეყნისთვის. სააკაშვილს მხოლოდ ფიზიკური განადგურების შიში აქვს. გაიხსენეთ მისი ქცევები გორში. ეს არის საშინელება. მან ისე მოკურცხლა აბსოლუტურად მშვიდ და უწყინარ ვითარებაში გორში, რომ რეალურად თუ შეექმნა საფრთხე, ოჯახსაც მიატოვებს და შვილებსაც. ის ამ კატეგორიის ადამიანია. როცა ფიზიკურ საფრთხეს არ გრძნობს, მას ვაჟკაცი ჰგონია თავი. ამიტომ ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა ქვეყნისათვის და ამასვე გრძნობენ შიგნით ხელისუფლებაში. ეს მათი პრობლემაც არის. მან შეიძლება თავისი უგუნური ქცევებით შედარებით გონიერი ადამიანებიც ჩაიყოლოს პოლიტიკურ საფლავში, რაც ძალიან დამაფიქრებელი და საბედისწერო იქნება არა მარტო ქვეყნისათვის, რომელიც მათ ფეხებზე ჰკიდიათ, არამედ პირადად მათთვის იქნება საბედისწერო სააკაშვილის ასეთი ავანტიურისტული ნაბიჯები. ამიტომ, ისე უნდა გამოაცალონ სააკაშვილს ხელიდან სახელმწიფო, რომ ამით სახელმწიფო არ დაზარალდეს.

***— სააკაშვილს ფიზიკური საფრთხის პანიკური შიში აქვს?***

— რა თქმა უნდა და შეიძლება ამ საფრთხის თავიდან აცილების გამო მან ქვეყანა გადაიყოლოს. ეს არის ჩვენი ტრაგედია.

***— ასევე მინდა გკითხოთ ოპოზიციის იმ ფლანგის შესახებ, რომლებიც რადიკალებად იწოდებიან. თქვენ ზემოთ განაცხადეთ, რომ მშვიდად უნდა მივიდეთ არჩევნებამდე და არ უნდა იყოს საპროტესტო ტალღა...***

— პერმანენტული არ უნდა იყოს, ანუ მიტინგებითა და ქუჩის აქციებით არ უნდა მოვინდომოთ ხელისუფლების შეცვლა. ვიდრე არჩევნები არ დამდგარა, მანამდე ძნელია ამის გაკეთება. მე მაინც მგონია, რომ იმან, ვინც ფიქრობს რევოლუციაზე, ჯობია, ამაზე იფიქროს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ.

***— ქართული პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ ხელისუფლებას წელს შეცვლიან. ეს შესაძლებელია?***

— ისინი ამას ვერ გააკეთებენ, სამაგიეროდ გაართულებენ მდგომარეობას და პასუხს მერე არ აგებენ ამაზე. მთელი ჩვენი ტრაგედია ის არის, რომ საქართველოში პასუხს არავინ აგებს მის მიერ გადადგმულ წინდაუხედავ ნაბიჯზე. ყველაზე ეფექტური საშუალება იქნება, დღეს მთელი ოპოზიციური პარტიები გაერთიანდნენ იდეის გარშემო. ეს იდეაა — ყველა ერთად მივდივართ არჩევნებზე. ყველას მოვუწოდებთ, მივიდეთ არჩევნებზე და არავითარ შემთხვევაში ხმა არ მივცეთ სააკაშვილს. ნუთუ არ შეიძლება, ეს ორი ლოზუნგი შეათანხმოს ოპოზიციამ და ამ ფორმით გაერთიანდნენ არჩევნებამდე, რომ ყველა მივდივართ არჩევნებზე და სააკაშვილს არ ვაძლევთ ხმას. დანარჩენს კი ვისაც გინდათ, იმას მიეცით ხმა. ყველამ იბრძოლოს შემდეგ თავისი ხმისათვის. თუ ეს არ მოხდა, თუ აღმოჩნდნენ პოლიტიკური პარტიები, რომლებიც წავლენ არჩევნების ბოიკოტზე და თუ ხალხი ამის გამო არ მივიდა არჩევნებზე, უკაცრავად, მაგრამ მერე რასაც მივიღებთ, ამაზე პასუხი უნდა ვაგოთ. ქალბატონი ბურჯანაძე რომ აცხადებს დღეს, არჩევნებს აზრის არა აქვსო, როცა 50% არ მივიდა არჩევნებზე, რატომ არა აქვს აზრი, ვერ ვხვდები. მას შემდეგ, რაც ის ხელისუფლებიდან წამოვიდა, საქართველოში არჩევნები არ ჩატარებულა, გარდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისა. მან არ მიიღო ამ არჩევნებში მონაწილეობა, ეს ერთი და მეორე — მოუწოდა სხვებს, არ მიეღოთ მონაწილეობა და ხალხმა არ მიიღო მონაწილეობა. რატომ არა აქვს არჩევნებს აზრი, ვერ ვხვდები. ამიტომ, მოდით, კეთილი ვინებოთ და ხალხი მივიყვანოთ არჩევნებზე, ვნახოთ, რისი გამკეთებელია ხალხი არჩევნებში მონაწილეობის დროს და მერე ვილაპარაკოთ სხვა ფორმებზე, რაც გამორიცხული არ არის. მაშინ როცა წინ გაქვს ორი სერიოზული არჩევნები 2012 და 2013 წლის, ლაპარაკი რევოლუციაზე, ეს ძალიან უწყობს ხელს ხელისუფლებას, რათა გაიმყაროს პოზიციები.

***— იმის თქმა გინდათ, რომ ბურჯანაძე ხელისუფლების თამაშს თამაშობს?***

— ნამდვილად არა ვარ მზად ვთქვა, რომ ბურჯანაძე ხელისუფლების პოლიტიკას ახორციელებს, მაგრამ, მის წისქვილზე რომ წყალს ასხამს, ფაქტია. არა მარტო ბურჯანაძე, არამედ ის, ვინც ლაპარაკობს რევოლუციაზე და ნიჰილიზმით აფასებს და უყურებს არჩევნების პოტენციალს.

***— ფიქრობთ, რომ მათ მიერ დაგეგმილი აქციები უშედეგო იქნება?***

— შედეგი იქნება კატასტროფული, ხალხი არ წავა არჩევნებზე და გაიმყარებს პოზიციებს სააკაშვილის გუნდი. აი, ეს იქნება შედეგი.

***— გამოდის, რომ სააკაშვილს აწყობს დღეს აქციები და არეულობა?***

— ამ აქციების შედეგი იქნება ის, რომ სააკაშვილისა და მერაბიშვილის რეჟიმი კიდევ უფრო გამყარდება ხელისუფლებაში. აი, ეს იქნება შედეგი და მაშინ ამ შედეგებზე მათ პასუხი უნდა აგონ!

## ორშაბათი 2 მაისი

06.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 აქცენტები 15.00 სერ. "ხუთი და" 17.00 ან. ფილმი "გოძილა" 18.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 19.05 დოკ. ფილმი "7 მომაკვდინებელი ცოდვა" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ხუთი და" 22.00 აუდიტორია 23.00 სპორტული თოქ-შოუ "არენა" 00.00 მხ. ფილმი "**არასოდეს ელაპარაკო უცნობებს**" (18) (ა. ბანდერასი) 01.45 მოამბე 02.05 ცხოვრება მშვენიერია

08.00 დოკ. ფილმი "ღვთაებრივი მიქელანჯელო" 09.00 მხ ფილმი "**ჯუმანჯი**" 10.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 რეგიონის დროით 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი "რა ხდებოდა ჰიტლერის თავში" 20.00 მხ. ფ. "**უფრო მეტი ვიდრე უშუალოდ თამაში**" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ. ფ."**დიდი ფსონი**"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "**ცოდვილი**" 11.00 სერ. "**მიმწყვდეული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 იღბლიანი ბორბალი (გან.) 17.00 სერ. "**მორენას ვნება**" 18.45 სერ. "**დანიელა**" 19.45 სერ. "**ელენას მოჩვენება**" 22.00 ნიჭიერი (პირდ.) 00.00 საფეხბურთო ლამე 01.00 მხ. ფ."**წვიმის კაცი**" (18) 03.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 09.00 სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" 12.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 13.00 მხ. ფილმი 14.40 პულსი 15.20 სერ."**ორნახევარი კაცი**" 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. "**ვნებათა მიწა**" 20.00 სერ."**დაუნდობელი სამყარო**" 21.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა 11.30 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 12.20 ტვ-მარკეტი 12.35 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "**მეტოქეები**" 17.40 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 18.40 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 21.00 სერ. "**ქალბატონი**" 22.00 შეგირდი 23.45 ღამის შოუ (გან.) 01.00 მხ. ფილმი "**ცეცხლოვანი ველი**" (15) (შ. ტერონი) (სუბტ.) 03.10 მხ. ფილმი "**წყალქვეშა საპყრობილე**" (12) (ს. სიგალი) (სუბტ.) 06.30 სერ. "**ბოშები**"

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.50, 21.00 სერ. "**იდუმალი სტუმარი**" 12.50, 19.30 სერ. "**დიდი გასეირნება**" 14.50 ფერისცვალება 15.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "**ლინდა და ბრიგადირი**" 18.00 დოკ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საგალობელი 12.05 მხ. ფილმი "**არაჩვეულებრივი გამოფენა**" 13.30 კონცერტი – ტრიო "თბილისი" 15.05 სპექტაკლი "ძველი ვოდევილები" 18.05 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 მხ. ფილმი "**ჭრიჭინა**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 დრო და ტრადიციები 22.20 დოკ. ფილმი "ცარიელია სახლი" 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 მუს. ფილმი "პიანისტი" (ა. კორსანტია) 00.30 სუფთა დაფა

## სამშაბათი 3 მაისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 სპორტული თოქ-შოუ "არენა" 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. "ხუთი და" 17.00 ან. ფილმი "გოძილა" 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "ეგვიპტე" 21.00, 03.10 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 22.40 **ჩემპიონთა ლიგა**. განმეორებითი ნახევარფინალი. ბარსელონა-რეალი 00.40 მოამბე 01.00 მხ.ფ."**გაქცევა აბსოლომიდან**" (18) (რ. ლიოტა) 05.10 მხ. ფილმი "**ყველა წესის დარღვევით**"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფ. "**მეხთამტეხელი**" 01.00 მხ. ფილმი "**არასოდეს ელაპარაკო უცნობებს**"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "**ცოდვილი**" 11.00 სერ. "**მიმწყვდეული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 ვანოს შოუ (გან.) 17.00 სერ. "**მორენას ვნება**" 18.45 სერ. "**დანიელა**" 19.45 სერ. "**ელენას მოჩვენება**" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვის უნდა 20 ათასი 00.00 მხ. ფილმი "**შოტლანდიის უკანასკნელი მეფე**" (18) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" 09.00 სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" 12.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 იმედის ფსონი (პირდ.) 15.30 სერ."**ორნახევარი კაცი**" 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. "**ვნებათა მიწა**" 20.00 სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" 21.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 12.20 ტვ-მარკეტი 12.35 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "**მეტოქეები**" 17.40 სერ."**სიყვარულის ზღვა**" 18.40 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 21.00 სერ. "**ქალბატონი**" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 "ფეის კონტროლი" 01.00 მოკლმ. ფილმი "**კოიოტი**" (12) (ჯ. ბლეინი) (სუბტ.) 01.30 მხ. ფილმი "**დაბრუნება ბრაიდსდეში**" (12) (მ. გუდი) (სუბტ.) 04.05 მხ. ფილმი "**პირდაპირ მოქმედება**" (12) (დ. ლუნდგრენი) (სუბტ.) 06.30 სერ. "**ბოშები**"

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.50, 21.00 სერ. "**იდუმალი სტუმარი**" 12.50, 19.30 სერ. "**დიდი გასეირნება**" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "**ლინდა და ბრიგადირი**" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.25 დოკ.ფ."ცარიელია სახლი" 10.50 მუს. ფილმი "პიანისტი" (ა. კორსანტია) 11.25 დრო და ტრადიციები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "**ჭრიჭინა**" 13.45 გენო ადამიას ხსოვნის საღამო 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.30 მხ. ფილმი "**იმერული ესკიზები**" 16.45 დოკ.ფ."ველური ბუნება" 17.10 დოკ. ფილმი "მოქცევაი ქართლისაი" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 "განთიადის" არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "**მზე შემოდგომისა**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სღვთისმეტყველო საუბრები 22.20 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დროის ჩანაწერები 00.25 კონცერტი – ე. ვირსალაძე 00.50 მხ. ფილმი "**ვერის უბნის მელოდიები**"

## ოთხშაბათი 4 მაისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 აუდიტორია 13.30 დამზადებულია საქართველოში 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.00 ან. ფილმი "გოძილა" 18.00 **ფეხბურთი**. საქართველოს თასის განძ. ნახევარფინალი. ზესტაფონი-ტორპედო 21.00 სერ. "ხუთი და" 22.00 ევროპული არჩევანი 23.00 მხ. ფილმი "**პირველი რაინდი**" (შ. კონერი) 01.20 მოამბე 01.40 ევროპული არჩევანი 02.40 ჩვენი ეზო 03.40 მხ. ფილმი "**ბობი ჯონსი გოლფის გენიოსი**"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "**ყველა წესის დარღვევით**" 01.00 მხ. ფილმი "**გაქცევა აბსოლომიდან**"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "**ცოდვილი**" 11.00 სერ. "**მიმწყვდეული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 კომედი შოუ 17.00 სერ. "**მორენას ვნება**" 18.45 სერ. "**დანიელა**" 19.45 სერ. "**ელენას მოჩვენება**" 22.00 იღბლიანი ბორბალი 22.40 **ჩემპიონთა ლიგა**. 00.40 პატრული 01.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 01.20 მხ. ფილმი "**ძირითადი ინსტინქტი**" (18)

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" 09.00 სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" 12.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 სერ."**ორნახევარი კაცი**" 15.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 16.20 მხ. ფილმი 19.00 სერ. "**ვნებათა მიწა**" 20.00 სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" 21.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ."**სიყვარულის ზღვა**" 12.20 ტვ-მარკეტი 12.35 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "**მეტოქეები**" 17.40 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 18.40 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 21.00 სერ. "**ქალბატონი**" 22.00 ყოფილი ცოლების კლუბი 23.00 თბილისი ლაივი 23.45 შეგირდი 00.15 პოკერ რინგი 01.00 მხ. ფილმი "**ბრილიანტის ამბავი**" (12) (ბ. ჰოვარდი) (სუბტ.) 03.05 მხ. ფილმი "**ტერმინატორი 3**" (ა. შვარცენეგერი) (სუბტ.) 06.30 სერ. "**ბოშები**"

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.50, 21.00 სერ. "**იდუმალი სტუმარი**" 12.50, 19.30 სერ. "**დიდი გასეირნება**" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "**ლინდა და ბრიგადირი**" 22.00 სცენა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 სღვთისმეტყველო საუბრები 11.00 მგზავრები წუთისოფლისა 11.25 დროის ჩანაწერები 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "**მზე შემოდგომისა**" 13.30 კონცერტი – მ. დოიჯაშვილი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.30 მხ. ფილმი "**ციხკარა**" 16.40 კვირიაკე 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 "განთიადის" არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "**სამანიშვილის დედინაცვალი**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.10 დოკ. ფილმი "ხილული სასწაულები" 22.20 ქართული ალბომი 22.35 გზა, რომლითაც ვიარე 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 სუფთა დაფა 00.45 მხ. ფილმი "**მხოლოდ ერთხელ**" 01.40 კონცერტი

## ხუთშაბათი 5 მაისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ევროპული არჩევანი 13.30 ჩვენი ფერმა 14.00 **კალათბურთი**. საქ. ჩემპიონატის მეოთხედფინალი. სოხუმი-შსს 17.00 ან. ფილმი "გოძილა" 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "ბირთვული იარაღის საიდუმლო" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ხუთი და" 22.00, 03.20 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 სერ. "**ზიანი**" (12) 00.00 ავტოპილოტი 01.00 მხ. ფილმი "**მარტოხელა თეთრი ქალი**" (18) (ბ. ფონდა) 04.20 მხ. ფილმი "**პროფესია – რეპორტიორი**" (12) (ჯ. ნიკოლსონი)

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "**ჩემი სიკვდილის შემდეგ**" 01.00 მხ. ფილმი "**პირველი რაინდი**"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "**ცოდვილი**" 11.00 სერ. "**მიმწყვდეული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 ნიჭიერი (გან.) 17.00 სერ. "**მორენას ვნება**" 18.45 სერ. "**დანიელა**" 19.45 სერ. "**ელენას მოჩვენება**" 22.00 პროფილი 23.30 ტოტო 00.00 მხ. ფილმი 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" 09.00 სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" 12.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 15.20 სერ."**ორნახევარი კაცი**" 16.30 მხ. ფილმი 19.00 სერ. "**ვნებათა მიწა**" 20.00 სერ."**დაუნდობელი სამყარო**" 21.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 12.20 ტვ-მარკეტი 12.35 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "**მეტოქეები**" 17.40 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 18.40 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 21.00 სერ. "**ქალბატონი**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 **შეგირდი** 23.30 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.00 მხ. ფილმი "**ჩემი ძმაკაცის შეყვარებული**" (12) (ჯ. ბიგსი) (სუბტ.) 03.10 მხ. ფ."**კერკეტი კაკალი**" (12) (ბ. უილისი) (სუბტ.) 06.30 სერ. "**ბოშები**"

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" 10.30 დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" 11.50 სერ."**იდუმალი სტუმარი**" 12.50, 19.30 სერ. "**დიდი გასეირნება**" 14.50 სცენა 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "**ლინდა და ბრიგადირი**" 21.00 სერ. "**ჩემი მიწა**" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 დოკ. ფილმი "ხილული სასწაულები" 11.05 სუფთა დაფა 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "**სამანიშვილის დედინაცვალი**" 13.35 კონცერტი – ქართული ხმები და ანს. "ბათუმი" 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.30 მხ. ფ. "**ბაში აჩუკი**" 17.00 დოკ.ფ."ველური ბუნება" 17.30 "განთიადის" არქივიდან 18.05 სღვთისმეტყველო საუბრები 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ.ფ."**ხევისბერი გოჩა**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 მიწათმოქმედი 21.40 წარმატების ფორმულა 22.15 მოკლემ. ფილმი "**ოჯახი**" 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ფოლკლორში" 00.35 სად უჩინარდებიან ჩემპიონები 01.00 მხ. ფილმი "**კეთილი ადამიანები**"

## პარასკევი 6 მაისი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00, 02.45 მოამბე 12.30 ავტოპილოტი 13.30 ვაშინგტონი დღეს 14.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 15.00 სერ. "ხუთი და" 17.00 ან. ფილმი "გოძილა" 17.30 **ძიუდო**. გრან-პრი. ფინალები 19.05 დოკ. ფილმი "ათონის ქართველთა სავანე" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ხუთი და" 22.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 23.00 სერ. "**ზიანი**" (12) 00.00 წითელი ზონა 01.00 მხ. ფ. "**სატყუარა**" (12) 03.50 მხ. ფილმი "**ლოს-ანჯელესის სპეცრაზმი**"

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "**ბობი ჯონსი გოლფის გენიოსი**" 01.00 მხ. ფილმი "**მარტოხელა თეთრი ქალი**"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "**ცოდვილი**" 11.00 სერ. "**მიმწყვდეული**" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30 კურიერი 12.30 სხვა ამბები 13.00 ბიზნეს-კურიერი 13.30 შუა დღე (პირდ.) 15.40 პროფილი 17.00 სერ. "**მორენას ვნება**" 18.45 სერ. "**დანიელა**" 19.45 სერ. "**ელენას მოჩვენება**" 21.00 კურიერი 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვანოს შოუ 23.00 კომედი შოუ (გან.) 00.00 მხ. ფილმი "**ბუმერანგი**" (18) 02.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "საოცარი მითები და ლეგენდები" 09.00 სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ. "**დაუნდობელი სამყარო**" 12.00 სერ."**ორნახევარი კაცი**" 12.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.45 მხ. ფილმი 16.45 მხ. ფილმი 19.00 სერ. "**ვნებათა მიწა**" 20.00 სერ."**დაუნდობელი სამყარო**" 21.00 გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) 23.00 მზის კინოკლუბი 02.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "**ლამაზი სიცოცხლე**" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.30 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 12.20 ტვ-მარკეტი 12.35 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "**მეტოქეები**" 17.40 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 18.40 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 21.00 სერ. "**ქალბატონი**" 22.00 სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" 23.00 ღამის შოუ 00.00 **შეგირდი** 00.30 მუსიკალური ლიგა (გან.) 01.45 მხ. ფილმი "**საიდუმლო ნიშანი**" (ნ. კეიჯი) (სუბტ.) 04.10 ფლეიბოი იმედზე 04.40 მხ. ფილმი "**ევროტური**" (15) (სუბტ.) 07.15 სერ. "**ბოშები**"

09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" 10.30 დოკ. ფილმი "ტურიზმი" 11.50, 21.00 სერ. "**ჩემი მიწა**" 12.50, 19.30 სერ. "**დიდი გასეირნება**" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "**ლინდა და ბრიგადირი**" 19.00 მუსიკა 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.15 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "მოგზაურობა ფოლკლორში" 11.30 გზა, რომლითაც ვიარე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00 საეკლესიო კალენდარი 12.15 მხ. ფილმი "**ხევისბერი გოჩა**" 13.30 კონცერტი – ანს."მამული" 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.30 მხ. ფილმი "**მამლუქი**" 16.35 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფილმი "სულიკო" 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.25 "განთიადის" არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 მხ. ფილმი "**მხიარული რომანი**" 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.20 გარდამოხსნის განმარტება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ჩვენი ფონდი 23.00 საღამოს ლოცვა 23.10 დოკ. ფილმი "წმინდა გიორგი" 23.30 დოკ. ფილმი "ზეცის სიმაღლეს ეზიარა" 00.35 კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## შაბათი 7 მაისი

07.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 ან. ფილმი "პრინცესა გედი" 11.30 "ბავშვობანა" 12.00, 16.00, 20.00, 03.30 მოამბე 12.15 მხ. ფილმი "**ამაზონის განძი**" 14.00 **კალათბურთი**. საქ. ჩემპიონატი. არმია-ენერჯი (პირდ.) 16.15 ქართული დოკუმენტალისტიკა 17.30 დამზადებულია საქართველოში 17.30 **ძიუდო**. გრან-პრი. ფინალები 19.00 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი 19.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 20.00 მოამბე 21.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 23.00 პილოტი 00.00 სი ბემოლი 01.00 მხ. ფ. "**მეწამული მდინარეები**" (18) (ჟ. რენო)

08.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 ბრიფინგის დროით 17.00 ბრიფინგის დროით 17.30 ჩვენი სამართალი 18.00 დოკ. ფილმი 19.00 რეგიონის დროით 19.30 საუკუნის პორტრეტები 20.00 მხ. ფილმი "**ლოს-ანჯელესის სპეცრაზმი**" 22.20 კონცერტი: მ. სეფაშვილი 23.40 წითელი ზონა 00.40 მხ. ფილმი "**სატყუარა**"

08.00 კურიერი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "სინდბადი" 10.00 ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) 11.00 ეკი-ვოკი (გან.) 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 13.00 მხ. ფილმი 15.30 ქართ. ფილმი 17.30 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 18.50 ანა-ბანა 19.50 სერ. "**ელენას მოჩვენება**" 21.00 პ. ს. კურიერი 23.00 ქართ. სერ. "**დეტექტივები**" (ახალი) 00.00 მხ. ფილმი 02.30 მხ. ფილმი "**ლეონი**"

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 საბ. სერ. "**ოდისეა**" 11.30 პულსი 12.00 სერ. "**ვერონიკა მარსი**" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. "**ელიზა დი რივომბროზა**" 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 21.00 სერ."**გაუხსნელი საქმე**" 22.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" 08.40 ან. ფ. "ელფების ქვეყანა" 10.30 თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 გადაიხადე ნაკლები 11.45 სერ. "**შუა ქალაქში**" 12.35 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 14.30 რემონტი 15.00 თბილისი ლაივი 16.00 სერ. "**მეტოქეები**" 17.40 სერ. "**სიყვარულის ზღვა**" 18.40 სერ. "**როცა სიყვარული მოდის**" 20.30 სპეც. რეპორტაჟი 21.00 სერ. "**ქალბატონი**" 22.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 **შეგირდი** 23.45 მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი 01.15 სერ."**შუამავალი**" 1-ლი ს. 02.15 მხ. ფილმი "**აგვისტო**" (15) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) 04.05 ფლეიბოი იმედზე 04.35 მხ. ფილმი "**ვარსკვლავის დაბადება**" (ჰ. დაფი) (სუბტ.) 07.15 სერ. "**ბოშები**"

09.00, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" 10.00 დილის ტალღა 12.00 ფერისცვალება 12.30, 21.00 სერ. "**ჩემი მიწა**" 13.15 სერ. "**დიდი გასეირნება**" 14.30 დროის ვექტორი 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "**ლინდა და ბრიგადირი**" 19.30 სერ. "**სალომეა**" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.20 ჩვენი ფონდი 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.20 დოკ. ფილმი "შორ ვართ" 10.50 კვირიაკე 12.15 მხ. ფილმი "**მხიარული რომანი**" 13.30 მულტფილმი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.30 ოპერა 17.30 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 18.05 სატ. არქივიდან 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.15 ქართული ალბომი 19.35 მხ. ფილმი "**ისინი ჩამოვიდნენ მთიდან**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კარაბადინი 22.15 თბილისის ტაძრები 23.30 დოკ. ფილმი "თეძმის ხეობა" 23.00 საღამოს ლოცვა 23.05 მოკლ. ფილმი "**აპრილი**" 00.30 სატ. არქივიდან – ტალანტები და თაყვანისმცემლები 01.45 კონცერტი – ლ. პავაროტი

## კვირა 8 მაისი

07.00 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" 08.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 10.00 მხ. ფილმი "**ჩარეცხილი**" 12.00, 16.00, 20.00, 03.25 მოამბე 12.15 დოკ. ფ. "**ომის ნისლი**" 14.00 ჩვენი ფერმა 14.30 სი ბემოლი 15.30 ჩვენი სამართალი 16.30 ვაშინგტონი დღეს 17.00 **ფეხბურთი**. საქ. ჩემპიონატი. კოლხეთი-ზესტაფონი 19.00 **ძიუდო**. გრან-პრი. ფინალები 20.00 აქცენტები 21.00 ცხოვრება მშვენიერია 22.00 კონცერტი – სალომე დე ბაია 23.00 პილოტი 00.00 ღამის საუბრები 01.00 მხ.ფ."**რამდენიმე კარგი ბიჭი**" (12) (ტ. კრუზი) 02.50 აქცენტები

08.30 დოკ. ფილმი 09.00 ბრიფინგის დროით 10.00 თავისუფალი ტრიბუნა 15.00 პარლამენტის სხდომის დაიჯესტი 18.00 დოკ. ფილმი "მეორე მსოფლიო ომი, დახურულ კარს მიღმა" 19.00 საუკუნის პორტრეტები 20.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 21.00 ქართული დოკუმენტალისტიკა 21.30 მხ. ფ."**ამაზონის განძი**" 23.05 კონცერტი: გ. საღარაძის საღამო 00.35 მხ. ფილმი "**მეწამული მდინარეები**" (18)

08.00 "კურიერი პ.ს." დაიჯესტი 08.30 მულტსერ. "ნარუტო" 09.00 საბ. სერ. "დაკარგული სამყარო" 10.00 ანაბანა (გან.) 11.00 საბავშვო ამბები 11.30 მულტფილმი "მხიარული ფერმა" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.30 ვაკანსია 13.00 მხ. ფ. "**ბინგო-ბონგო**" 15.20 სერ. "**სიამაყე**" 17.25 ავტომარიაჟი 18.30 სიცილის ზონა 19.00 ეკი-ვოკი 20.00 ეთამაშე ვარსკვლავს 21.00 კომედი შოუ 23.00 ქართ. სერ. "**დეტექტივები**" 00.00 მხ. ფილმი 02.20 მხ. ფილმი "**სანამ შენ გეძინა**" (18)

08.00 მხ. ფილმი 10.00 ანიმაცია "ტომი და ჯერი" 11.00 გადაცემა "ტვ-ტესტი" 11.30 პულსი 12.00 სერ. "**ვერონიკა მარსი**" 13.00 "იმედის ფსონი" პირდაპირი 14.00 სერ. "**ელიზა დი რივომბროზა**" 15.00 მხ. ფილმი 17.00 მულტფილმი 18.00 მხ. ფილმი 20.00 მზის კინოკლუბი 23.00 მხ. ფილმი (სუბტ.) 00.00 მხ. ფილმი (სუბტ.)

08.00, 09.00 ქრონიკა 08.15 ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" 08.40 მხ. ფილმი "**მეხთამტყორცნელი**" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.15 საბ. გადაცემა "ორმაგი რისკი" 12.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 12.35 სერ."**ჰანა მონტანა**" 9-10 ს. 14.30 სპეცრეპორტაჟი 15.00 საბ. გადაცემა "თავდაყირა" 17.30 ბოიარის ციხესიმაგრე 17.45 ეტალონი 19.05 სერ. "**გოგონა გარეუბნიდან**" 20.15 იმედის გმირები 20.30 მუსიკალური ლიგა 22.00 სერ. "**შუა ქალაქში**" 23.00 **შეგირდი** 00.00 ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) 01.15 სერ. "**შუამავალი**" მე-2ს. 02.15 მხ. ფილმი "**ადრენალინი**" (15) (სუბტ.) 04.10 მხ. ფილმი "**კეთილი ჯონი**" (ჩ. ტატუმი) (სუბტ.) 06.30 სერ. "**ბოშები**"

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 09.30, 23.00 სერ. "**კეთილშობილი თაღლითები**" 10.00 დილის ტალღა 12.00 დოკ. ფილმი 13.00, 21.00 სერ. "**ჩემი მიწა**" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "**ლინდა და ბრიგადირი**" 19.30 სერ. "**სალომეა**" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.20 დოკ. ფ. "თეძმის ხეობა" 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 საეკლესიო კალენდარი 09.05 განთიადი (კოლაჟი) 10.05, 19.00, 22.00 სიახლენი 10.35 მოკლ. ფილმი "**აპრილი**" 11.40 ქართული ალბომი 12.15 მხ. ფილმი "**ისინი ჩამოვიდნენ მთიდან**" 13.30 ქართული მულტფილმები 14.00 დოკ. ფილმი "ოსტატები" 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.35 მგზავრები წუთისოფლისა 16.50 დოკ. ფილმი "ვარძია" 17.15 სღვთისმეტყველო საუბრები 18.00 პატრიარქის ქადაგება 18.25 დროის ჩანაწერები 19.05 გზა, რომლითაც ვიარე 19.25 მხ.ფ."**სიბრძნე სიცრუისა**" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 კვირიაკე 22.45 მილოცვა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 გაცოცხლებული წარსული 00.05 პატრიარქის ქადაგება 00.40 ოპერა

# ავადმყოფი ბავშვის მიტოვება ვერ შევძელი

**ნათელა საყვარელ ადამიანს დაშორდა. მისი ტკივილი ახლა უსაზღვროა, თუმცა ამბობს, რომ არ ნანობს თავის საქციელს, რადგან ერთადერთ შვილთან ცამდე მართალია.**



*ნათელა:*

— უკვე სამი თვეა ჩემს საყვარელ ადამიანს დავშორდი. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის არასოდეს მითხოვია ცოლად მომიყვანე-მეთქი, მაინც მინდოდა ოჯახი გვრქმეოდა და ერთ ჭერქვეშ გვეცხოვრა. ჩემს მამაკაცს, რომელსაც ქმარსაც ვერ დავარქმევ, რადგან მას ოჯახი უკვე ჰყავდა, როცა გავიცანი, ჩემთვის არაფერი დაუკლია. ბინაც მიქირავა, ყურადღებასაც მაქცევდა და არც გულს მტკენდა.

მერაბი ერთ-ერთ რესტორანში გავიცანი. სამსახურთან დაკავშირებით საქმიანი სადილი მქონდა და იქ მოვიდა. საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე მუშაობს, სიმპათიური და განათლებულია. რომ მივედი და დაჯავშნულ მაგიდასთან ასეთი მამაკაცი დამხვდა, კინაღამ უკან გამოვბრუნდი. არ ველოდი, ჩემზე ასეთ შთაბეჭდილებას თუ მოახდენდა. მანამდეც ხშირად მქონია საქმიანი ვახშამი სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლებთან, მაგრამ მერაბმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენთვის საჭირო საკითხებზე ვისაუბრეთ და ერთმანეთს დავშორდით. ორი დღის შემდეგ სამსახურში თაიგული მომივიდა, რომელსაც არც სახელი ეწერა, არც გვარი და არც გამომგზავნის ვინაობა. ვიფიქრე, ალბათ შეეშალაც-მეთქი, მაგრამ თაიგულის მომტანმა ჩემი სახელი და გვარი მითხრა და განმიმარტა, რომ ეს ყვავილები სწორედ ჩემთვის იყო განკუთვნილი. ასე გრძელდებოდა ერთი კვირა. კვირის ბოლოს მერაბმა დამირეკა. მისი ხმის გაგონება ძალიან გამიხარდა. ვახშამზე ისევ იმ რესტორანში დამპატიჟა, სადაც პირველად შევხვდით. ვუთხარი, არ მცალია, კვირა უკვე დავგეგმე-მეთქი. ეწყინა, მითხრა თუ გაწუხებ, ბოდიშს ვიხდი, ამის შემდეგ აღარ დაგირეკავო და ტელეფონი გამითიშა.

***— იცოდით, რომ ცოლიანი იყო?***

— ამის შესახებ საკმაოდ გვიან გავიგე. უკვე ღრმად მქონდა შეტოპილი და მის გარეშე ცხოვრება ჩემთვის რთული იქნებოდა. მართალია მერაბი ჩემზე გაცილებით დიდია, მაგრამ მასთან თავს, როგორ სრულფასოვანი ქალი, ისე ვგრძნობდი. პირველი უარის შემდეგ კიდევ ორჯერ დამირეკა და ორჯერვე უარი ვუთხარი. არ მინდოდა ეფიქრა, რომ მომეწონა და მასთან შეხვედრა მინდოდა. მესამედ უკვე სამსახურიდან გამოსვლისას პირდაპირ კართან დამხვდა მანქანით და იმ რესტორანში წამიყვანა, სადაც პირველად შევხვდით ერთმანეთს. იმ საღამოს ბევრი ვილაპარაკეთ, მითხრა, ჩემთან გეპატიჟები, კარგი ნამცხვარი მაქვს და ყავის გაკეთებაც კი შემიძლიაო. უარი ვუთხარი, სახლში დედა მელოდება-მეთქი. სინამდვილეში მარტო ვცხოვრობდი და ჩემი მშობლები სულ არ იყვნენ ჩემთან.

***— უარი რატომ უთხარით?***

— იმიტომ, რომ არ მინდოდა ეფიქრა, თითქოს მომწონდა. თავიდან მეც მეგონა, რომ უბრალოდ მერაბის ყურადღება მსიამოვნებდა და არაფერი განსაკუთრებული არ ხდებოდა ჩემ თავს, მაგრამ მოვტყუვდი. სამსახურში გამუდმებით ველოდებოდი მის ზარს, მისი ნებისმიერი საჩუქარი მსიამოვნებდა და პატარა ბავშვივით ამჩატუბელი ვიყავი. თანამშრომლებმაც შემამჩნიეს, რომ შევიცვალე, მაგრამ არავის არაფერში ვუტყდებოდი, მინდოდა ჩემი საიდუმლო დიდხანს არ გამჟღავნებულიყო, რომ გარეშე პირებს ჩემი ბედნიერება არ წაერთმიათ.

მერაბთან ერთად ოთხი წელი ვიცხოვრე. არც ერთხელ არ მითქვამს, ცოლად მომიყვანე-მეთქი. ისიც კი არ ვიცოდი, რომ ცოლიანი იყო, თუმცა მაგ ასაკში, წესით, ყველა მამაკაცი დაოჯახებულია. მერაბმა ბინა მიქირავა, მითხრა, ასე უფრო თავისუფლად გნახავ, არ მინდა შენს სახლში მოვიდე და მეზობლებს სალაპარაკო თემა მივცეთო. სიამოვნებით დავთანხმდი. სამსახურიდან ჩვენს მყუდრო ბინაში გავრბოდი, სადაც გემრიელ ვახშამს ვამზადებდი და ჩემს საყვარელ ადამიანს ველოდებოდი.

***— რატომ წავიდა თქვენგან?***

— იმიტომ, რომ სხვა შანსი არ დავუტოვე. ორსულად რომ დავრჩი, მერაბს არ მოეწონა. პირდაპირ არ უთქვამს ბავშვი მოიშორეო, მაგრამ ხშირად სიტყვას გადამიკრავდა ხოლმე, ახალგაზრდა ხარ, იქნებ ჯერ ცხოვრებით დატკბე, ბავშვი მუშაობაშიც ხელს შეგიშლის და ჩვენს სიმყუდროვესაც დაარღვევსო. არაფერს ვეუბნებოდი, შვილი ძალიან მინდოდა, ეს ხომ ყველა ქალის ოცნებაა, თანაც, როცა პატარას საყვარელი ადამიანისგან აჩენ, ამას არაფერი სჯობს. ერთ საღამოს ცოტა გაღიზიანებული მოვიდა და კატეგორიულად მომთხოვა, ბავშვი მოიშორეო. უარი ვუთხარი, ისიც კი გავუბედე, თუ გინდა წადი ჩემი ცხოვრებიდან, არაფერს გეტყვი, შენ შეგელევი, მაგრამ ამ ბავშვს ვერა-მეთქი. მერაბი ასეთ პასუხს არ მოელოდა, გადამეხვია და დიდხანს მკოცნიდა, როგორი კარგი ყოფილხარ და კიდევ ბოლომდე ვერ შეგიცანიო.

უკვე 9 თვის ორსული ვიყავი, როცა გავიგე, რომ ჩემს საყვარელ მამაკაცს ოჯახი ჰყავდა. ეს ამბავი საშინლად განვიცადე. მეგონა ქვეყანა დაიქცა და მეც შიგ მომიყოლა. ისევ მერაბმა დამამშვიდა, ეგ ქალი არ მიყვარს, ჩემმა მშობლებმა გამირიგეს, პირველივე დღიდან იცოდა, რომ სიყვარულით არ შემირთავს, ამიტომ ჩემს სახლში ცხოვრობს, თორემ უკვე წლებია ერთმანეთთან არაფერი გვაკავშირებსო. არ ვიცი ასე რატომ თქვა, მათ ორი გოგონა ჰყავდათ, უკვე დიდები იყვნენ და მათ ყველაფერი იცოდნენ ჩვენს შესახებ. რამდენჯერმე გავიგე, რომ მერაბს სახლში მაგრად უჩხუბია და ჩემი სახელის ხსენებაც კი აუკრძალავს. ერთ საღამოს ნასვამი მოვიდა და ამ თემაზე სპეციალურად დავუწყე ლაპარაკი. მაინტერესებდა, რას მეტყოდა, თან ხომ იცით, ადამიანი სიმთვრალეში უფრო ამბობს სიმართლეს. მერაბმა მითხრა, შვილები მეცოდებიან, თორემ ის ქალი ჩემთვის დიდი ხანია მოკვდაო. მივხვდი, რომ ჩემი ცხოვრება შეიცვალა, თუმცა უკვე 30 წელს გადაცილებული ვიყავი, მერაბიმდე ასე სერიოზულად არავინ მყვარებია და ახლა არჩევანის გაკეთება მიწევდა. მერაბი უკვე შეგუებული იყო იმ ფაქტს, რომ მისგან შვილს ვაჩენდი და სამაგიეროდ არაფერს ვითხოვდი. მისმა ბოლო მისვლამ ცოლთან და შვილებთან მისი მდგომარეობა საბოლოოდ ცხადი გახადა. მერაბმა სახლში კარგად იჩხუბა და ჩემთან გადმოვიდა. მხოლოდ სამსახურში დადიოდა და სახლში მოდიოდა, თავის შვილებსაც აღარ აკითხავდა. სულ ვეუბნებოდი, რომ არ იქცეოდა სწორად და ბავშვები არაფერ შუაში იყვნენ, მაგრამ არ მიჯერებდა. ერთ საღამოსაც, როცა მერაბს ველოდებოდი, მოულოდნელად მისი ცოლი დამადგა თავზე. ისეთი გაცეცხლებული იყო, კარი გამოვაღე თუ არა, გიჟივით შემოვარდა, სახეში გამარტყა და სულ თმებით მათრია. მერე ზედ მომაჯდა და იმდენი მირტყა, სანამ ცხვირიდან სისხლი არ წამომივიდა. მალე მერაბიც მოვიდა, ძლივს გაგვაშველა, უფრო სწორად, ძლივს გააგლიჯა ჩემი თავი თავის ცოლს, კინაღამ მომკლა. იმ საღამოსვე ტკივილები დამეწყო და სამშობიაროში აღმოვჩნდი. ბიჭი გავაჩინე, მაგრამ მიღებულმა ტრავმამ და სტრესმა მის ჯანმრთელობაზე იმოქმედა. ბავშვი პრობლემებით გაჩნდა. ექიმებმა გვირჩიეს, პატარაზე უარი თავიდანვე გვეთქვა და სახლში არ წაგვეყვანა, რადგან მთელი ცხოვრება ინვალიდი იქნებოდა და სრულფასოვან ცხოვრებას ვერ შეძლებდა.

***— მერაბმა რა გირჩიათ?***

— მერაბსაც ძალიან გაუჭირდა ამ გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ ბოლოს გამომიტყდა, მოდი, ექიმებს დავუჯეროთ, პატარა დავტოვოთ, ჩვენ კიდევ ბევრი შვილები გვეყოლებაო. კატეგორიული წინააღმდეგი წავედი, ვუთხარი, ბავშვი ჩემია და როგორიც იქნება, ისეთს გავზრდი, არავისთან დატოვებას არ ვაპირებ-მეთქი. მერაბი ჩემს ნებას დაყვა, მაგრამ ვიგრძენი, რომ გაუჭირდა. სახლში რომ გამოგვიშვეს, წამლების დიდი სია გამოგვატანეს, თან გაგვაფრთხილეს, რომ ბავშვს 24 საათიანი მეთვალყურეობა სჭირდებოდა. ყველაფერს გმირულად ვუძლებდი, ღამეებსაც ვათევდი და ბავშვს არაფერს ვაკლებდი, მაგრამ ჩემი ჯანმრთელობაც შეირყა. აგრესიული გავხდი, ყველაფერზე ვჩხუბობდი, სულ უკმაყოფილო ვიყავი, ნერვები არაფერზე მყოფნიდა. მერაბმა კიდევ ერთხელ შემომთავაზა, ექიმების რჩევა გამეხსენებინა და სანამ გვიან არ იყო, ბავშვზე უარი მეთქვა. ამ სიტყვებმა ისე გამაბრაზა, რომ ჩემს ქმარს სერიოზულად ვეჩხუბე. იმ საღამოს მერაბი მთვრალი მოვიდა და გამომიცხადა, ამ ბავშვის ყურება არ შემიძლია, არჩევანის წინაშე გაყენებ, ან მე, ან ეგ ბავშვიო. არც დავფიქრებულვარ, ისე ვუპასუხე, მე ჩემს შვილთან განშორებას არ ვაპირებ-მეთქი. მერაბმა მთელი თავისი ნივთები ჩაალაგა და ჩვენგან წავიდა. ერთი კვირა მეგონა, რომ ან დარეკავდა, ან დაბრუნდებოდა, მაგრამ შევცდი. ერთხელაც არ მოსულა, არც დაურეკავს.

***— ისევ მის სახლში ცხოვრობთ?***

— არა. მერაბის არ ვჭირდებით და მისი სახლი რად მინდა?! ერთი კვირის შემდეგ იმ სახლიდან ჩემს სახლში გადავედი. ახლა ბავშვზე მარტო ვზრუნავ. ძალიან მიჭირს, მართლაც რთულია, მაგრამ დედა ვარ და ვალდებული ვარ ეს გავაკეთო. არ ვიცი ახლა მერაბი სად არის, შეიძლება თავის ყოფილ ცოლს დაუბრუნდა, მე მისი ცოლი არასოდეს ვყოფილვარ და ეს ძალიანაც არ მანაღვლებს. უკვე სამი თვეა მე და ჩემი შვილი მარტო ვცხოვრობთ. შევეგუე იმას, რომ ასეთი გადაწყვეტილება თვითონ მივიღე და ახლა ამ ტვირთის ტარება ბოლომდე მომიწევს. მერაბმა ჩემი სახლიც კარგად იცის, თუ სურვილი ექნება, მოვიდეს და თავისი შვილი ნახოს, მე კი შერიგებაზე არც კი დამელაპარაკოს, რადგან არ შემიძლია იმ ადამიანს ვაპატიო, ვისაც თავის შვილზე ზრუნვა დაეზარა და პასუხისმგებლობას გაექცა.

**თიკო ნინიაშვილი**

## სასარგებლო რჩევები

svfdbnfvbyt,bsuffvlblhts

როგორც მოდის სამყაროს წარმომადგენლები განმარტავენ, 2011 წლის გაზაფხულზე მოდაში მოკლე თმაა. პირველ რიგში თმის შეჭრა იმისთვის არის კარგი, რომ თმა ისვენებს და სიმძიმეს ნაკლებად განიცდის, პარალელურად თქვენ მოდას აყოლილი ხართ და თავს უფრო კომფორტულად გრძნობთ.

ხშირ შემთხვევაში თმის ხარისხის გასაუმჯობესებლად მხოლოდ თმის შეჭრა არ არის საკმარისი. მისი ხარისხი იმდენად დაბალია, რომ მას ვიტამინებით გამდიდრება და კვება სჭირდება. დღეისათვის არსებობს ვიტამინის უამრავი კომპლექსი, მათ შორის თმის ცვენის საწინააღმდეგო, აღმდგენი, ზრდისთვის. უნდა გავითვალისწინოთ, რომ აქაც ინდივიდუალურადაა საქმე, რაც ზოგს ალაფრთოვანებს და ძალიან კარგ შედეგს აძლევს, სხვას შეიძლება საერთოდაც არ მოეწონოს. ვიტამინები თმის მცველია სტრესისა და სეზონური „სირთულეებისას“.

ხშირად თმის ცვენა აქტიურად აწუხებს ახალგაზრდა დედიკოებს, აქ არაფერია საშიში, სრულიად ბუნებრივია, რაც არ დაგცვივდათ ორსულობის პერიოდში, ის იწყებს აქტიურ ცვენას. ვიტამინები დაეხმარება თმის სწრაფად აღდგენას, თუმცა თუ ბავშვს ბუნებრივად კვებავთ, გაითვალისწინეთ, რომ ასეთ დროს ვიტამინები არ არის სასურველი. ვიტამინის მედიკამენტოზური ფორმით მიღებაზე ბევრად უკეთესია იგი საკვების გზით მიიღოთ. ამით გაუმჯობესდება თმის სტრუქტურა, შემატებს მას ელასტიურობას და სირბილეს.

თმის მოვლისათვის ყველაზე კარგია ა, ე, ცე და ბე ვიტამინები. ა ვიტამინი აუმჯობესებს თმის სტრუქტურას, ის სასარგებლოა მტვრევადი და მშრალი თმისთვის. უხვად არის კვერცხის გულში, სტაფილოსა და კარაქში. ბე ჯგუფის ვიტამინები ხდის თმას ძლიერს და ებრძვის ჭარბ ცხიამიანობას. ბე2 და ბე8 თმის ცვენის საწინააღმდეგოა, ბე9 გაჭაღარავებას „უშლის“ ხელს. ეს ვიტამინები საკმაოდ არის მარცვლეულ კულტურებში, მზესუმზირასა და თხილში, ასევე ხალვასა და ლუდშიც. ვიტამინი ცე სისხლძარღვებს ამაგრებს და იცავს თმის ფოლიკულს. ცე ვიტამინი ბევრია კომბოსტოში, ბულგარულში, ციტრუსებში. ე ვიტამინი თავში სისხლის მიმოქცევას არეგულირებს, ის თმას ბზინვარებას და სიჯანსაღეს მატებს. ეს ვიტამინი მრავლად არის ზეთში, თხილსა და მზესუმზირაში.

ვიტამინების მიღება ჩვენს ორგანიზმზე დადებითად მოქმედებს. არსებობს გლამურული ვიტამინებიც, რომლებიც ძალიან კარგად მოქმედებენ თმის ზრდაზე, მის სტრუქტურაზე, კანსა და ფრჩხილებზე. ასეთი ვიტამინები აუცილებელია მიიღოთ ნოყიერი სადილის შემდეგ, რადგან მშიერ კუჭზე იწვევს ცუდ უკუჩვენებებს — მუცლის ტკივილს, ღებინებას. მათ, ვისაც თმა დიფუზურად სცვივა, სულ სხვა ვიტამინი ესაჭიროებათ. ქართულ საზოგადოებაში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „აევიტი“. ახლა გაზაფხულია და სპეციალისტები ცე ვიტამინის მომარაგებას გირჩევენ. ყველა ვიტამინი დადებითად მოქმედებს კანსა და ფრჩხილებზე. მათი მიღების კურსი კი მინიმუმ 2 თვეა.

ვიტამინებზე ზრუნვა გულისხმობს კვების მოწესრიგებასაც. აუცილებლად უნდა ჭამოთ ბევრი ხაჭო, ბოსტნეული, ხილი, მოხარშული კვერცხი და ხორცი, თევზეული, ზეითუნის და სელის ზეთი უნდა მიიღოთ უზმოზე ან სალათებში მაინც გაურიოთ. ძალიან სასარგებლოა ჰერკულესის ფაფა, თაფლი, ნატურალური წვენები და რაც მთავარია, დღეღამეში მინიმუმ 2 ლიტრი წყალი. ჯანმრთელობისთვის აუცილებელია ნორმალური ძილი. იმისათვის, რომ მოხდენილად გამოიყურებოდეთ, უნდა შეამციროთ ტკბილეული, მარილიანი და ცხიმიანი საჭმელი, გაზიანი სასმელები, ყავა და სიგარეტი, რა თქმა უნდა, ალკოჰოლი.

serezbufoe[ t,s

იმ ადამიანებისთვის, ვისაც კუჭი აწუხებს, ყველაზე კრიტიკული პერიოდი აპრილ-მაისია. ამ დროს კუჭში წარმოიქმნება უსიამოვნო შეგრძნებები, მსუბუქი ტკივილი, გულისრევა. ეს ძველი ან დაწყებითი კატარის, ლორწოვანი გარსის ანთების ნიშნები ან კუჭის წყლულის სიმპტომებია. ამ დროს სპეციალისტები ავადმყოფებს სწორ კვებას, დიეტას, საკვების ხშირად და მცირე ულუფებით მიღებას ურჩევენ.



იმისათვის, რომ თქვენმა დაავადებამ ძალიან არ შეგაწუხოთ, გთავაზობთ რამდენიმე სასარგებლო რჩევას:

1. დილით, როგორც კი გაიღვიძებთ, გაფცქვენით ვაშლი, გახეხეთ იგი წვრილ სახეხზე და მაშინვე შეჭამეთ (არ დაამატოთ არც შაქარი, არც თაფლი). თუ მწვავე ან დიდი ხნის კატარი გაქვთ, ვაშლის მიღების შემდეგ არავითარ შემთხვევაში არ ჭამოთ და არ დალიოთ ხუთი საათის განმავლობაში. თუ მუშაობთ, თან წაიღეთ მსუბუქი დიეტური საუზმე. ამ პროცედურით გაიწმინდავთ ენას, გაგიქრებათ მჟავიანობა, გაგიჩნდებათ მადა და გაგიქრებათ ტკივილები. მკურნალობა სასურველია ერთი თვის განმავლობაში გააგრძელოთ. მეორე თვიდან გახეხილი ვაშლის გამოყენება შეიძლება უფრო მცირე ინტერვალით მასა და საუზმეს შორის კვირაში სამჯერ. მესამე თვეს კი შეგიძლიათ გახეხილი ვაშლი უკვე კვირაში ერთხელ მიიღოთ. ნებისმიერ შემთხვევაში კვირაში ერთხელ უზმოზე გახეხილი ვაშლის მიღება ძალიან სასარგებლოა. ეს პროცედურა განგკურნავთ მრავალი დაავადებისგან, პირველ რიგში კი, კუჭის დაავადებებისგან.

2. არყის გამხმარ კვირტებს (50 გრამს) დაასხით ნახევარი ლიტრი არაყი. დააყენეთ 10 დღე. ამის შემდეგ სვით სამჯერ დღეში ნახევარი ან ერთი ჩაის კოვზი წყლით ჭამამდე 15-20 წუთით ადრე. ეს პროცედურა ხელს შეუწყობს მადის გაჩენას, კუჭის წყლულის შეხორცებას. თუ არ გინდათ არყის კვირტები დააყენოთ არაყზე, მაშინ მოხარშეთ ისინი თანაფარდობით — 1 სუფრის კოვზი 1 ჭიქა წყალზე. ეს ნაყენი უნდა დალიოთ მეოთხედი ჭიქა სამჯერ დღეში ჭამამდე. თუკი არ გაქვთ სახლში არყის ხის კვირტები, შეგიძლიათ იგი არყის ხის გამხმარი ფოთლებით შეცვალოთ. მისი მომზადების რეცეპტი კი იგივეა.

3. ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ არ უნდა დაგავიწყდეთ — არ მიუჯდეთ მაგიდას დაღლილი, მაშინვე, მუშაობის შემდეგ. უმჯობესია სამსახურიდან მოსულმა ჯერ დაისვენოთ, კარგია თუკი წამოწვებით და შემდეგ მიირთმევთ.

smdtysdbc7lbfcf[ kbct,j=

× თუკი თქვენმა ქარვის თვალმა ელვარება დაკარგა, არ დაღონდეთ, ის შეგიძლიათ გაწმინდოთ პატარა ჯაგრისით, რომელიც დასველებულია დენატურირებულ სპირტში, შემდეგ კი გადაუსვათ სხვა ჯაგრისი, რომელსაც ზეთში დაასველებთ.

× თუ ფრჩხილის ლაქი შეგისქელდათ, ნუ გადააგდებთ. ჩადგით იგი ცხელწყლიან ჭურჭელში და ლაქიც გათხელდება.

× ფრჩხილის ლაქი მალე გაშრება და დიდხანსაც გაძლებს თქვენს ფრჩხილებზე, თუკი მისი წასმის შემდეგ თითებს 2-3 წუთით ცივ წყალში ჩადებთ.

× თეთრ ტილოს ჟანგის ლაქებს ადვილად ამოაცლით, თუკი მას მჟავე რძეში ან მაწონში ჩაალბობთ, შემდეგ კი გამოხარშავთ.

× ხარშვისას ჭარხალი რომ არ გაუფერულდეს, არ მოაჭრათ ფესვები — ძირი.

× თუ სახლში ჭიანჭველა გაჩნდა, ცოტაოდენ ახალ საფუარს დაუმატეთ წყალი, თაფლი ან მურაბა. მოზილეთ ცომი და გააკეთეთ პატარა ბურთულები. მოათავსეთ ეს ბურთულები ჭიანჭველების თავშეყრის ადგილას და ისინიც უკვალოდ გაქრებიან.

× თუ გინდათ თქვენმა ყვავილებმა ლარნაკში დიდხანს გაძლონ, წყალში ჩადების წინ მათი ბოლოები დაასველეთ ბორის მჟავაში (რომელიც ასე მზადდება: 1 ჩაის კოვზი ბორის მჟავას ფხვნილი გახსენით 1 ჭიქა წყალში) და წყალში, რომელშიც ყვავილების მოთავსებას აპირებთ, ასევე ჩაუმატეთ რამდენიმე წვეთი.

× ასკილი არ შეინახოთ პოლიეთილენის პარკში, უმჯობესია ის მოათავსოთ შუშის ქილაში, თავზე მარლა შემოახვიოთ და ბნელ ადგილას მოათავსოთ.

× „კალგოტკები“ დიდხანს არ გაიხევა, თუკი მას ჩაცმამდე წყალში ჩადებთ და საყინულეში გაყინავთ. შემდეგ გამოიღებთ, გააშრობთ და უთოთი დააუთოვებთ.

× დაუშვებელია წინასწარ კარტოფილის გაფცქვნა და მისი წყალში დიდი ხნით მოთავსება. თუკი ეს გადაუდებელი მიზეზის გამო აუცილებელია, მაშინ უმჯობესია კარტოფილი გაფცქვნის შემდეგ ჩააწყოთ პოლიეთილენის პარკში და თავი მაგრად მოუკრათ.

× თუ გინდათ თქვენი ფაიფურის ჭურჭელი მუდამ ბზინავდეს, გარეცხეთ ისინი თბილი მარილიანი წყლით, რომელიც ასე უნდა მოამზადოთ — ერთ ლიტრ წყალში გახსენით 3 სუფრის კოვზი მარილი.

**თიკო ნინიაშვილი**

# სამეფო ქორწილისათვის ლონდონს 2 მილიონამდე ტურისტი ეწვია

პარასკევს, 29 აპრილს ვესტმინსტერის სააბატოში, ლონდონის ცენტრში დიდი ბრიტანეთის დედოფლის შვილიშვილმა პრინცმა უილიამმა და მისმა რჩეულმა ქეით მიდლტონმა იქორწინეს, რომელსაც ამიერიდან მხოლოდ სრული სახელით ქეთრინით მოიხსენიებენ.

როგორც ცნობილი გახდა, დედოფალმა ელისაბედ II-მ ქეთრინ მიდლტონს მისი სამეფო უდიდებულესობის, კემბრიჯის ჰერცოგინიას ტიტული უბოძა, მაგრამ პრინცესად მას არ მოიხსენიებენ. პრინცი უილიამი ქორწინების შემდეგ კემბრიჯის ჰერცოგი ხდება. დედოფალმა გარდა ამისა, შვილიშვილს კიდევ ორი ტიტული, სტრატერნის გრაფის და კარიკფერგუსის ბარონის ტიტულები უბოძა.

უესტმინსტერის სააბატოში საქორწინო ცერემონიალი ადგილობრივი დროით 11 საათზე დაიწყო, რის შემდეგაც საქორწინო კორტეჟი ბაკინჰემის სასახლისაკენ გაემართა. მოგვიანებით ახალდაქორწინებულები აივანზე გამოვიდნენ და ყველა მათ პირველ საჯარო კოცნას ელოდა, უკვე დაქორწინებული წყვილის სტატუსით და მათ თავმოყრილ საზოგადოებას იმედები არ გაუცრუეს.

ცერემონიაზე 2 ათასამდე სტუმარი იყო მიწვეული, ათეულ ათასობით ბრიტანელი წყვილს ლონდონს ქუჩებში ესალმებოდა. ქორწილთან დაკავშირებით დიდ ბრიტანეთში დამატებითი დასასვენებელი დღე გამოცხადდა. ქალაქი ეროვნული დროშებით იყო მორთული.

მსოფლიოს ყველა წამყვანი ტელევიზია ლონდონიდან პირდაპირ ტრანსლაციას ახორციელებდა. წინასწარი შეფასების თანახმად, ქორწინებას 2 მილიარდამდე ადამიანი ადევნებდა თვალს.

უესტმინსტერის სააბატოში სტუმრები დილიდანვე იყრიდნენ თავს. ნაშუადღევს ბრიტანეთის პრემიერი დევიდ კემერონი გამოცხადდა, მოგვიანებით პრინცი უილიამი უმცროს ძმასთან, ჰარისთან, პრინც ჩარლზსა და მის მეუღლე კამილა პარკერ-ბოულზთან ერთად.

სტუმრებიდან ყველაზე გვიან უესტმინსტერს დედოფალი ელისაბედი ეწვია.

საპატარძლო ქეით მიდლტონი მამის თანხლებით ტაძრის წითელ ბილიკს გაუყვა, სადაც მას პრინცი უილიამი ელოდა. ჰიმნის შესრულების შემდეგ მღვდელმსახურმა საზეიმო სიტყვა წარმოთქვა, ნეფე-დედოფალმა ბეჭდები გაცვალეს და ერთმანეთს ერთგულება შეჰფიცეს. კენტერბერის არქიეპისკოპოსმა ისინი ცოლ-ქმრად გამოაცხადა და მუხლმოყრილი ახლად დაქორწინებულები დალოცა.

თვითერში თვითმხილველების მიერ გამოქვეყნებული განცხადებების თანახმად, პრინცმა უილიამმა საქორწინო ფიცი სერიოზული სახით წარმოთქვა, ქეით მიდლტონმა ღიმილით. ბეჭედი მას ცოტათი პატარა მოუვიდა. ტრადიციისამებრ, საქორწინო ბეჭედი სამეფო ოქროს რეზერვებისაგან არის დამზადებული, რომელსაც უელსში მოიპოვებენ.

ჯვრისწერის შემდეგ წყვილი გასასვლელისაკენ გაემართა, ზარების რეკვის ხმაზე კართან შეჩერდა და ხალხს მიესალმა, შემდეგ თავახდილი კარეტისაკენ გაემართნენ.



ჯვრისწერის ცრემონიალის დროს წვიმდა, მაგრამ ახალდაქორწინებულთა გამოსვლის მომენტისათვის წვიმამ გადაიღო.

საზეიმო კორტეჟი ლონდონის ქუჩების გავლით ბაკინჰემის სასახლისაკენ გაემართა. საქორწინო მოგზაურობაში წყვილი გამგზავრებას შაბათს აპირებს. ის, თუ სად აპირებენ ისინი თაფლობის თვის გატარებას, საიდუმლოა, თუმცა, არაოფიციალური ცნობების თანახმად, ქეითი და უილიამი იორდანიის სამხრეთით, ვადი რამის უდაბნოსაკენ გაემართებიან.

ქორწინების წინ უილიამმა და ქეითმა გამოაქვეყნეს პროგრამა, სადაც მთელი ცერემონიალი იყო ზუსტად აღწერილი. ახალდაქორწინებულებმა თავიანთ მიმართვაში ბრიტანელებს კეთილი სურვილებისათვის მადლობა გადაუხადეს.

ქეითის კაბის შესახებ უკანასკნელ მომენტამდე არაფერი იყო ცნობილი. სამაგიეროდ თავიდანვე იყო ცნობილი, რმ პრინცი უილიამი ირლანდიის გვარდიის პოლკოვნიკის ფორმაში იქნებოდა გამოწყობილი.

ქეით მიდლტონის საქორწინო, მაქმანებიდან კაბა მოდების სახლის „ალექსანდრ მაქუინის“ ოსტატმა, სარა ბიორტონმა დაამზადა. იგი დიდი ბრიტანეთის შემადგენელი ნაწილების ფლორალური მაქმანიანი ორნამენტებით იყო მორთული. თავს ელისაბედ დედოფლის კარტიეს ტიარა უმშვენებდა, რომელიც მას მშობლებმა 18 წლის ასაკში აჩუქეს.

საპატარძლოს თაიგული შროშანას, ჰიაცინტის, მიხაკის, სუროსგან შედგებოდა, რაც ბედნიერების, მარადიული სიყვარულის და მტკიცე ქორწინების სიმბოლოებად ითვლება.

ნეფე-დედოფალმა წინასწარ გამოაცხადეს, რომ არ სურთ, დაბადების დღეზე რაიმე აჩუქონ და სპეციალური საქველმოქმედო ფონდიც შექმნეს, სადაც ნებისმიერ მსურველს თანხის გადარიცხვა შეეძლო. ეს სახსრები საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება, მათ შორის ახალგაზრდობის, ბავშვების, სამხედროების ქვრივების დახმარების ფონდებს.

ლონდონში სამეფო ქორწინებასთან დაკავშირებით 2 მილიონამდე ტურისტი ჩავიდა. სამეფო ოჯახის ყველაზე თავგამოდებულმა თაყვანისმცემლებმა ცერემონიალის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დაიკავეს საუკეთესო ადგილები. ხუთი ათასამდე ადამიანმა ღამე უესტმინსტერის სააბატოსთან გაატარა.

ჰაიდ პარკში და ტრაფალგარის მოედანზე პირდაპირი ტრანსლაციის გიგანტური ეკრანები დაამონტაჟეს. ლონდონის სამხრეთით, კლეპჰემ ქომონში „სამეფო კემპინგი“ გამართეს.

უესტმინსტერის სააბატოს რაიონში 5 ათასამდე პოლიციელი მორიგეობდა. ხალხში სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი ოფიცრები იყვნენ გაფანტული. სკოტლენდ იარდის ინფორმაციით, სამეფო ქორწილი ეროვნული დღესასწაულია და არა პოლიციის ოპერაცია, ამიტომ რაიმე მონაცემები ტერორისტული საფრთხის შესახებ მათ არ გააჩნდათ.

ქორწინების წინ კომპანია „იუგავის“ მიერ ორგანიზებული გამოკითხვის შედეგების თანახმად, ბრიტანელების 73%-ს მიაჩნია, რომ სამეფო ოჯახი ბრიტანეთის იმიჯზე დადებით ზეგავლენას მოახდენს, 70%-ს მიაჩნია, რომ უილიამის ქროწინება ბრიტანეთის მონარქიის პოზიციებს განამტკიცებს.

ბრიტანელების 76%-ის აზრით, პრინცი უილიამი, რომელიც უინძორების დინასტიის სამეფო ოჯახის წევრებს შორის ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობს, კარგი მონარქი იქნება, 63% კი დარწმუნებულია, რომ კეტრინი მას ღირსეულ დედოფლობას გაუწევს.

გ.თ.

## განცხადებები

● ლომთათიძე — პოლიკლინიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ“. ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვნად დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 858-96-89-15 ან 34-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 34-02-38; 858-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 3-5 სმ-ის მომატებით, 25 წლამდე, კურსის გამეორება შეიძლება სასურველ შედეგამდე, გახდომა თვეში 7-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 34-02-38; 895-293-299; 890-293-299. ექიმი ქ-ნი ინგა.

## შეამოწმეთ, რამდენად დამოუკიდებელი ხართ



***1. სამსახურში მოეწყვეთ:***

ა. განაწილებით. ბ. ნაცნობების ინფორმაციის გამოყენებით. გ. ნაცნობობით.

***2. რთულ სიტუაციაში გადაწყვეტილებას იღებთ:***

ა. საკუთარი ცოდნით და გამოცდილებით. ბ. ხანდახან კოლეგებს ეკითხებით რჩევას. გ. ყოველთვის მათ ეკითხებით რჩევას.

***3. რით იყო განპირობებული თქვენი საქორწინო არჩევანი?***

ა. საკუთარი სურვილით. ბ. ახლობლების აზრით. დ. თქვენი რჩეული ჯერ ოჯახის წევრებს გააცანით.

***4. როდესაც ხედავთ, რომ თქვენი ახლობელი რამეს თავის საზიანოდ აკეთებს:***

ა. აიძულებთ საკუთარი თავი აკონტროლოს. ბ. ფრთხილად მიანიშნებთ, რა უნდა აკეთოს. გ. ცდილობთ ურჩიოთ, მაგრამ უშედეგოდ.

***5. რამდენად მტკიცედ იცავთ საკუთარ აზრს და პოზიციას კამათის დროს.***

ა. ყოველთვის იცავთ. ბ. უმეტეს შემთხვევაში. გ. იშვიათად.

***6. პროფესია აირჩიეთ:***

ა. თავად. ბ. მშობლების რჩევას დაუგდეთ ყური. გ. ახლო მეგობრების რჩევა იკმარეთ.

### პასუხები

**პასუხები შეაფასეთ ა. 1 ქულა. ბ. 2 ქულა. გ. 3 ქულა.**

***6-10 ქულა:*** ძალიან დამოუკიდებელი ხართ, ვერ იტანთ, როდესაც თქვენს საქმეში სხვა ერევა, დარწმუნებული ხართ, რომ ყოველთვის სწორად აფასებთ სიტუაციას.

***11-14 ქულა:*** ძლიერი ხასიათი გაქვთ, კარგად იტანთ სტრესს, ხართ დამოუკიდებელი, მაგრამ ხანდახან ყურს უგდებთ ახლობლების რჩევას.

***15-18 ქულა:*** თქვენ ძალიან გაუბედავი ხართ, შეიძლება ამიტომაც არავინ გიწევთ ანგარიშს, სცადეთ მეტი დამოუკიდებლობის გამომჟღავნება.

## სამგლოვიარო განცხადებები

მეუღლე შორენა, და ნატო, შვილები დათო და მანანა, რძალი ირმა ბერიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**დავით კალისტრატეს ძე სილაგავა**

პანაშვიდი: 28, 29 აპრილს.
დაკრძალვა: 30 აპრილს, 14 საათზე.
მისამართი: დიღმის მასივი, ლუბლიანის 16.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ვაზის ნასხლავი; 2. ებრაული წესით დაყენებული ღვინო; 3. საწვრთნელი ორთაბრძოლა კრივში; 4. პატარა სასაუზმე საფრანგეთში; 6. შაქრის შემცვლელი; 8. ირლანდიური ლუდი; 11. კლიმატური კურორტი თეთრი წყაროს რაიონში; 12. ყმაწვილის ხმის შეცვლა, დაბოხება ასაკში შესვლის გამო; 16. ქართული ზღაპრების პერსონაჟი, ბოროტი, ავი სული; 17. ტროპიკული ხილი; 18. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში.

**თარაზულად:** 1. მონასტერი, IX საუკუნის ხუროთმოძღვრული ძეგლი ქსნის ხეობაში; 5. ქართველ მეთევზეთა უძველესი სიმღერა; 8. „დედინაცვლის ენად“ წოდებული კაქტუსის ერთ-ერთი სახეობა; 9. მეხსიერების დაკარგვა; 10. უდაბნო ჩილეში; 13. მაკარონისგან მომზადებული იტალიური კერძი; 14. მეცნიერების, ხელოვნების მფარველი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 15. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ფირმა; 19. აჭარული ორსართულიანი ხის სახლი; 20. რაიონული ცენტრი სამეგრელოში; 21. ძუნწი ადამიანის მეტსახელი საფრანგეთში; 22. ქიმიური ელემენტი ძალზე მტკიცე ლითონი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 2. ილუმენი; 3. ტიტიკაკა; 4. ინტელექტი; 5. ჭერხო; 6. ამლახუ; 8. ქვევრი; 11. ნოვაცია; 14. ობსკურანტი; 15. გაგრიფში; 16. ესპადრონი; 17. დარიკო; 19. როლექსი; 21. პეპსი; 22. სენტო.

**თარაზულად:** 1. კინტრიში; 5. ჭონა; 7. ამქარი; 9. კულტივატორი; 10. ლენტეხი; 12. ჩხავერი; 13. სექტორი; 16. ეპიგრაფი; 17. დუყი; 18. არიბა; 20. შტურმანი; 22. სუფსა; 23. ჰერაკლე; 24. ოხუნჯი; 25. სკოტი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პლაზმა; 2. ლონდრე; 3. მუშტაიდი; 4. დივანი; 6. მანიკური; 8. მდოგვი; 11. ბოტანიკა; 12. ნოკაუტი; 17. კლოზე; 16. ლაკმე; 18. სიგმა.

**თარაზულად:** 1. პროლოგი; 5. ცხუმი; 7. ბულიმია; 9. ზუგდიდი; 10. მარშალი; 13. ვენდეტა; 14. პოკერი; 15. კოლი; 19. პარხალი; 20. კლინტონი; 21. ჰეინეკენი; 22. მახათა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**30 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6447

ევრო —2,3896

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6943

რუსული რუბლი — 0,0584

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 15-21, ღამით — 8-12

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 14-29, ღამით — 19-14

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 12-18, ღამით — 1-19

## ამინდის პროგნოზი 30 აპრილისთვის







წამალი "ფერდი" შეიცავს არაერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. "ფერდი" დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა, აგზნებულობა, შიში, ნერვული აშლილობა, დაძაბულობა) დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი, აგრეთვე კუჭ-ნაწლავის ,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირისღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

წამალი "ფერდის" მოქმედება განპირობებულია ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების კომპლექსით .მათშორის უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გლიკოზი და მიგდალინი, რომელიც კუჭის ფერმენტის ზემოქმედებით იშლება და გამოყოფს ტკივილ გამაყუჩებელი,ანესთეზიური,ანტიბაქტერიული და სპაზმოლიზური თვისებების მქონე ციანწყალბადმჟავას.

ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები — გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა - 0,4 - 5%; მთრიმლავი ნივთიერებები - 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა-1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;

პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%;

წამალი "ფერდი" იკითხეთ აფთიაქებში. დალუქულ ქილაში მოთავსებულია 90 კაფსულა, თუ შეიძენთ ცალობით თითოეულ კაფსულაზე უნდა იყოს წარწერა "ფერდი". 2011 წელს მისი ფასი არ უნდა აღემატებოდეს 30 ლარს.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახები ნფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს.

WWW.PHERDI.GE ☎ 95-90-60

ექიმის კონსულტაცია უფასოა.

მის: დავით აღმაშენებლის გამზ.146


## „რეალიც“ იმუქრება



მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობის ოფიციალური განცხადებით, კლუბი უეფაში „ბარსელონას“ ფეხბურთელების წინააღმდეგ საჩივრის შეტანას აპირებს. მადრიდელები კატალონიური კლუბის მოთამაშეებს არასპორტულ საქციელში ადანაშაულებენ და დისციპლინარულ კომიტეტს მეტოქის დასჯას სთხოვენ.

„სამეფო კლუბის“ ვებ-გვერდის ცნობით, ბარსელონელები ხშირად მიმართავდნენ სიმულაციას და ამ გზით მთავარი მსაჯის შეცდომაში შეყვანას ცდილობდნენ.

— მას შემდეგ, რაც „ბარსელონას“ უპრეცედენტო გადაწყვეტილების შესახებ შევიტყვეთ, რომლითაც მადრიდის „რეალის“ მთავარ მწვრთნელ ჟოზე მოურინიოს უჩივიან, გადავწყვიტეთ, რომ მეტოქის ფეხბურთელების არასპორტული საქციელის გამო უეფაში შემხვედრი საჩელი შევიტანოთ. ისინი სიმულაციის ხარჯზე მუდმივად ცდილობდნენ მსაჯის შეცდომაში შეყვანას, რის შედეგადაც აიძულეს, რომ „რეალის“ მცველი პეპე დაუმსახურებლად გაეძევებინა. გასაოცარია, რომ მსაჯის არასწორი გადაწყვეტილების ფონზე „ბარსელონას“ წარმომადგენლებმა საჩელი შეიტანეს ჟოზე მოურინიოს წინააღმდეგ, რომელმაც საკუთარი აზრი გამოთქვა, ეს კი, სიტყვის თავისუფლების გათვალისწინებით, მისი უფლებაა. მოურინიომ უკმაყოფილება გამოთქვა მეტოქის მეთოდებთან დაკავშირებით, რომელმაც გასამარჯვებლად სამართლიანი თამაშის პრინციპები დაარღვია. კლუბი მწვრთნელს მხარში ბოლომდე დაუდგება, — აღნიშნულია „რეალის“ ოფიციალურ განცხადებაში.

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 30 აპრილი — წარმატებული დღეა

**ვერძი** — სახლში სიახლეა, რემონტს იწყებთ. **კურო** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, საქმიანი შეხვედრა გელით. **ტყუპები** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — რომანტიკული შეხვედრა კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **ლომი** — იაქტიურეთ, საწადელს ადვილად მიაღწევთ. **ქალწული** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **სასწორი** — ფულს შოულობთ, ახალ ბიზნესს წამოიწყებთ. **ღრიანკალი** — სიახლის განცდა დაგეუფლებათ, გახარებული ხართ. **მშვილდოსანი** — დაგეგმეთ მომავალი, ნუ გაფლანგავთ დროს. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თავს გევლებათ, კარგ ხასიათზე ხართ. **მერწყული** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს. **თევზები** — ნუ დაივიწყებთ წარსულს, მაგრამ ამის გამო ცუდ ხასიათზე დადგომა ზედმეტია.

### 1 მაისი — ეს დღე მეგობრებს დაუთმეთ

**ვერძი** — დაისვენეთ და გაერთეთ, ის საქმე აკეთეთ, რაც მოგესურვებათ. **კურო** — სახლში სიახლეა, გზიდან ვიღაც ჩამოდის. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **კირჩხიბი** — მეგობრები კარგ ამბავს გეტყვიან, ნამდვილად ღირდა მათი ნახვა. **ლომი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, გაერთეთ, მაგრამ ნურც ახლობლებს დაივიწყებთ. **ქალწული** — ნუ ენდობით უცხო პირებს, გადაამოწმეთ ინფორმაცია. **სასწორი** — დღეს არ გადაიღალოთ, ხანდახან დაისვენეთ. **ღრიანკალი** — მშვენიერი დღეა, კარგად გაერთობით. **მშვილდოსანი** — ზედმეტი ჩაფიქრება არ ღირს, ცხოვრებას მსუბუქად შეხედეთ. **თხის რქა** — ახალი შემოსავალი გაგამხიარულებთ! **მერწყული** — რომანტიკის ხასიათზე ხართ, ძალიანაც კარგი! **თევზები** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით, პრობლემებსაც მოაგვარებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 26 აპრილიდან

## „ახალი თაობის“ სააღდგომო საჩუქარი ახალ თაობას

## საყმაწვილო ბიბლიოთეკის 8 ტომეული

უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხის, მაგარი ყდით, ფერადად ილუსტრირებული. ძალიან დაბალ ფასად!
























გაზეთი და წიგნი ერთად — 2 ლარი


## იუმორი



— დასამალი გქონდეს რამე, თორემ სათქმელს ყოველთვის იპოვი...

* * *

— თუკი მშენებელი ამბობს, რომ მისი აშენებული სახლი არ ვარგა, სახლში არავინ შევა საცხოვრებლად.

— თუკი გამყიდველი ამბობს, რომ მისი საქონელი არ ვარგა, მას არავინ იყიდის.

— თუკი დეპუტატი ამბობს, რომ ახლადმიღებული კანონები არაფრად ვარგა, მას ეთანხმებიან და პარლამენტში ახალი ვადით ირჩევენ...

* * *

— დღესდღეობით ჩასახვის ყველაზე საიმედო საშუალება კომპიუტერი, რომელიც გარდა არასასურველი ორსულობისა, სქესობრივი კონტაქტების შესაძლებლობასაც პრაქტიკულად სრულად გამორიცხავს...

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 2. კუთხე საქართველოში; 3. რაიმეს ცვლის განვითარების პროცესი; 4. მზის გარშემო მოძრავი მცირე ზომის ციური სხეული; 5. ვულკანი ისლანდიაში; 6. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 8. ისტორიული ციხე-ქალაქი საგარეჯოს რაიონში; 11. სამწახნაგოვანი პირის მქონე იტალიური ხანჯალი; 14. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინის კარპატებში; 15. მორებით ნაგები ხის სახლი სამეგრელოში; 16. პროვინცია ირანში; 17. საბერძნეთის კუნძული ეგეოსის ზღვაში; 19. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ საბრძოლო სამხედრო გემი; 21. ალალბედზე მოქმედება; 22. ვაკე ადგილი მთებს შორის.

**თარაზულად:** 1. თეორიული მექანიკის ნაწილი; 5. საჭმლის საჭმელი იაპონური ხის ჩხირები; 7. კუნძულ კალიმანტანზე მდებარე მონარქიული სახელმწიფო; 9. მოძღვრება ავიაციის შესახებ; 10. ხმელთაშუა ზღვისპირეთში გავრცელებული სურნელოვანი ვაზის ჯიში; 12. იტალიური სახლების შიდა დახურული ეზო; 13. ჟანგბადის აღმომჩენი ინგლისელი ქიმიკოსი; 16. ქართული მალამო; 17. შაქრის ლერწმისგან დამზადებული არაყი; 18. გეომეტრიული ფიგურა; 20. ფრანგული ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია; 22. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 23. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 24. აზერბაიჯანული მაწონი; 25. ცხენის ნაშიერი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

